ეროვნული ბიბლიოთეკა

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

„LA GÉORGIE COMBATTANTE"

მაისი, 1995 წ., ნომერი 16(34) - Mai 1995

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს" ილია

## საქართველოს დამოუკიდებლობის 77 წლისთავი

26 მაისი - ერთობა მრავალფეროვნებაში..........1

## სოხუმის დაცემის მეორე წელი

გზა სოხუმისა და ცხინვალისაკენ მოსკოვზე გადის..........10
ელცინისა და დუდაევის 'ბუმერანგული პოლიტიკა'..........11

## ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

დეპუტატის ღირსება..........14
ვისწავლოთ ფრანგი ერისაგან..........16
საქართველოში პრესის თავისუფლება არ არსებობს?..........20
ზვიად გამსახურდიას ბედი თუ უბედობა?..........21
'მგელი და კრავი' ანუ რუსეთი და საქართველო..........24

## პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

მეორე მსოფლიო ომი და საქართველო..........27
'რუსეთი არ ახორციელებს ახალ იმპერიალიზმს'..........35
ედუარდ შევარდნაძის ინტერვიუ გაზეთ 'მონდში'..........37
ჟან გიტონი და ფრანსუა მიტერანი..........38
'რუსული პატრიოტიზმის მყრალი კარიკატურა'..........40
'მხედრიონის ძალა'..........42
პირველი მაისი - მშრომელთა სოლიდარობის დღე..........43
'კაიზერ ფრანცი' და ქართული ფეხბურთი..........44
ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები..........46
ქართული სამართლის კოდიფიკაცია..........57
3 მაისი - პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე..........59

## ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება

ჯედამინის 'სათბურის ეფექტი'..........61
მსოფლიო მოსახლეობა..........63
მსოფლიოს 20 დიდი ექსპორტიორი სახელმწიფო..........63

## ქართული ლიტერატურა და ხელოვნება

'მისტერია მზის' - გრიგოლ რობაქიძის ერთი ლექსი..........64
'9 აპრილი'(ლექსი)..........55
მხატვარ ნიკოლოზ იგნატოვის გამოფენა გერმანია-საფრანგეთში..........65

## ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

26 მაისი პარიზში..........57
პანაშვიდი წმ.ნინოს ეკლესიაში პარიზში..........68
26 მაისის მიღება საქართველოს საელჩოს მიერ პარიზში..........69

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წამომდგარი ხელისუფლება არის მომქმედი, მჭრელი, მებრძოლი".
ნოე

დაარსდა: იანვარი 1952, პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
42674

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მეოთხე სვეტი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი - პრესა, რადიო, ტელევიზია, კინოფილმი - დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლების 'მეოთხე სვეტია' სახელმწიფო ძალაუფლების 'სამი სვეტის' - მმართველობის(მთავრობა), კანონმდებლობის(პარლამენტი) და მართლმსაჯულების(სასამართლო) გვერდით. აზრთა სხვადასხვაობა და ჭიდილი დემოკრატიის სისუსტე კი არა სიძლიერეა თუ იგი დარჩება დემოკრატიული სახელმწიფოს ფარგლებს, პოზიცია-ოპოზიციის კონსტრუქციული კრიტიკის სფეროში, რაშიც მონაწილეობენ პიროვნებები, ერის პოლიტიკური კულტურა. ამიტომ მასობრივი ინფორმაციის მედიუმები უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მრავალფეროვანი და მრავალმხრივი ცხოვრების ხარჯზე, რაც - თავის მხრივ - ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს ობიექტური და მიუდგომელი; და მის შექმნაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საზოგადოების ყველა ფენა იმ პირობით, რომ აცილებული იქნას თავიდან ამა თუ იმ პირის თუ დაჯგუფების განუკითხავი ბატონობა.

# საქართველოს კონსტიტუცია
# Constitution de la Géorgie

მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ
1921 წლის თებერვლის 21.

### მუხლი 32.

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოსთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.

Tout citoyen a le droit d'exprimer son opinion et de la propager par la parole, par la presse ou par d'autres moyens sans l'autorisation préalable du Gouvernement. Il n'est responsable, pour tout délit commis dans ces cas, que devant la Justice.

# ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

## Universal Declaration of Human Rigts

მუხლი 19. ყოველ ადამიანს აქვს უფლება შეხედულებათა თავისუფლებისა და მათი თავისუფლად გამოხატვისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას დაბრკოლების გარეშე დაიცვას საკუთარი შეხედულებები, აგრეთვე თავისუფლებას ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფოებრივი საზღვრებისაგან დამოუკიდებლად.

### article 19

Everyone has the right to freedom of opinion and expression; this right includes freedom to hold opinions without interference and to seek, receive and impart information and ideas through any media and regardless of frontiers.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დამოუკიდებლობის 77 წლისთავი

## 2 6 მ ა ი ს ი

## ე რ თ ო ბ ა  მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ო ვ ა ნ ე ბ ა შ ი

(ა ნ ა ლ ი ზ ი)

1.

26 მაისი, ჩვენი უდიდესი ეროვნული დღესასწაული, რომელიც შეიძლება შედარებულ იქნას ამერიკის შეერთებული შტატების 4 ივლისთან, "ამერიკის დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებასთან, რაც მოხდა 1776 წელს - განთავისუფლდა რა ამერიკა უცხო კოლონიურ მდგომარეობიდან - და 14 ივლისთან, საფრანგეთის დიდი რევოლუციის უდიდეს მონაპოვართან, რაც გამოიხატა "ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების დეკლარაციაში", რომელიც მიღებულ იქნა ეროვნული კრების მიერ 1789 წელს, - არის სიმბოლო ქართველი ერის, საქართველოს ერთობისა მრავალფეროვნებაში, რადგან ერთობა და მრავალფეროვნება - ქართული პოლიტიკური კულტურის შესაბამისად - წინააღმდეგობა კი არა ერთობაა, როგორც თაიგული - სიმშვენიერის, წონასწორობის, სამართლიანობის, ჰუმანურობის, რომელიც ყველაზე უფრო სწორედ მაისში იფურჩქნება; და ამით კიდევ უფრო წმინდა არ ხდება ეს დღე - 26 მაისი!?..

2.

და რა მოგვიტანა ჩვენ 26 მაისმა? - საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია დღესაც, საქართველოს დამოუკიდებლობის 77-ე წლისთავზეც მსოფლიო მნიშვნელობის დოკუმენტებად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან მათში ჩახოვილია როგორც 14 ივლისის - ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების დეკლარაციის, ასევე ამერიკის დამოუკიდებლობის აქტის ძირითადი დებულებანი; კიდევ მეტი: მათში ჩაქსოვილია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის დებულებები ისეთი სრულყოფილებით, რომ ეს უკანასკნელი საქართველოს კონსტიტუციის ახლის შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან იგი 1948 წლის 10 დეკემბერს, ე.ი. საქართველოს კონსტიტუციის მიღებისა და დამტკიცების(1921 წელი, 21 თებერვალი) 27 წლის შემდეგ იქნა მიღებული. და განა ეს საამაყო არ არის?..

3.

საამაყოა აგრეთვე, რომ საქართველო, 1918 წლის 26 მაისს სოციალური დემოკრატიის გზას დადგა, რაც სანიმუშოა დღესაც, როცა ევროპის მოწინავე ინდუსტრიული სახელმწიფოებიც კი დღესაც ვერ ებმებიან სოციალური დემოკრატიის ფერხულში, თუმცა დიდ წარმატებებს აქვს ადგილი ამ მიმართულებითაც.

4.

26 მაისის მნიშვნელობა კიდევ უფრო ფართოვდება იმ ფაქტითაც, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივ ისტორიაში, რომელსაც სამი-ათასწლოვანი წარსული გააჩნია, - მონარქიული სახელმწიფოებრივი წესყობილება პირველად გადაყვანილ იქნა რესპუბლიკურ რელსებზე, რის შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე გახდა არა მემკვიდრე ბაგრატიონთა დინასტიისა, არამედ საქართველოს რიგითი მოქალაქე - ნოე ჟორდანია.

5.

და საქართველოს სახელმწიფოს სუვერენი გახდა ქართველი ხალხი, რომელმაც, მიუხედავად არსებული გამწვავებული საერთაშორისო მდგომარეობისა, შესძლო საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენა საქართველოს თითქმის ისტორიულ ტერიტორიაზე და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, კანონის უზენაესობის აღიარება, რაც - თავის მხრივ - ეყრდნობოდა სახელმწიფო ძალაუფლების სამ ხვეტს - მმართველობის, კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების ორგანოთა შეხმატკბილებულ მოღვაწეობას, რომლის დროს პოზიცია-ოპოზიცია გახდა ხელისუფლების ეფექტური მოტორი, რასაც მოყვა ქართული პოლიტიკური კულტურის აყვავებაც, რომლის დროს ხელისუფლების სათავეში იდგა ხალხისაგან დემოკრატიული გზით არჩეული უმრავლესობის წარმომადგენლები, ხოლო ოპოზიციაში იდგა უმცირესობის წარმომადგენლები; და აზრთა და შეხედულებათა ამგვარი ჭიდილი უმრავლესობის გადაწყვეტილებით სრულდებოდა, რომლის დროს - თავის მხრივ - ოპოზიცია არა დესტრუქციულ, არამედ კონსტრუქციულ პოზიციაზე იდგა და თავისი წვლილი შეჰქონდა საერთო სახელმწიფო საქმეებში. ამიტომ ვუწოდებთ ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობასა და სუვერენობას 1918-1921 წლებში "პატარა ოქროს ხანას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

6.

მაგრამ, - დაიპყრო რა უცხო ძალამ, ქართველი ბოლშევიკების დახმარებით, - დამოუკიდებელი საქართველო 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველო ისევ მოექცა თავისებურ კოლონიურ მდგომარეობაში, რომლის ერთერთი ტრაგიკული შედეგი გახდა საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიის დანაწილება მოსაზღვრე სახელმწიფოებს შორის, რის შედეგად საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია 91.100 კვადრატულ კილომეტრიდან დაყვანილ იქნა 69.700 კვადრატულ კილომეტრამდე, რომლის დროს თვით რუსეთმაც კი მიითვისა სოჭისა და მისი რეგიონის მიდამოები, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს.

7.

რუსმა ბოლშევიკებმა შეძლეს ქართველი ბოლშევიკების ისე გამხეცება, რომ ქართველი ბოლშევიკები, როგორც ლენინიც კი ამბობდა, უფრო სასტიკად ეპყრობოდენ ქართველობას, ვიდრე რუსი ბოლშევიკები, რასაც მოყვა არა მარტო ქართველი ხალხის ნაღების - მოწინავე ეროვნული ინტელიგენციისა და მშრომელი ხალხის ფიზიკური ხოცვა-ჟლეტა, არამედ ქართველი ერის ეროვნულ სხეულში განხეთქილების დანერგვა, რის შედეგები დღესაც იგრძნობა ან უკვე დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოში, როცა "სხვა აზრის", მიმართულების მიმდევარი "მოსისხლე მტრადაა" გამოცხადებული, რის ყველაზე უფრო თვალსაჩინო თარიღი გახდა 1992 წლის 6 იანვარი, როცა დარღვეულ იქნა კანონის უზენაესობა და საქართველოს მოსახლეობის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტი და მისი მიმდევრები იარაღის ძალით განდევნილ იქნენ საქართველოდან, რასაც წინ უძღოდა არა მარტო ჩვენი შესანიშნავი დედაქალაქის - თბილისის - დანგრევა, არამედ ქართველთა ერთმანეთის წინააღმდეგ ისეთი დაპირისპირება, რომ ჩვენ ერთმანეთის ფიზიკურ განადგურებაში არ ჩამოვრჩით ოს და აფხაზ ექსტრემისტებს, რომლებიც -"ბნელი ძალების" უშუალო დახმარებით - საქართველოს ტერიტორიულ დაქუცმაცებასა და ჩვენი ერის ფიზიკურ განადგურებას ახორციელებდენ. და ასეთი მდგომარეობა მდგომარეობა გრძელდება დღესაც - ჩვენი ეროვნული დღესასწაულის 77-ე წლისთავზეც -, როცა საქართველოში, მართალია, მდგომარეობა უფრო დაწყნარებულია, მაგრამ მაინც "სტაბილური არასტაბილური მდგომარეობა" სუფევს, რასაც ხელს უწყობდა "შავი იმპერიული ძალები" და ხელს უწყობენ დღესაც.

8.

მაგრამ საქართველოში დღეს არსებული ამგვარი "სტაბილური არასტაბილური" მდგომარეობის ფონზე, მაინც კიაფობს 26 მაისი, საქართველოს შვინდისფერი დროშა, რადგან 1991 წლის 9 აპრილს ისევ აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, რის შედეგად საქართველოს სახელმწიფო უკვე საერთაშორისო სამართლის სუბიექტია და გაეროს სრულუფლებიანი წევრი. ეს კი დიდი, დიდი წარმატებაა, რასაც ჩვენ ვთვლით საქართველოს, ქართველი ერის ისევ აღდგომად, და ეს ფაქტი არც ერთმა ქართველმა, არც ერთმა საქართველოს მოქალაქემ არ უნდა დაივიწყოს, როცა ვხედავთ საქართველოს საერთო პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური მდგომარეობის "არასტაბილურ სტაბილურობას", რის მიზეზი პირველყოვლისა ჩვენშივე უნდა ვეძიოთ, რადგან ჩვენ, ქართველობას ოს და აფხაზ ექსტრემისტებს ოსტატურად გვიყენებს შავი იმპერიული ძალები და ჩვენ - ჩვენი ორასწლოვანი მონური აზროვნებითა და ქმედებით, შეგნებულად თუ შეუგნებლად, - ვეხმარებთ მტრებს "სტაბილური არასტაბილური" მდგომარეობის გამარადიულების საქმეში სწორედ შავ იმპერიულ ძალებს, რომლებიც, უთუოთ, დაგვცინიან კიდეც, როცა ჩვენ ჩვენი ეროვნული მეობის სხეულს თვითონვე ვჩეხავთ, რადგან სხვა აზრისა და მიმართულების თანამემამულეს "მოსისხლე მტრად" მივიჩნევთ და მისი ფიზიკური განადგურებისაკენაც კი მივისწრაფვით.

9.

რაშია საქმე?.. რა მოგვდის?.. ნუთუ ქართველმა ერმა, საქართველოს მოსახლეობამ მიივიწყა ქართული დიდი პოლიტიკური კულტურა, რომ "სხვა აზრს", "სხვა მიმართულებას" ანგარიში უნდა გაეწიოს და იგი "მოსისხლე მტრად" არ ჩათვალოს?.. ნუთუ ვერ უნდა გავიგოთ, რომ საქართველოს სიყვარული "პროფესია" არ არის, და რომ საქართველო - საქართველოს ყოველ მოქალაქეს - უყვარს, მისთვის კეთილდღეობისათვის ზრუნავს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ "მაფიოზურ" გამოვლინებებს, რომელსაც არა მარტო საქართველოში, არამედ - მეტ-ნაკლებად - ყველა სახელმწიფოში, თვით დემოკრატიული სახელმწიფოების ჩათვლით, - აქვს ადგილი?.. რატომ ვერ უნდა შევიგნოთ, რომ ისეთი პიროვნება, ისეთი მთავრობა, ისე-

თი პრეზიდენტი არ არსებობს, რომელსაც მთელი ხალხი მხარს უჭერს, თვით ტრადიციულ დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც კი?.. მთავრობა, პრეზიდენტი უმრავლესობის უფლებამოსილებით მოღვაწეობს, რომლის დროს უმცირესობის მოვალეობაა, დიახ, მოვალეობაა, კონსტრუქციული ოპოზიციის წარმოებით, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო მართველობაში, რაც იმის წინაპირობაა, რომ დღევანდელი ოპოზიცია, ხვალ პოზიციაში შეიძლება მოექცეს, თუ მოსახლეობის უმრავლესობას ის მიიმხრობს; სხვა სიტყვებით, პოზიცია-ოპოზიცია იყო დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო მართველობის ძლიერი მოტორი 1918-1921 წლებში, და ნუთუ დღეს ვერ უნდა შევძლოთ ეს ჩვენ?..

10.

ჩვენ ამას შევძლებთ თუ საქართველოში თანდათანობით კანონმდებლობის, ხელისუფლებისა და მართლმსაჯულების ორგანოების მოქმედებას გამოვაჯანსაღებთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ - როგორც ამბობენ ხოლმე - "რომი ერთ დღეში არ აშენებულა?.." რომის სამართალი, რომელიც ცივილიზებული მსოფლიოს გზისმაჩვენებელია დღესაც, და რომლის წრეში იმყოფებოდა და იმყოფება საქართველოც, - მოითხოვს, რომ საქართველოში დავამყაროთ კანონის უზენაესობა, რაც იმას ნიშნავს, რომ არავინ, დიახ, არავინ არ დგას კანონზე მაღლა, რადგან კანონის შემქმნელი თვით ხალხია და ხალხი, ამგვარად, ემორჩილება მის მიერვე შექმნილ კანონს.

11.

ჩავუფიქრდეთ, აღვიქვათ, შევიგნოთ, რომ ყოველ ერს ისეთი სახელმწიფო აქვს, რომლის ღირსი ის არის; და განა ვახტანგ გორგასალის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის თუ ერეკლე მეორე მემკვიდრეები არ ვართ ჩვენ, ქართველი ერი., საქართველო?.. და თუ ეს ასე,- და ეს ასეა უდავოთ, - მაშინ ჩვენ, ქართველობა, საქართველო პატივს არ ვცემთ საქართველოს რესპუბლიკური ხანის "პირველ" მართველებს ნოე ჟორდანის, ზვიად გამსახურდიას და ახლა ედუარდ შევარდნაძეს?. ალბათ, ამ სამი პიროვნების ერთად ხსენება ზოგიერთ ჩვენგანში აღშფოთებას გამოიწვევს, რაც სუბიექტურად შეიძლება გაამართლოს კაცმა, მაგრამ ობიექტურად - და ესაა ისტორიის ერთადერთი საზომი - სრულიად გაუმართლებელია, რადგან აღნიშნული სამი პიროვნება სხვადასხვა გზით გახდენ საქართველოს სახელმწიფოს "პირველი" მმართველნი: ნოე ჟორდანია 26 მაისის დიდი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსია, რომელიც ქართველმა ხალხმა - დემოკრატიული არჩევნების გზით - აირჩია საქართველოს "პირველ მართველად", პრეზიდენტად და მთავრობის თავჯდომარედ, რომელიც - დაიპყრო რა დამოუკიდებელი საქართველო ბოლშევიკურმა რუსეთმა 1921 წლის 25 თებერვალს, - საქართველოს დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, მისი მთავრობის წევრებით, გადასახლდა პარიზში, საიდანაც აწარმოებდა ბრძოლას ბოლშევიკური ბატონობის წინააღმდეგ საქართველოში; გარდაიცვალა პარიზში, 1953 წელს და დაკრძალულია ქართველ მებრძოლთა პანთეონში პარიზის ახლოსმდებარე დაბა ლევილის ქართველთა და ფრანგთა სასაფლაოზე. ზვიად გამსახურდია იყო დისიდენტი, ჩვენ ვამბობთ, "თავისუფლად მოაზროვნე", რომელმაც იმდენი ავტორიტეტი მოიპოვა ქართველ ხალხში, რომ 1991 წლის 26 მაისს არჩეულ იქნა საქართველოს პრეზიდენტად ხმების 87 პროცენტით. მაგრამ ოპოზიცია კი არ დაკმაყოფილდა კონსტრუქციული ოპოზიციის როლით, არამედ ხელი მიჰყო დესტრუქციულ ოპოზიციას, რომლის დროს დაშვებულ იქნა უხეში პოლიტიკური შეცდომები, რასაც - თავის მხრივ - მოყვა ჩვენი დედაქალაქის თბილისის დანგრევა და პრეზიდენტისა და მისი მომხრეების საქართველოდან გაძევება. რაც ამის შემდეგ მოხდა, თვით ზვიად გამსახურდიას თვითმკვლელობის თუ მოკვლის ჩათვლით, - ეს გაურკვეველი რჩება ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, რადგან კანონის უზენაესობის დარღვევა, რომლის თარიღი გახდა 1992 წლის 6 იანვარი, - გარკვევას მოითხოვს განსაკუთრებით იმიტომაც, რომ ზვიად გამსახურდია დაკრძალულ იქნა არა საქართველოში, არამედ ჩეჩნეთში, ქალაქ გროზში, ე.ი. უცხოეთში. თენგიზ კიტოვანისა და ჯაბა იოსელიანის სამხედრო გადატრიალება დამთავრდა იმით, რომ 1992 წელს საქართველოს "პირველი მართველი" გახდა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა. იგი, ჯერ, არჩეულ იქნა, ხმების 95 პროცენტით, საქართველოს პარლამენტის თავჯდომარედ, ხოლო შემდეგ პარლამენტმა აირჩია საქართველოს სახელმწიფო მეთაურად, რომლის უფლებამოსილებას ასრულებს დღესაც. რა თქმა უნდა, ედუარდ შევარდნაძე კარგადაა ცნობილი არა მარტო საქართველოში,დაწყებული 1972 წლიდან, როცა იგი საქართველოს კომპარტიის პირველი მდივანი გახდა. მაგრამ ჩვენ გამოვდივართ იმ დებულებიდან, რომ ადამიანს

აქვს, უნდა ჰქონდეს აზრის შეცვლის თავისუფლებაც; და ედუარდ შევარდნაძემ ოფიციალურად შეიცვალა თავისი აზრი და ჩადგა დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოს აღმშენებლობის რიგებში, რამიც ჩვენ ეჭვი არ უნდა შევიტანოთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს კომპარტიის რიგებში გაერთიანებული იყო, - კომპარტიის უკანასკნელი ყრილობის მონაცემებით, - 330-ათასი კაცი, და ეს ხალხი, როგორც კომპარტიის პრაქტიკიდან ვიცით, - იყო ჩვენი ხალხის ინტელიგენციისა და მშრომელების წარჩინებული პირები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ კრიმინალურ პირებს, რომელთა განსჯას მხოლოდ სასამართლო საქმე უნდა იყოს. და ვის შეუძლია ხელი ჰკრას ამ 330-ათას საქართველოს მოქალაქეს, რომლების დიდმა უმრავლესობამ შეიცვალა თავიანთი აზრი და დღეს დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო მშენებლობის ფერხულშია ჩაბმული?.. რა თქმა უნდა, ეს საკითხი მრავალ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მაგრამ განა ამ პროცესში არ არის საჭირო ჩაფიქრება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება, რომ ერთობა მრავალფეროვანებაში შევქმნათ?..

12.

ამდენად, საქართველოს, რესპუბლიკურ ხანაში, რომელიც დღესაც გრძელდება, ჰყავდა ორი პრეზიდენტი - ნოე ჟორდანია 1918-21 წლებში და ზვიად გამსახურდია 1991-1992 წლებში; და ახლა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურია ედუარდ შევარდნაძე. ჩვენ ეს ისტორიული ფაქტები უნდა ვაღიაროთ იმდენად, რომ ყველა, საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნი მოვექცეთ პოზიცია-ოპოზიციის სფეროში; და თუ პოლიტიკური ცვლილებებისათვის გვინდა ბრძოლა, რაც აუცილებელიცაა, - უნდა ვიბრძოლოთ სწორედ პოზიცია-ოპოზიციის ფარგლებში, მოგვწონს ჩვენ ამჟამად, საქართველოს დღევანდელი ხელმძღვანელობა, პარტიები, პირები თუ არა. "ერთობა მრავალფეროვნებაში" არის დემოკრატიის საფუძველი, რომლის დროს პიროვნებები კი არ უნდა დავაყენოთ ყურადღების ცენტში, არამედ ის იდეა, ის მიმართულება, რომელიც გამოსახულებას პოულობს მოცემულ პიროვნებაში.

ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, უნდა გვწამდეს: საქართველოს სახელმწი უკვდავია, საქართველოს სახელმწიფოს "პირველი" ხელმძღვანელები კი მომაკვდავია ბუნების კანონის თანახმადაც, და ჩვენ ამა-თუ-იმ პიროვნების დაგმობისას თვით საქართველოს სახელმწიფოც არ უნდა დავგმოთ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ დღეს საქართველო , როგორც სახელმწიფო, საერთაშორისო სამართლის სუბიექტია, და ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ დიადი ეროვნული იდეის განხორციელებას შეეწირა ჩვენი ერის საუკეთესო შვილები გასული თითქმის ორასი წლის განმავლობაში. მათი ხსენებაც კი მოითხოვს ჩვენგან 26 მაისის დიადი იდეების დაცვას.

13.

ვითომ არიან ჩვენს რიგებში ისეთი საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ამ ანალიზში გამოთქმულ აზრებს არ იზიარებს? - უთუოდ, არიან და, მე ვიტყოდი, უნდა იყონ, რადგან მხოლოდ-და-მხოლოდ აზრთა ჭიდილში ვუახლოვდებით ჩვენ ჭეშმარიტებას, და სწორედ არ არის "ერთობა მრავალფეროვნებაში' თუ ჩვენ პოზიცია-ოპოზიციის სფეროში დავრჩებით და სხვა აზრის ადამიანს ჩვენს 'მოსისხლე ტრად' არ ჩავთვლით?.. და სწორედ ეს არის ჩვენი სამაისო მოწოდება დღეს - 26 მაისს!..

14.

და ამას არ მოგვიწოდებს ქართული ხალხური სიბრძნეც: ძ ა ლ ა ერთობაშია?..
მაშ, ერთობა მრავალფეროვანებაში - უპირველეს ყოვლისა!..
ერთობა მრავალფეროვანებაში - რაც არ უნდა დაგვიჯდეს!..
ერთობა მრავალფეროვანებაში - როგორც უწყვეტი, მარადიული, ცხოველმყოფელი გზა საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეროვნული აყვავებისაკენ!..

15.

დიდება აწ უკვე დამოუკიდებელ და სუვერენულ საქართველოს!..
დიდება ქართველ ერს!..
დიდება 26 მაისს, საქართველოს ერთობის სიმბოლოს მრავალფეროვანებაში!..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1995 წლის 26 მაისი



# საქართველოს დამოუკიდებლობა

საქართველოს დამფუძნებელი კრება,—რჩეული პირდაპირ თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციონალური საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ,—თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წ. მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აცხადებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ 1918 წ. მაისის 26-ს, ნაშუადღევის 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ აქტს:

# საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

„მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

„მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრებისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

„რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარებმა დატოვეს ამიერკავკასია.

„დარჩენილ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვითონ იკისრა თავის საკუთარი საქმეების გაძღოლა და შესაფერი ორგანოებიც შექმნა; მაგრამ გარეშე ძალთა ზედგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

„ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა იმპერატიულად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საძირკველი ააგოს.

„ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა—დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ცხოვრების ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7) დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელი საბჭოს წინაშე.





# ACT
## of Independence of Georgia

The Georgian National Council, during its plenary sitting of May 26, 1918, declared as follows:

„For several centuries Georgia existed as a free and independent State.

At the end of the eighteenth century Georgia voluntarily allied herself with Russia, with the stipulation that the latter should protect her from enemies without.

In the course of the great Russian revolution conditions arose which resulted in the disorganization of the entire military front and the abandonment of Transcaucasia by the Russian Army.

Thus, left to her own devices, Georgia, and with her all Transcaucasia, took into their hands the direction of their affairs creating the necessary organs for this purpose; but under pressure from exterior forces the links which united Transcaucasian nationalities were broken and the political unity of Transcaucasia was thus dissolved.

The present position of the Georgian people makes it imperatively necessary that Georgia should create a political organization of her own, in order that she may escape from the yoke of her enemies and lay a solid foundation for her free development.

Accordingly the Georgian National Council, elected by the national assembly of Georgia on November 22 (December 5), 1917, declares:

(1) In future the Georgian people will hold sovereign power and Georgia will be a State enjoying all the rights of a free and independent State.

(2) Independent Georgia's form of political organization will be a democratic Republic.

(3) In the event of international conflict Georgia will always remain neutral.

(4) The Georgian democratic Republic will apply itself to establishing friendly relations with all nations, and especially with neighboring nationalities and states.

(5) The democratic Georgian Republic offers to all inhabitants of her territory a wide field for free development.

(6) The democratic Georgian Republic guarantees to all citizens within her territory civil and political rights, without distinction of nationality, religion, social position, or sex.

(7) Until the convocation of the constituent assembly the National Council, with the addition of representatives of the minorities and the provisional government responsible to the National Council, is at the head of all Georgian administation".

On the 12th of March, 1919, the constituent assembly of Georgia confirmed the preceding act in the following terms:

„At its first sitting of the 12th of March, 1919, the constituent assembly of Georgia, elected by citizens of both sexes, according to the direct, equal, universal, secret, and proportional electoral system, proclaims before the world and history that it fully confirms and approves the act of the Independence of Georgia, declared at Tiflis by the Georgian National Council, May 26, 1918".



## ACTE D'INDÉPENDANCE DE LA GÉORGIE

Pendant plusieurs siècles, la Géorgie a existé comme Etat libre et indépendant.

A la fin du XVIII[e] siècle, pressée de tous côtés par des ennemis, la Géorgie s'allia volontairement à la Russie, à condition que la Russie s'engageât à défendre la Géorgie contre ses ennemis extérieurs.

Les événements de la Grande Révolution Russe ont créé une situation intérieure telle que le front de guerre s'est effondré entièrement et que la Transcaucasie a été évacuée par les armées russes.

Abandonnées à leurs propres forces, la Géorgie et avec elle, la Transcaucasie ont pris entre leurs mains le soin et la direction de leurs propres affaires et se sont donné des organes gouvernementaux appropriés. Mais la pression des forces extérieures a amené la dissolution des liens qui unissaient les peuples de la Transcaucasie et l'unité politique de celle-ci s'est effondrée.

La situation présente de la nation géorgienne commande impérieusement à la Géorgie d'avoir sa propre organisation d'Etat, en vue de prévenir, par ce moyen, la conquête du pays par les forces extérieures et de créer des bases solides pour son développement indépendant.

En conséquence, le Conseil National Géorgien, élu par l'Assemblée Nationale, le 22 novembre 1917, déclare :

1. La nation géorgienne rentre en possession de tous ses droits ; la Géorgie est un Etat indépendant qui jouit de tous les droits de la souveraineté.

2. La forme de l'organisation politique de la Géorgie indépendante est la République Démocratique.

3. En cas de conflits internationaux, la Géorgie reste perpétuellement Etat neutre.

4. La République Démocratique Géorgienne désire avoir des relations amicales avec tous les membres de la communauté internationale et, en particulier, avec les Etats et les peuples voisins.

5. La République Démocratique Géorgienne garantit, dans les limites de son territoire, tous les droits civils et politiques, à tous les citoyens également, sans distinction de nationalité, de croyance, d'état social ou de sexe.

6. La République Démocratique Géorgienne ouvre à toutes les nationalités habitant son territoire un champ libre à leur développement.

7. Jusqu'à la convocation de l'Assemblée Constituante, les affaires publiques de toute la Géorgie sont gérées par le Conseil National, avec adjonction des représentants des minorités ethniques, et par le gouvernement provisoire, responsable devant le Conseil National.



## АКТ НЕЗАВИСИМОСТИ ГРУЗИИ

В течение многих веков Грузия существовала как свободное и независимое государство.

В конце XVIII века, теснимая со всех сторон врагами, Грузия добровольно присоединилась к России с условием, что Россия обязывается защищать ее от внешних врагов.

В годы великой революции в России установился порядок, который привел к развалу весь боевой фронт и заставил русские войска оставить Закавказье.

Предоставленная своим собственным силам Грузия, и вместе с нею все Закавказье, сама взяла в свои собственные руки дело устроения своих судеб и создала соответствующие органы, но давление внешних сил привело к нарушению союза, объединявшего народы Закавказья, и к распадению политической его целости.

Нынешнее положение грузинского народа повелительно диктует Грузии необходимость создания своей собственной государственной организации, чтобы спасти себя от порабощения со стороны враждебных сил и заложить прочные основы для свободного развития.

Согласно этому, Национальный совет Грузии, избранный Национальным собранием Грузии 22 ноября 1917 года, ныне всенародно объявляет:

1) Отныне грузинский народ является носителем суверенных прав Грузия — полноправным независимым государством.

2) Формой политического устройства независимой Грузии устанавливается Демократическая республика.

3) В случаях международных столкновений Грузия постоянно нейтральна.

4) Грузинская Демократическая Республика стремится установить добрососедские отношения со всеми членами международного общения, в особенности же с определенными народами и государствами.

5) Грузинская Демократическая Республика гарантирует в своих пределах гражданские и политические права всем гражданам без различия национальности, вероисповедания, социального положения и пола.

6) Грузинская Демократическая Республика всем народностям, населяющим ее территорию, предоставляет широкий простор для свободного развития.

7) До созыва Учредительного собрания во главе управления всей Грузией стоит Национальный совет, пополненный представителями национальных меньшинств, и Временное правительство, ответственное перед Национальным советом».

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ეროვნული ჰიმნი

## დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჰიმნი

### დიდება

დიდება ზეცით კურთხეულს,
დიდება ქვეყნად სამოთხეს
ტურფა ივერსა!

დიდება ძმობა-ერთობას,
დიდება თავისუფლებას,
დიდება სამარადისოდ
ქართველ მხნე ერსა!

დიდება ჩვენსა სამშობლოს,
დიდება ჩვენი სიცოცხლის
მიზანს დიადსა!

ვაშა ტრფობასა-სიყვარულს,
ვაშა შვებასა-სიხარულს,
სალამი ჭეშმარიტების
შუქ-განთიადსა!

მუსიკა: კოტე ფოცხვერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოხუმის დაცემის მეორე წელი

## გზა სოხუმისა და ცხინვალისაკენ მოსკოვზე გადის

მოსკოვმა უნდა დააბრუნოს ლტოლვილები
აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

1.

1993 წლის 27 სექტემბერს დაეცა სოხუმი და ჩვენს აფხაზეთს ფაქტიურად დაე-პატრონა რუსეთი აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით, რის შედეგად ერთ მეოთხედ მილიონ ქართველ ლტოლვილებს გზა გადაუღობა რუსეთის ე.წ-ომა "სამშვიდობო სამხედრო ძალებმა" და ისიც გაეროს მეშვეობით, მდინარე ენგურზე და ქართვე-ლობას არ აძლევს საშუალებას დაბრუნდეს მის მიწა-წყალზე, სახლ-კარში, რომ-ლის დროს დიდმპყრობელი შოვინისტები ისევ-და-ისევ ჩვენი აფხაზი ძმების და-ბრმავებულ ექსტრემისტებს იყენებს, რომელთაც, როგორც ჩანს; იმის შეგნებაც აღარ გააჩნიათ, რომ სწორედ საქართველოს ტერიტორიული ერთობის იმ ტოტს ჭრიან, რომელზედაც თვითონ ზიან, რადგან აფხაზეთის ჩამოჭრა საქართველოდან არა მარტო გეოპოლიტიკურად შეუძლებელია, არამედ თვით საქართველოს ცხოვრების სის ამ ტოტის - აფხაზეთის - გახმობას უდრის.

2.

მაგრამ ყველა ამგვარი დიდმპყრობელურ-შოვინისტური მახინაციების უკან დგას ახლა დემოკრატიული რუსეთი, რომელიც ფაქტიურად გვიღობავს გზას ჩვენ, ქართვე-ლობას ჩვენი შინაური საქმე ჩვენ თვითონ მოვაწყოთ, რომლის დროს, გასაგებია, აფხაზეთი თუ შიდა ქართლში მცხოვრები ოსები ისევე ძმურად იცხოვრობენ ჩვენთან, როგორც მოსკოვის მიერ წამოწყებულ "ეთნიკურ კონფლიქტებამდე", რასაც იყენე-ბდა მოსკოვი , რომ საქართველო იძულებით შეეყვანა ე.წ-დ "დამოუკიდებელ სა-ხელმწიფოთა კავშირში", რასაც სწორედ სოხუმის დაპყრობის შემდეგ მიაღწია, მაგრამ მისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ ლტოლვილების საკითხში არ შეცვ-ლილა და ქართველობას გზას უღობავს დაბრუნდეს თავთავიანთ სახლ-კარში, თუმცა უკვე სოხუმის დაპყრობიდან და დიდმპყრობელ-შოვინისტების გამარჯვებიდან აფ-ხაზეთსა და შიდა ქართლში უკვე ორი წელიწადი გადის.

3.

ამიტომაა ჩვენი პირდაპირი და კატეგორიული მოთხოვნა: რუსეთმა უნდა თავი შეი-კავოს საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევისაგან და მისი ჯარები გაიყვა-ნოს ენგურის სანაპიროებიდან, რომ ქართველობას გზა გაეხსნას დაბრუნდეს თავ-თავიანთ სახლ-კარში. ანალოგიური პოლიტიკა უნდა გაატაროს ცხოვრებაში რუსეთმა ოსი ექსტრემისტების მიმართაც, რომ ქართველ ლტოლვილებს გზა გაეხსნას დაბრუნ-დენ თავთავიანთ სახლ-კარში შიდა ქართლში. ამას მოითხოვს, თუ რუსეთი ჩაუჭიქ-რდება თავის პოლიტიკას საქართველოში, თვით რუსეთის სახელმწიფო ინტერესები თუ რუსეთს არ სურს ყოველი ჯურის ფუნდამენტალისტების გამარჯვება კავკასიაში, რაც ადვილად შეიძლება მოედვას მთელი რუსეთის ღლევანდელ ტერიტორიაზე მცხოვ-რებს სხვა ეროვნებებსაც, რაც გამოიწვევდა ანარქიას მთელს რუსეთში და ამით მის მეზობელ სახელმწიფოებში, ე.ი.თვით საქართველოშიდაც.

4.

ამიტომ ჩვენ, ქართველობამ ვიცით რა, რომ გზა ცხინვალ-სოხუმისაკენ, დღე-ვანდელ საერთაშორისო ძალთა განწყობილების პირობებში, მოსკოვზე გადის,

უნდა გამოვიყენოთ ყოველგვარი დიპლომატიური ხერხი, რომ მოსკოვი დავარ-წმუნოთ საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიის მთლიანობის შენარჩუნების აუცილებლობაში თუ რუსეთს სურს კავკასიაში სტაბილური მდგომარეობის შექმნა. მართალია, როგორც დასავლეთის პრესა და პოლიტოლოგები წერენ, რუსეთს სურს კავკასიაში "არასტაბილური სტაბილური" მდგომარეობის შექმნა, რომ,საბოლოო ჯამში, უშუალოდ დაიპყროს და დააქუცმაცოს კავკასია ისე, რომ რუსეთის პრო-ვინცია გახდეს ეთნოლოგიურადაც, ე.ი. გახადოს კავკასია და ამით საქართველო მხოლოდ გეოგრაფიულ ცნება კავკასიელი ერებისა და ეროვნებების გარეშე.მაგრამ ყოველმა გონიერმა რუსმაც უნდა შეიგნოს ის, რომ ეს შეუძლებელია.

5.

მაშინ რუსეთიც უნდა დაადგეს კავკასიის მიმართ "შესაძლებლობის" გზას, რადგან პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა; და ამგვარი პოლიტიკა მო-ითხოვს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა იქნას შენარჩუნებული, და ამ გზას წინ არ უნდა გადაეღობოს თვით რუსეთიც, ვინც არ უნდა იყოს მისი მმართველი "პოსტბოლშევიკები" თუ დემოკრატები. და ჩვენ?..

6.

საქართველო, საქართველოს მთავრობა და საერთოდ ქართველობა ამ მხრივ, როგორც
ჩანს, ვერ ვიჩენთ უნარიანობას გამოვნახოთ საერთო ენა რუსეთთან არა მარტო
ქართველი ლტოლვილების დაბრუნების საკითხში ჩვენს მიწა-წყალზე. ჩვენ გვჯერა,
– მიუხედავათ იმისა, რომ მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები არავითარ ინიციატივას
არ იჩენს პატარა ერებისა და სახელმწიფოების ინტერესების დაცვის საქმეში,
განსაკუთრებით მაშინ, როცა საკითხი რუსეთს ეხება, – რუსეთი, რუსეთისავე
სახელმწიფო ინტერესების შესაბამისად, დაგვეთანხმება ჩვენ ამჯერად, ქართვე-
ლი ლტოლვილები დავაბრუნოთ შიდა ქართლსა და აფხაზეთში.

7.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბორის ელცინმა, 1994 წლის 3 თებერვალს, თბი-
ლისში, ხელი მოაწერა რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად
აღიარებულია საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს,
ტერიტორიული მთლიანობა. მაშ, საჭიროა, მოქმედება, მოქმედება და ისევ მოქმე-
დება ყველა დონეზე და ყველა სფეროში, რომ ამჯერად ჩვენი ლტოლვილები დავა-
ბრუნოთ შიდა ქართლსა და აფხაზეთში.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1995 წლის 21 მაისი

## ელცინისა და დუდაევის 'ბუმერანგული პოლიტიკა'

1.

3

ბუმერანგი, ავსტრალიური ტომის ენაზე, ხისაგან, უმთავრესად აკაციის ან ევკალიპტის
ტოტისაგან გაკეთებული 8-15 მილიმეტრის სისქისა და 40-90 სანტიმეტრის სიგრძის
ხრახნისხაზოვანი მოღუნული ჯოხი, რომელსაც გააჩნია ისეთი თვისება, რომ თუ მი-
ზანს არ მოხვდა, ბრუნდება ისევ უკან, და თუ დაუფლებული არ არის მის ისევ და-
ჭერის ოსტატობას, შეიძლება მოხვდეს გამსროლველსვე თავში.

2.

და სწორედ ეს ბუმერანგი მომაგონდა, როცა ჩავუფიქრდი ბორის ელცინის, რუსე-
თის ფედერაციის პრეზიდენტისა და ჯოხარ დუდაევის, ჩეჩნეთის პრეზიდენტის
ვაი-პოლიტიკას საქართველოს მიმართ; და აი, რატომ:

3.

დაშალა რა საბჭოთა კავშირი 1991 წლის დეკემბერში და შექმნა რა 'დამოუკიდე-
ბელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა' ყოფილ საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუ-
ბლიკებისაგან, ბორის ელცინმა სამხედრო ძალის გამოყენებას მიჰყო ხელი საქარ-
თველოს წინააღმდეგ, როცა საქართველომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგო-
ბრობაში შესვლაზე უარი თქვა. და რადგან ელცინს ოფიციალურად ომის გამოცხადე-
ბა აღარ შეეძლო საქართველოს აწ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწი-
ფოს წინააღმდეგ, ხელი მიჰყო არაოფიციალური ომის წარმოებას საქართველოს წი-
ნააღმდეგ საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევით. მაგალითები გსურთ?..

4.

ბორის ელცინი და მისი მომხრეები, ჯერ შეეცადენ საქართველოში მუდმივად მცხო-
ვრები რუსების ამხედრებას საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, რასაც არა-
ვითარი შედეგი არ მოყვა, რადგან თვით საქართველოში მუდმივად მცხოვრებმა
რუსებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ მათ არავინ არ ჩაგრავს საქართველოში,
და ამით არ წამოეგენ დიდმპყრობელი შოვინისტების ანკესზე.

5.

ბორის ელცინი შეეცადა აგრეთვე საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების
საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ ამხედრებას, და როცა აზერბაიჯანელე-
ბიც არ წამოეგენ დიდმპყრობელ შოვინისტების ანკესზე, ადვილად გამოიყენეს
საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ შიდა ქართლში მცხოვრები ოსების ექსტ-
რემისტული ნაწილი, რომლებიც ისე გათამამდენ, რუსეთის სამხედრო ძალებზე და-
ყრდნობით, რომ ჩვენი ცხინვალი ქართველებისაგან გაწმინდეს, რასაც შეეწირა
ათასობით ქართველობა, ხოლო ათასობით ქართველობა იძულებული გახდა დაეტოვე-

ბიათ შიდა ქართლი, რომ ამ გზით როცა თავი დაეღწიათ გათავხედებული ოსი ექსტრემისტების გენოციდისაგან; ამგვარი დიდმპყრობელურ-შოვინისტური პოლიტიკითაც ვერ შეძლო საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში შეყვანა, რუსეთმა გააძლიერა სამხედრო ძალის გამოყენება საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, ამჯერად, აფხაზეთში.

6.

იმდენად ოსტატურად იმოქმედეს დიდმპყრობელმა-შოვინისტებმა ჩვენს აფხაზეთში, რომ საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ აამხედრეს ჩვენი ძმების - აფხაზების ექსტრემისტები და რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა დაიწყეს საქართველო-აფხაზეთის ომის შესახებ პროპაგანდა, და მსოფლიო საზოგადოებრიობაში შეიქმნა აზრი თითქოს საქართველოს სახელმწიფო ომს აწარმოებს აფხაზეთის სახელმწიფოსთან, რომლის დროს სრულიად მიჩქმალულ იქნა ის ფაქტიც, რომ ოთხმოც-ათასიანი აფხაზეთის ექსტრემისტულ ნაწილს როგორ შეეძლო ომის წარმოება რეაქტიული თვითმფრინავებითა და საზღვაო ფლოტითაც კი საქართველოს წინააღმდეგ?!.. დაიწყო რა ქართველობის გენოციდი აფხაზი, ჩრდილოკავკასიელი და რუს-კაზაკების ექსტრემისტებისაგან, რომლის დროს ათასობით ქართველობა იქნა გაჟლეტილი; მოსკოვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი საერთაშორისო მასშტაბით ავრცელებდნენ ცნობებს, რომ რუსეთის გემებს გაჰყავს ქართველობა აფხაზეთიდან, რომ გადაარჩინოს სიკვდილს; და დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნები რუსეთის ამგვარ მოქმედებას ჰუმანიტარულ მოქმედებად აფასებდა და სდუმდა იმის შესახებ, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა საქართველოს უმშვენიერეს კუთხეს აფხაზეთს აცარიელებდა ქართველობისაგან, ე.ი. ეთნოლოგიურად იპყრობდა საქართველოს; და როცა 1992 წლის სექტემბერში ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს სახელმწიფო მეთაური, ალყაშემორტყმულ სოხუმში იმყოფებოდა და რუსეთს შესთავაზა საქართველოს შესვლა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირში, ამანაც უკვე ვეღარ დააკმაყოფილა რუსეთი და 1992 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა და ჩვენს აფხაზეთში გაბატონდა რუსეთი აფხაზი-ექსტრემისტების ნიღბით; სინამდვილეში კი დაიწყო ჩრდილო-კავკასიელ ბოევიკთა თუ რუს-კაზაკთა და სხვათა ჩასახლება საქართველოს ამ კუთხეში, ხოლო ქართველთა სამას-ათასიანი ლტოლვილები დღემდე, სოხუმის დაცემის შემდეგ თითქმის ორი წლის შემდეგ, უშედეგოდ ელოდებიან თავთავიანთ მიწა-წყალზე დაბრუნებას შიდა ქართლსა და აფხაზეთში, რომლის მთავარი ჯებირი - ამჯერად გაეროს ეგიდით ენგურის სანაპიროებზე განლაგებული ე.წ-ლი რუსეთის სამშვიდობო ნაწილებია.აი, როგორ გადმოისროლა ბუმერანგი რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ, თუმცა საქართველო უკვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაერთიანების წევრია, რუსეთს საქართველოში ხუთი სამხედრო ბაზა გააჩნია 25-ი წლის ვადითაც კი, და საქართველოს სახელმწიფო დაცვაც რუსეთის უშუალო მონაწილეობით ხდება. ამგვარად, რუსეთმა მიიღო ყველაფერი საქართველოდან, რაც მას სურდა; საქართველო კი ელოდება რუსეთის მოწყალებას, რომ ქართველი ლტოლვილები დაბრუნდნენ თავ-თავიანთ მიწა-წყალზე, რომელსაც ხელს უშლის სწორედ რუსეთის ხელმძღვანელობა, რადგან ისინი ბატონობენ როგორც ოს, ისევე აფხაზ ექსტრემისტებზე და ალაპარაკებენ და აკეთებინებენ იმას, რაც დიდმპყრობელ-შოვინისტებს სურთ, და ესაა რუსეთის იმპერიის ისევ აღდგენა თუ ეს შესაძლებელია.

7.

მაგრამ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენა არა მარტო ოსი და აფხაზი ექსტრემისტები, არამედ რუსეთის დაჩაგრული ერებიც კი; და აქ საქმე ეხება უკვე კავკასიის მთების იქეთ მდებარე ხალხებს, რომლებმაც, ბორის ელცინის მსგავსად, ბუმერანგი გადმოისროლეს საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ, როცა შექმნეს 'კავკასიის ხალხთა კონფედერაცია', რომელშიც საქართველოს კუთხე აფხაზეთი შეიყვანეს, და ჩვენი ქალაქი სოხუმი 'ჩრდილო-კავკასიის კონფედერაციის' დედაქალაქად გამოაცხადეს. შეუძლებელია პოლიტიკური სიბეცე უფრო შორს წავიდეს!.. კიდევ მეტი: ჩრდილო-კავკასიელი მოხალისე ბოევიკები შემოიჭრნენ საქართველოში, ჩადგნენ აფხაზი ექსტრემისტების რიგებში და დაიწყეს ბრძოლა საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ, რომლებსაც რუსეთი არა მარტო შეიარაღებით არამედ სამხედრო ნაწილებითაც ეხმარებოდა და თვით მოდერნული ავიაცია და სამხედრო საზღვაო ძალებიც კი გამოიყენა საქართველოს ისედაც სუსტი სამხედრო ძალების წინააღმდეგ. ეს უთანასწორო ბრძოლა, როგორც ავღნიშნეთ, დამთავრდა რუსეთის გამარჯვებით, რომელმაც ოსტატურად გამოიყენა ოსი და აფხაზი ექსტრემისტების ნიღაბი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8.

და აქ მივედით ჩეჩნეთის პრეზიდენტის ჯოხარ დუდაევის მიერ გადმოსროლილ ბუმერანგთან, როცა მან ჩეჩენ ბოევიკების შესვლა აფხაზეთში და მათი ჩაბმა რუსეთთან ერთად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლებში არ აღკვეთა, თუმცა ეს მას შეეძლო. კიდევ მეტი: ჩეჩენი და ჩრდილო-კავკასიელი სხვა ბოევიკები, აფხაზ ექსტრემისტებ თუ კაზაკებთან ერთად, ერთმანეთში ინაწილებდნენ ჩვენს მიწა-წყლიდან გასახლებულ ქართველთა სახლ-კარსა და ქონებას და დღესაც მათ მფლობელობაშია. აი, ასე გამოიყენა რუსეთის იმპერიულმა ძალებმა ჩვენი ძმების, აფხაზეთის ექსტრემისტული ნაწილი და ჩრდილო-კავკასიელი ჩვენი მეზობელი ხალხები; და თვით ჯოხარ დუდაევიც - ნებსით თუ უნებლიეთ - ჩაება ამ სამარცხვინო საქმეში, როცა მან არ აღკვეთა ჩეჩენი ბოევიკების ბრძოლა ე.წ.-ლ აფხაზურ ბატალიონში საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც ჩანს,- როგორც ძნელი არ უნდა იყოს ამ სიტყვების თქმა,- ისტორიასაც გააჩნია რაღაც თავისებური სამართალი: აქამდე მოაღწია ბორის ელცინისა და ჯოხარ დუდაევის გადმოსროლილმა ბუმერანგებმა, რომლებმაც - ბუმერანგის წესით - დაიწყეს გადმომსროლელებისაკენ უკან დაბრუნება, როცა კონფლიქტმა ჩეჩნეთსა და რუსეთს შორის მიიღო მწვავე ხასიათი და უკვე ომის წარმოებს აგერ უკვე ოთხი თვეა, რომლის დროს ჩვენ თვალწინ ნადგურდება ჩეჩნეთი და ჩეჩენი ხალხი. რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი სიმპატია ჩეჩნეთისა და ჩეჩენი ხალხის მხარეზეა, მაგრამ რატომ ვერ გაითვალისწინეს ვერც ბორის ელცინმა და ვერ ჯოხარ დუდაევმა, რომ საქართველოს აწ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო ტერიტორიალურ მთლიანობაზე ხელყოფა აფხაზეთში თუ შიდა ქართლში, ჯაჭვით რეაქციას გამოიწვევდა?..

9.

გენერალ ჯოხარ დუდაევმა, ალბათ, გაიფიქრა: თუ ბორის ელცინს სურს შიდა ქართლისა და აფხაზეთის საქართველოდან მოწყვეტა, რატომ არ შემიძლია მე ჩამოვშორდე რუსეთს?.. ბორის ელცინმა კი, როგორც ჩანს, გაიფიქრა: ვის შეუძლია რუსეთს ენა შეუბრუნოს საქართველოს შინაგან საქმეებში ჩარევასა ან რუსეთის მთლიანობის შენარჩუნებაში?.. არც ჯოხარ დუდაევისა და არც ბორის ელცინის ამგვარი ვაი-პოლიტიკა არ გამართლდა და ბუმერანგივით შეუბრუნდა ბორის ელცინსა და ჯოხარ დუდაევს, რაც გრძელდება დღესაც და არავინ არ იცის, თუ ვის მოხვდება აწ უკვე გასროლილი ბუმერანგი თავში ელცინს თუ დუდაევს თუ ორივეს ერთად.

10.

რა თქმა უნდა, ჩვენ არც ბორის ელცინს ამით რუსეთს და არც ჯოხარ დუდაევს და ამით ჩეჩნეთს არ ვუსურვებთ, რომ მათ თავში მოხვდეს მათგან გასროლილი ბუმერანგი, მაგრამ რატომ არ ჩაუფიქრდა არც ერთი და არც მეორე, რომ ვინც საქართველოს სახელმწიფოებრივ და ტერიტორიულ მთლიანობას ხელს ჰყოფს, ვინც ქართველი ერის გამასტაბილიზებელ როლს არ აღიარებს კავკასიაში, იგი კავკასიის საერთო ცხოვრების სის იმ ტოტს ჭრის, რომელზედაც ის თვითონზის?.. ისტორიის სამართლიანობად უნდა ჩავთვალოთ ისიც, რომ ჯერ ჩეჩენი ბოევიკები, "აფხაზურ ბატალიონში", აფხაზ ექსტრემისტებსა და რუსებთან ერთად საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ იბრძოდნენ საქართველოში, ხოლო ახლა ქართული მიწის, აფხაზეთის მიტაცების მქდლელები ერთმანეთს დაესხნენ ჩეჩნეთში და გუშინდელი მოკავშირეები - ჩ ე ჩ ნ ე ბ ი და რუსები - დღეს ერთმანეთს ებრძვიან?.. ნუთუ ჩრდილო-კავკასიელ ბოევიკებმა ვერ მიხვდნენ თუ ვის ანკესზე იყვნენ წამოგებული, როცა საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ იბრძოდნენ საქართველოს ძირძველ მიწა-აფხაზეთში?.. და ამის ლოგიკურ შედეგად არ უნდა ჩაითვალოს, რომ ახლა ბუმერანგებმა ელცინისა და დუდაევისაკენ იბრუნეს პირი?.. განა რუსეთისა და ჩეჩნეთის, ისევე როგორც კავკასიის ყველა ერისა და ეროვნების გარდაუვალ ინტერესებში არ შედის, რომ საქართველო იყოს და დარჩეს ერთიანი, განუყოფელი, სტაბილური დემოკრატიული სახელმწიფო?..

11.

და,- ვლაპარაკობთ რა ელცინისა და დუდაევის ბუმერანგებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ჰაერშია. და არ ვიცი თუ ვის დაეცემა თავზე,- ვითომ ჩვენც, ქართველობას, საქართველოსაც არ მიუძღვის ბრალი ყველაფერ აღნიშნულში, როცა ჩვენ მივივიწყეთ, რომ პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებაა, ბრძოლა დავიწყეთ არა საქართველოს, ქართველი ხალხის მტრების წინააღმდეგ, არამედ დავერიეთ ერთმანეთს, რომლის დროს უგულებელვყავით კანონის უზენაესობაც კი?.. და ჩვენი ამგვარი პოლიტიკის შედეგი არ არის ის, რომ ლტოლვილების დაბრუნება ვერ მოვახერხეთ დღემდე ცხინვალსა და სოხუმში?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვსურს დავიჯეროთ, რომ რუსეთმაც და ამით ბორის ელცინმაც შეიგნო 'ბუმერანგული პოლიტიკის' ამგვარი დამღუპველი შედეგები თვით რუსეთისთვისაც; და ეს ფაქტი არ უნდა მივიღოთ მხედველობაში, როცა მოლაპარაკებას ვაწარმოებთ რუსეთთან არა მარტო ქართველი ლტოლვილების დაბრუნების შესახებ შიდა ქართლში და აფხაზეთში?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1995 წლის 12 მაისი

## აფხაზი და ქართველი

"ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ერთად დაგვიცავს ჩვენი ეროვნული რაობა და ჩვენი მიწა-წყალი. ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართო, ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს არა მგონია ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია, აფხაზებსაც ასე მიაჩნდათ ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, 'იგი თავისა მტერია'. ჩვენ დიდი ქართველები გვანებივრებდნენ, არასოდეს გვაგრძნობინებდნენ, რომ პატარა ერი ვართ. აი, აკაკის 'გამზრდელი' აიღეთ. მე იგი საგანგებოთ ვთარგმნე, როგორც ამ გრძნობისა და მეგობრობის დიდი დოკუმენტი".

დიმიტრი გულია - აფხაზი მწერალი

## აფხაზეთი საქართველოა

"აფხაზეთის პოლიტიკური ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია ქართველი ხალხის ისტორიასთან. აფხაზეთში, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, აღორძინდა ახალი ქართული სახელმწიფო. დღეს მთელი აფხაზეთის ტერიტორია მოფენილია ქართული ეკლესიებითა და ქართული წარწერებით. აფხაზური ტექსტისათვის ჩვენ ვხმარობთ ქართულ ანბანს, ქართულ ტრანსკრიპციას, რაც სავსებით ეგუება და ეთანაბრება აფხაზურს".

პეტრე ჭირაია - მეცნიერი და საზოგადო
მოღვაწე, 1912 წელი

## "გათიშე და იბატონე":

"მოსკოვი ნებისმიერი რეჟიმის პირობებში იცავდა პრინციპს 'გათიშე და იბატონე'. ბოლოს და ბოლოს ყველამ უნდა გაიცნობიეროს, რომ აფხაზეთში მიმდინარეობს აფხაზი და ქართველი ხალხების მეთოდიკური ჟლეტა მესამე ძალის სასარგებლოდ, შურისძიების პრინციპით: 'თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ'.
ვლადისლავ არძინბა და 'აიდგილარას' ლიდერები - ეს სულაც არ არიან აფხაზი ხალხი. დარწმუნებული ვარ, აფხაზური სეპარატიზმის ლიკვიდაციასთან ერთად, აღმოიფხვრება ქართული ექსტრემიზმის ფესვებიც".

ლორიკ მარშანია - აფხაზი მეცნიერი და
საზოგადო მოღვაწე

# ჩვენი საჭირბოროტო საკითხები

**'შრომა მედგარი'**

"აზრი სწორი და შრომა მედგარი,
ბედნიერების მოსაპოვებლად
ერთი სახსარი მხოლოდ ეგ არი."

ვაჟა-ფშაველა

**'სამშობლოვ ჩემო...'**

„შენა ხარ ჩემი ჯილდოც, სასჯელიც, გულზე ახლოს ხარ და ღმერთზე ზემოთ, ჩემო ტანჯულო, ჩემო მტანჯველო, დაულეველო სამშობლოვ ჩემო. შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგეძებ, როგორც დაეძებს საჭმელს მშიერი და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე შემაძრწუნებლად ვარ ბედნიერი".

ოთარ ჭილაძე

## დ ე პ უ ტ ა ტ ი ს   ღ ი რ ს ე ბ ა

### საქართველოს პარლამენტის მდგომარეობა

1.

"დეპუტატის ღირსება" – "საქართველოს პარლამენტის მდგომარეობა" – ასეთ სათაურსა და ქვესათაურს ვაძლევთ ამ შენიშვნას იმიტომ, რომ საქართველოს პარლამენტის მუშაობის აღწერამ ქართულ პრესაში იმდენად ჩაგვაფიქრა, რომ ჯერ დეპუტატის ღირსებაზე ლაპარაკი ჩავთვალეთ საჭიროთ, რადგან არ გვჯერა, არ გვსურს დავიჯეროთ, რომ საქართველოს პარლამენტში მართლაც ისეთი მდგომარეობაა, როგორც ამას აღწერს, ვთქვათ, 1994 წლის 6-ი და 15-16-ი ივნისის, აწ უკვე მოძველებული გაზეთი, რადგან პრესის ორგანოების დროული მიღება უცხოეთში უკვე დიდი პრობლემა გახდა. მაგრამ დღეს ვითომ მდგომარეობა საქართველოს პარლამენტში ნორმალურია?..

2.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში, პარლამენტში და მართლმსაჯულებაში მოღვაწეობა, უდავოა, დიდი ღირსებაა საქართველოს ყოველი მოქალაქისათვის; და ხალხი, როცა პარლამენტის დეპუტატად ირჩევს რომელიმე მოქალაქეს, ამით დიდ ღირსებას ანიჭებს არჩეულ დეპუტატს პიროვნულად და, ამავე დროს, დიდ ვალდებულებას აკისრებს მას ემსახუროს საქართველოს სახელმწიფოს და იყოს ღირსეული წარმომადგენელი საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში იმ ამომრჩევლებისა, რომლებმაც ის აირჩიეს. და, ნათელია, აგრეთვე, რომ დეპუტატმა, მისი მოღვაწეობის ანგარიში უნდა ჩააბაროს პირველყოვლისა მის ამომრჩევლებს, მის საარჩევნო უბანში, და ამომრჩევლებიდან უნდა მიიღოს რჩევა-დარიგება თუ როგორ უნდა იმოქმედოს მან, როგორც დეპუტატმა, სახელმწიფო საკანონმდებლო ორგანოს წევრმა. დეპუტატი არის მთელი ხალხის წარმომადგენელი და ხალხის ნებასურვილის ორგანო, და არა მოხელე, კერძო ინტერესების წარმომადგენელი თუ აგენტი. და დემოკრატიული სახელმწიფოს პარლამენტის დეპუტატის ამგვარ ვალდებულებებსა და უფლებებს განსაზღვრავს კანონი, თვით სახელმწიფოს კონსტიტუციის საფუძველზე, რომლისაგან, ნათელია, საარჩევნო კანონიც გამომდინარეობს.

3.

სისპეტაკე, მებრძოლი სულისკვეთება, სამართლიანობისაკენ სწრაფვა, საზოგადოებრივი საქმის პიროვნულზე უფრო მაღლა დაყენება – არის დეპუტატის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, დამახასიათებელი. პოლიტიკოსს კი, დემოკრატიულ სახელმწიფოში, – არის ის პარლამენტში თუ მთავრობაში – არ შეუძლია კონფლიქტი გარდალახოს და მოაგვაროს რიტორიკული ნიჭის გარეშე, რომლის დროს დიპლომატიური მოქნილობაა უცილობელი, რადგან "ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების". დეპუტატის რიტორიკაში კი უნდა მჟღავნდებოდეს კულტურა, თავდაჭერილობა, საქმისადმი სიყვარული, რაც, ჩვენის აზრით, ყველაზე უფრო სადგომლობს მშრომელ ადამიანში – არის იგი ქალაქის თუ სოფლის შვილი. ჯანსაღი აზრები, ჯანსაღი განსჯის უნარიანობა – სწორედ ასეთ ადამიანებში სადგომლობს. ვიმედოვნებთ, ასეთი თვისებები გააჩნიათ საქართველოს პარლამენტის დეპუტატების უმრავლესობას, დიდ უმრავლესობას. წარმოუდგენლად გვესახება იმის გაფიქრებაც კი, რომ დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს სახელმწიფოს ჩვენი ხალხისაგან დემოკრატიული გზით არჩეულ პარლამენტში ღირსეული პირები არ ისხდენ, და თავიანთი მთელი შეგნებით, ცოდნითა და გამოცდილებით საქართველოს, ქართველ ერს არ ემსახურებოდენ. ვიმეორებთ: ეს ჩვენ გვჯერა.

4.

მაგრამ აღნიშნული გაზეთი "თბილისი" საქართველოს პარლამენტის ტრაგიკულ მდგომარეობას რომ აღწერს ცნობაში პარლამენტის მუშაობის შესახებ? - აი, ამონაწერები:"კიტოვანი ომს უცხადებს ომანიძეს"; "ზოგიერთის, განსაკუთრებით კი ოპოზიციის წარმომადგენელთა მტკიცებით, თვით პარლამენტში ბევრი კორუმპირებული, მაფიასთან დაკავშირებული პირი, უცხო ქვეყნის შენიღბული აგენტია მოკალათებული"; "დღეს საქართველო კლანური სახელმწიფოა და ხელისუფლება რეალურად ვერ ფლობს ძალაუფლებას;" "ხხლომაზე პარლამენტის სპიკერი ვახტან გოგუაძე...ზუსტად 10 საათზე გამოცხადდა დარბაზში და მაშინვე დამსწრეთა აღრიცხვას შეუდგა...პირველმა რეგისტრაციამ მხოლოდ 36 დეპუტატის ყოფნა დააფიქსირა. რამდენიმე წუთის შემდეგ მეორედ გაიმეორა ეს პროცედურა. ტაბლოზე ამჯერად აინთო ციფრი - 69. მესამე რეგისტრაციისას დარბაზში 106-ი დეპუტატი აღმოჩნდა. მხოლოდ მეოთხე ცდის შემდეგ შედგა ქვორუმი...121 კაცის დასწრება, თუმცა დეპუტატ ზურაბ მურვანიძის მტკიცებით, ამ დროს დარბაზში იმყოფებოდა 99 კაცი. სპიკერმა არავითარი რეაქცია არ მოახდინა ამ შენიშვნაზე..."("თბილისი",6.6.1994 წ.).

5.

15-16 ივნისის(1994 წ.) იმავე გაზეთში არანაკლებ საშინელებას ვკითხულობთ: "წელიწადნახევარზე მეტია, რაც ჩვენი პარლამენტი არსებობს და ჯერ არ მახსოვს შემთხვევა, რომ ხხდომა დროზე დაწყებულიყოს." "...ნოდარ ნათაძემ მისთვის ჩვეული ტონით დასვა რიტორიკული კითხვა:ამ სახელმწიფოს ჰყავს თუ არა ხელისუფლება, არსებობს თუ არა მთავრობა, შეუძლიათ თუ არა ქვეყნის მართვა?" "ირაკლი წერეთლის თქმით, ქვეყანას უვარგისი ხელისუფლება და მთავრობა ჰყავს." "იყო ასეთი გამოთქმებიც:"მკვდარი სახელმწიფო"(აკაკი ბობოხიძე),"ხალხის მოტყუება"(თენგიზ სიგუა)." "სპიკერი ამაოდ ცდილობდა მოკამათეთა დამშვიდებას. - ეს უკვე ხხდომა არ არის - გაიძახოდა იგი.". გაზეთ "თბილისის" 1994 წლის 24 ივნისის ნომერში კი ვკითხულობთ:"ამას მაშინვე მოყვა თენგიზ კიტოვანის მწვავე რეაქცია. - მურმან ომანიძემ ორი მილიონი დოლარი მოიპარა, ქვეყანა გაძარცვა, თუ ხალხს ნამუსი აქვს, ეს კაცი დეპუტატად არ უნდა გავიდეს."

6.

...შევწყვიტოთ!.. გვეყოფა ამდენი სისაძაგლის აღწერა და ისიც დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს საღვთისმეტყველო ორგანოში!.. საკითხავია მხოლოდ: საქართველო, ქართველი ხალხი, ქართველობა საერთოდ ცნობილია როგორც დარბაისელი, ზრდილობიანი იერით, არა მარტო საქართველოს ქალაქებში, არამედ განსაკუთრებით საქართველოს დაბებსა და სოფლებში. ქართველი გლეხის, ქართველი მშრომელის ზრდილობა, სიტყვა-პასუხი ისეთი იერისაა, რომ არა ერთმა უცხოელმა არა ერთხელ დაწერა, რომ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში ყველა"თავადებია", რომლის დროს სიტყვა "თავადებში" ნაგულისხმევია არა სოციალური, არამედ ზრდილობიანი ყოფა-ქცევა; და რა მოგვივიდა დღეს, რომ ჩვენ, ხალხმა საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანო პარლამენტში ავირჩიეთ ადამიანები, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ შეგნებულად თუ შეუგნებლად?.. ვამბობთ: შეგნებულად თუ შეუგნებლად იმიტომ, რომ საქართველოს პარლამენტში მართლაც ხომ არ არის თითო-ოროლა დეპუტატი, რომლებიც შეგნებულად პროვოკაციულ განცხადებებს აკეთებს, რომ ამ გზით სახელი გაუტეხოს ჩვენს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს და ამით საქართველოს, ქართველ ერს, რა თქმა უნდა, საქართველოს შენიღბული მტრების მთაგონებით?.. როგორ შეიძლება, რომ პარლამენტის ერთმა დეპუტატმა მეორე დეპუტატს ღიად, ყველას გასაგონად დააბრალოს, რომ მან "ორი მილიონი დოლარი მოიპარაო?.." როგორ "მომპარველი", "მძარცველი" საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის - დეპუტატია?..დაუჯერებელია, განსაცვიფრებელია და ტრაგიკულია ამავე დროს ისიც, რომ ადამიანს"მომპარავი",რომ არ ვქვათ "ქურდი", თუ "მძარცველი" არასოდეს არ უნდა ეწოდოს, სანამ მას აღნიშნულ ბრალდებას სასამართლო არ მიუყენებს და დასჯის; და ნუთუ ეს ანბანური ჭეშმარიტება მივიწყებულია საქართველოს პარლამენტში?..

7.

ამდენად, გაზეთ "თბილისის" აღნიშნულ ცნობებში ჩვენ იმდენად მაინც გვხურს ეჭვის შეტანა, რომ საქართველოს აწ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს საკანონმდებლო ორგანოში - პარლამენტში - ქართველმა ხალხმა აირჩია დეპუტა-

ცების დიდი, დიდი უმრავლესობა, რომლებიც ღირსეული ადამიანებია თავიანთი ზრდილობით, სიტყვა-პასუხით; ხოლო რაც შეეხება თითო-ოროლა დეპუტატს, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ამგვარი დეპუტატები, ალბათ, ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს პარლამენტებშიც მოიპოვება, რომელთა წინააღმდეგ საქართველოს, ქართველ ხალხს გააჩნია ერთადერთი და მეტად მჭრელი საშუალება: მომავალ არჩევნებში, რომელიც საქართველოში მიმდინარე წლის შემოდგომაზე უნდა ჩატარდეს, აღარ აირჩიოს ისეთი დეპუტატები, რომლებზედაც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ - დავეყრდენით რა გაზეთ "თბილისში" გამოქვეყნებულ ცნობებს.

8.

იყო საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატი, პარლამენტის წევრი - ეს არის უდიდესი ღირსება, და ჩვენ გვჯერა, რომ ასეთი ღირსების ადამიანებია არჩეული საქართველოს პარლამენტში; და თუ თითო-ოროლა ვერ აკმაყოფილებს დეპუტატის ამ მოთხოვნას, მაშინ გადაწყვეტილებას დებულობს საქართველოს ან დემოკრატიული სახელმწიფოს ერთადერთი სუვერენი - ხალხი, ამომრჩევლები და ასეთ ადამიანებს არ აირჩევს პარლამენტში. ეს არის დემოკრატიული სახელმწიფოს ერთადერთი კანონიერი გზა; და თუ კანონის დარღვევასთან გვაქვს საქმე, აქ მოქმედებაში შედის მართლმსაჯულების ორგანო - სასამართლო -, რომელიც უფლებამოსილია დასაჯოს დამნაშავე არსებული კანონების შესაბამისად. ამგვარად, კანონის უზენაესობა იცავს დეპუტატის ღირსებასაც, რომლის შელახვის უფლება არავის არ აქვს, რადგან დეპუტატის ღირსება ჩვენი ერის ღირსებაცაა.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1995 წლის 21 აპრილი

---

## ვ ი ს წ ა ვ ლ ო თ   ფ რ ა ნ გ ი   ე რ ი ს ა გ ა ნ

### პოლიტიკური კულტურის სანიმუშო მაგალითი

1.

'ვისწავლოთ ფრანგი ერისაგან' - 'პოლიტიკური კულტურის სანიმუშო მაგალითი' - ასეთ სათაურსა და ქვესათაურს ვაძლევთ ამ შენიშვნას იმიტომ, რომ ეს-ესაა საფრანგეთში ჩატარდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები, რომლის მსვლელობა, სანიმუშო არ არის  არა   მარტო საქართველოსათვისაც?!.. მაგრამ ჯერ თვითონ ფაქტი:

2.

საფრანგეთის 'მეხუთე რესპუბლიკის' კონსტიტუციის შესაბამისად, 1995 წლის 23 აპრილს, საფრანგეთში ჩატარდა რესპუბლიკის პრეზიდენტის პირველი ტურის არჩევნები, რომლის დროს წამოყენებული იყო ცხრა სხვადასხვა პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი, რომელთა შორის იყო უკიდურესი მემარჯვენე და მემარცხენე პარტიების წარმომადგენლებიც, როგორც, მაგალითად, ფილიპ დე ვილიერი და არლეტ ლაგიერი. მაგრამ პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების აბსოლუტური უმრავლესობა, და საჭირო გახდა მეორე ტურის ჩატარება 1995 წლის 7 მაისს, ამჯერად მხოლოდ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც პირველ ტურში დაიკავეს პირველი და მეორე ადგილი; ასეთი ორი საპრეზიდენტო კანდიდატი გახდა: ლიონელ ჟოსპანი, საფრანგეთის სოციალისტური პარტიიდან, და ჟაკ შირაკი, საფრანგეთის 'რესპუბლიკის ერთობის' პარტიიდან, რომლებმაც პირველ ტურში პირველი და მეორე ადგილი დაიკავეს.

3.

არჩევნების მეორე ტურში კი ხმების უმრავლესობა, სულ 15.763.027 ხმა მიიღო ჟაკ შირაკმა; ლიონელ ჟოსპანმა კი მიიღო სულ 14.180.644 ხმა; ამგვარად ხმების 52,64 პროცენტით საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა ჟაკ შირაკი, ლიონელ ჟოსპანის წინააღმდეგ, რომელმაც მიიღო ხმების 47,36 პროცენტი, რის შედეგად, 1995 წლის 15 მაისს, საფრანგეთის პრეზიდენტის მოვალეობა ოფიციალურად გადაიბარა ჟაკ შირაკმა, რომელიც შვიდი წლის განმავლობაში წარმართავს საფრანგეთის სახელმწიფო ხელისუფლებას, რადგან, საფრანგეთის კონსტიტუციის თანახმად, საფრანგეთის პრეზიდენტი ირჩევა შვიდი წლით.

4.

აი ან უკვე ისტორიული ფაქტი, რომელსაც ჩვენ ვთვლით პოლიტიკური კულტურის სანიმუშო მაგალითად, რომლისაგან ჩვენც, ქართველობას, საქართველოს სახელმწიფოს შეუძლია ბევრი რამეს სწავლა, თუ ჩვენ გვსურს დემოკრატიული, სამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თლებრივი სახელმწიფოს ისევ გასრულყოფილება, როგორც ეს ჩვენ გაგვაჩნდა 1918-1921 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ჩვენი 'პატარა ოქროს ხანის' დროს; და, აი რატომ:

5.

საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში, როგორც ავღნიშნეთ, მონაწილეობა მიიღეს ცხრა სხვადასხვა პარტიის კანდიდატმა, რომლის დროს პარტიები და მათი კანდიდატები პროგრამებით, არგუმენტაციებით, საჭირბოროტო საკითხების განხილვით და მათი პრაქტიკული განხორციელების საშუალებათა გამონახვით იბრძოდენ ერთმანეთის წინააღმდეგ, რომლის დროს ამომრჩევლებს შესაძლებლობა გააჩნდათ ამოერჩიათ საპრეზიდენტო კანდიდატი თანამედროვე ცივილიზებული, ინდუსტრიული საზოგადოების ყველა სპექტრიდან თვით, როგორც ავღნიშნეთ, უკიდურესი მემარცხენე პარტიის 'ტროცკისტების'(არლეტ ლაგიერ), კომუნისტური პარტიის(რობერტ უე) - ერთი მხრივ - თუ უკიდურესი მემარჯვენე პარტიის(ფილიპ დე ვილიერ), 'ნაციონალური ფრონტის'(ყან-მარი ლე პენ) ჩათვლით, მეორე მხრივ.

ალბათ, ფრანგი ერი ერთადერთი ერია, რომელიც თავისთავში უმტკივნეულოდ აერთებს ყველა თანამედროვე აზრებისა და იდეოლოგიების მიმდევრებს, რომლის დროს უკიდურესი მემარცხენეები და უკიდურესი მემარჯვენეებიც კი იმდენ შემწყნარებლობას იჩენს, რომ ყველა ეტევა, ექცევა პოზიცია-ოპოზიციის, დემოკრატიის ამ მოტორის, სფეროში. ამის მაგალითია, თუ გნებავთ, საფრანგეთის ისტორიის უკანასკნელი 14-ი წლის მონაკვეთი, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტი იყო ფრანსუა მიტერანი, სოციალისტი და დემოკრატი, ხოლო საფრანგეთის პრემიერმინისტრი, ამ ხნის განმავლობაში, ორჯერ იყო მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლები, უკანასკნელად ედუარდ ბალადური; და მიუხედავათ ამისა, მემარცხენე და მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლები თანამშრომლობდენ ერთმანეთთან, რომლის დროს, უსახაგებია, მათი მოქმედების ცენტრში იდგა საფრანგეთის ფრანგი ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა; და ახლა, როცა საფრანგეთის პრეზიდენტია ყაკ შირაკი, ასე ვთქვათ, მემარჯვენე პარტიების წარმომადგენელი, იგი მის ამოცანად ისახავს, როგორც მან თქვა ინაგურაციის, ე.ი. მისი პრეზიდენტობის მოვალეობის გადაბარების დროს, -'...საფრანგეთის ერთობის რესტავრაციას' და გაძლიერებას, და დასძინა:'მე ჩემს თავს ვგრძნობ ფრანგი ხალხის იმედის შემნახველად'.

6.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ როცა 1981 წელს ფრანსუა მიტერანი პირველად არჩეულ იქნა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად, ის, მისი ინაგურაციის დროს, ერთი წითელი ვარდით ხელში, საზეიმო ვითარებაში, შევიდა პარიზში, პანთეონში, სადაც განისვენებენ საფრანგეთის ხალხის წინაშე დამსახურებული ისტორიული პიროვნებები, მივიდა ყან ყორესის(1859-1914) აკლდამასთან და დაასვენა მასზე ერთი წითელი ვარდი და ამით პატივი სცა მას, როგორც საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დამაარსებელს, როცა მან 1901 წელს შექმნა ერთი სოციალისტური და დემოკრატიული პარტია სოციალისტური სხვადასხვა დაჯგუფებებისაგან. და ახლა, 1995 წელს, ანალოგიურად პატივი სცა ფრანგი ერის წარსულს, როცა საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა - ყაკ შირაკმა - ესტუმრა ლოტარინგიის დაბას'კოლომბე-ლე-დეზ-ეგლისს', სადაც დაკრძალულია საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ფუძემდებელი შარლ დე გოლი და გვირგვინი დაასვენა მის აკლდამაზე.

7.

აქ, რომ იტყვიან ხოლმე, კომენტარი ზედმეტია, მაგრამ ჩვენთვის, ქართველობის, საქართველოსათვის შეიძლება არა თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ მდგომარეობას: ვითომ ჩვენ დღეს საქართველოში და უცხოეთში შევინარჩუნეთ ქართული პოლიტიკური კულტურის ტრადიცია იმდენად, რომ ვცდილობთ არ დავივიწყოთ და ახალი სული ჩავაქსოვოთ, ვთქვათ, 26 მაისის 'პატარა ოქროს ხანის' ტრადიციებს, როცა საქართველოში სუფევდა შემწყნარებლობა ყოველი პოლიტიკური იდეოლოგიის მიმდევრების მიმართ, თვით კომუნისტების ჩათვლითაც თუ ისინი ბოლშევიკების აგენტების როლს არ ასრულებდენ საქართველოში საქართველოს, ქართველი ერის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის წინააღმდეგ?.. რატომ გავხადეთ ჩვენ, ქართველებმა, საქართველომ 'ზვიადისტები' და 'ედუარდისტები' ცნებებად და მოძრაობად, რომლებიც - პოზიცია-ოპოზიციის საჭირო დიალოგის წარმოების სამაგიეროდ - იარაღით ებრძოდენ ერთმანეთს, და ახლაც, როცა ეს ტერმინები იწერება, პოზიცია-ოპოზიციის სფეროში არ სურთ მოექცენ?..

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

8.

მართალია, ზვიად გამსახურდიას პარტიული მსოფლხედვა, ისევე როგორც ედუარდ შევარდნაძის მსოფლხედვა, ისე გარკვეული და ჩამოყალიბებული არ ჩანს, ჩვენდა საუბედუროდ, როგორიცაა ფრანსუა მიტერანის თუ ჟაკ შირაკის მსოფლხედვა. მაგრამ თუ არც ერთსა და არც მეორეს არ სურდა 26 მაისის თეორიული და პრაქტიკული განმხორციელების აკლდამაზე ერთი ვარდი ან გვირგვინი დაესვენებია პარიზის ახლომდებარე დაბა ლევილის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში ნოე ჟორდანიას აკლდამაზე არა მარტო სიშორის გამო, მაშინ ერთსაც და მეორესხომ შეეძლოთ მოსულიყვნენ ჩვენი სახელმწიფოებრიობის უწარჩინებულესი სიმბოლოს დავით აღმაშენებლის აკლდამასთან, გელათის ზუმბერაზ ტაძარში, და დაესვენებიათ იქ ერთი ვარდი თუ ყვავილთა გვირგვინი!.. ეს იქნებოდა არა მარტო ღირსეული პატივისცემა საქართველოს სახელმწიფოს სამიათასწლოვანი ისტორიისადმი, არამედ ცალკეულ ისტორიულ პიროვნებების და ამით ქართველი ერისადმი, რაც ჰაერივით ესაჭიროება საქართველოს, ქართველ ერს, რადგან თითქმის ორასი წელიწადია უცხო სახელმწიფოს მონობაში ვიმყოფებოდით?!..

9.

და ავღნიშნავთ რა ამ ფაქტებს, როგორც პოლიტიკური კულტურის სანიმუშო მაგალითებს საფრანგეთის ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციასთან დაკავშირებით, ახლა, 1995 წლის 26 მაისს, ამ უდიდეს ეროვნულ დღესასწაულს, ვერ უნდა შევიგნოთ, რომ სხვადასხვა აზრის, მსოფლხედვის მიმდევრობა კი არ არის უბედურება, არამედ ბედნიერება, რადგან ადამიანი, გვარი, ტომი, ერი აზრთა ჭიდილში, შეხედულებათა 'დაუნდობელ' შეტაკებებში, უახლოვდება ჭეშმარიტებას და არა 'ასპროცენტიანი' ერთაზროვნების პირობებში, რაც აზროვნების გაყინვას და ამით პიროვნების, გვარის, ტომის, ერის დაზეჩავებას მოასწავებს? საჭიროა მხოლოდ ჩვენ ჩავეტიოთ პოზიცია-ოპოზიციის სფეროში, რაც - თავის მხრივ - ყოველი აზრის მოთმენასა და შემწყნარებლობას გულისხმობს, რომლის დროს ყოველი საკითხის გადაწყვეტა და განხორციელება უნდა ხდებოდეს ხმების უმრავლესობით, რომლის მოქმედების, ხელისუფლების დროს, უდავოა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული უმცირესობის შეხედულებანიც. ამიტომ განაცხადა საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა - ჟაკ შირაკმა -, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას და ინაუგურაციის დროს 'მე ვარ ყველა ფრანგის' საპრეზიდენტო კანდიდატი, თუმცა მან 31.845.919 ხმიდან 15.763.027 ხმა, ე.ი. ხმების 52,64 პროცენტი მიიღო, ხოლო მისმა მოწინააღმდეგემ - ლიონელ ჟოსპანმა - 14.180.644 ხმა, ე.ი. ხმების 47,36 პროცენტი მიიღო. ამგვარად, საფრანგეთის 39.976.944 ამომრჩევლებიდან, 20,34 პროცენტს საერთოდ არ მიუღია არჩევნებში მონაწილეობა, და მხოლოდ 15.763.027 ამომრჩეველმა მისცა ხმა ჟაკ შირაკს; და რადგან დემოკრატია უმრავლესობის პრინციპს ეყრდნობა, ჟაკ შირაკი არის მთელი საფრანგეთის ხალხის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტი, რომელსაც საფრანგეთის ის მოქალაქეებიც აღიარებენ, რომლებსაც ამ არჩევნებში საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა ან ხმა მისცეს ჟაკ შირაკის წინააღმდეგ. აი, ეს არის თანამედროვე დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს დედა-ბოძი და ამით პოლიტიკური კულტურა, რომელსაც საქართველოში - საქართველოს დამოუკიდებლობის აქტითა და საქართველოს კონსტიტუციით - საფუძველი ჩაეყარა 1918 წლის 26 მაისს, ჩვენს უდიდეს ეროვნული თავისუფლების დღეს.

10.

და აქ ერთი ამონაწერი: ინგლისის პრემიერმინისტრი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, რამსეი მაკდონალდი ესტუმრა საქართველოს 1920 წელს, და გამოაქვეყნა სტატია საქართველოში მაშინ არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელშიც, სხვათ შორის, წერდა:

'თუ ერთა თავისუფლება ცარიელი სიტყვა არ არის, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნობა და პოლიტიკური სიმწიფე.

მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას, და რაც მე იქ ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩვენს ქვეყანაში'.

11.

ამდენად, ჩვენს მოწოდებას 'ვისწავლოთ ფრანგი ერისაგან' - 'პოლიტიკური კულტურის სანიმუშო მაგალითი', - შეგვიძლია დავუმატოთ: ნუ დავივიწყებთ საქართვე-

ლოს სახელმწიფოებრიობის ისტორიულ ფესვებს, რომელთა გამოსახულებაა ფარნავაზი, მირიანი, გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, მეფე ერეკლე და 26 მაისის შემქმნელები ნოე ჟორდანიას მეთაურობით. ვინც წარსულს ივიწყებს, ვინც წარსულს პატივსარ სცემს, იგი პატივს არ სცემს არც აწმყოსა და ამით არც საქართველოს, ქართველი ხალხის მომავალს; და სწორედ ქართული პოლიტიკური კულტურის ისევ გამოცოცხლება, ისევ აღდგენა გვესაჭიროება დღეს ჩვენ, რომ შევძლოთ ჩვენი, აწ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური სიძნელეების გარდალახვა და საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენობის განმტკიცება.

12.

აქვე გვსურს მოვიგონოთ ფრანსუა მიტერანის ერთი გამონათქვამი, რომელიც მან თქვა გერმანიაში - დაეყრდნო რა გერმანია-საფრანგეთის ისტორიულ ფაქტებს ამ უკანასკნელი ორასი წლის განმავლობაში:'ნაციონალიზმი არის ომი!' მაგრამ ვითომ ნაციონალიზმია ომი თუ შოვინიზმი?.. 'ჯანსაღი ნაციონალიზმი', რაშიც ჩვენ ყოველი ერის შვილის სიყვარული, თავდადება გვესმის, რომელიც სხვა ერისადმი პატივისცემასაც თავისთავში აქცევს, - ვითომ ომია?.. თუ მხოლოდ შოვინიზმია ომი, რომლის კარიკატურული სახე ჰიტლერმა მოგვცა?..

13.

აქ ერთი მოგონება: 1963(!) წელს, გერმანიაში, დაბა შლირზეეში(ბავარია) ჩატარდა სემინარი ნაციონალური პოლიტიკის შესახებ საბჭოთა კავშირში, რომლის დროს ერთმა საბჭოთა კავშირიდან ემიგრირებულმა ბ. ლოლბერგმა, სხვათა შორის, ილაპარაკა რა საქართველოზე, ქართველებზე, - პირდაპირ თქვა:'ქართველები ნაციონალისტები არიანო!', რამაც მსმენელთა ამოოხრება და განცვიფრება გამოიწვია, რადგან იმ დროს ნაციონალიზმი ესმოდათ(და დღესაც ესმით?) მხოლოდ ჰიტლერისტთა გაგებით, რაც ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გაიგივებას უდრის. ბ.ლოლბერგმა მაშინვე შეეცადა მსმენელთა დაწყნარებას და,სხვათა შორის, თქვა: ქართული ნაციონალიზმი არ შეიძლება შედარებულ იქნას ნაცინალიზმის დასავლეთევროპულ გაგებასთან, რადგან ქართული ნაციონალიზმი ლამაზია და საკუთარი ერისა და სხვა ერების პატივისცემას გულისხმობსო!..

14.

დღესაც არ ადასტურებს ქართველობა ჩვენი ეროვნულობის ამგვარ რწმენას იმ დროს, როცა სხვა ერის შვილების ექსტრემისტები - აფხაზია თუ ოსი იგი - ქართველობას ჩაგრავს საქართველოში, უცხო ძალის დიდმპყრობელ-შოვინისტების მხარდაჭერით?.. არა, ჯანსაღი, სამართლიანი ნაციონალიზმი კი არ არის ომი, არამედ შოვინიზმი, რომელიც ქართველ ერში არასოდეს არსებობდა და ვერც იარსებებს; და ამაში ვერ დავეთანხმებით ფრანსუა მიტერანს, თუმცა მან, ამ შემთხვევაში, მხოლოდ გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობაზე ილაპარაკა და არა საქართველოზე.

15.

ბოლოს ერთი კარიკატურა, რომელიც გამოაქვეყნა საფრანგეთის დიდმა გაზეთმა 'ფიგარომ' თავის 1995 წლის 15 მაისის ნომერში, და ეხება ფრანსუა მიტერანის მიერ ხელისუფლების გადაცემას ჟაკ შირაკზე, რაც პოლიტიკური კულტურის სანიმუშო მაგალითად გვესახება; და გული გვტკივა, რომ ზვიად გამსახურდიამ ანალოგიური წესითა და რიგით საქართველოს პრეზიდენტის უფლება-მოვალეობა არ გადასცა ხალხისაგან არჩეულ მის მემკვიდრეს, კანონის უზენაესობის დაცვის პირობებში.




კარლო ინასარიძე
პარიზი, 1995 წლის 15 მაისი
----------------------------

## საქართველოში არ არსებობს პრესის თავისუფლება?..

1.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი - პრესა, რადიო, ტელევიზია, კინოფილმი - დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ხელისუფლების 'მეოთხე სვეტია' სახელმწიფო ძალაუფლების 'სამი სვეტის' - მმართველობის(მთავრობა), კანონმდებლობის(პარლამენტი) და მართლმსაჯულების(სასამართლო) გვერდით. აზრთა სხვადასხვაობა და ჭიდილი დემოკრატიის სისუსტე კი არა სიძლიერეა თუ იგი დარჩება დემოკრატიული სახელმწიფოს მოტორის, პოზიცია-ოპოზიციის კონსტრუქციული კრიტიკის სფეროში, რაშიც მჟღავნდება პიროვნების, ერის პოლიტიკური კულტურა. ამდენად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი უნდა იყოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მრავალფეროვანი და მრავალფენოვანი ცხოვრების სარკე, რაც - თავის მხრივ - ნიშნავს იმას, რომ იგი უნდა იყოს ობიექტური და მიუდგომელი; და მის შექმნაში მონაწილეობას უნდა ღებულობდეს საზოგადოების ყველა ფენა იმ მიზნით, რომ თავიდან აცილებულ იქნას ამა თუ იმ პირის ან დაჯგუფების განუკითხავი ბატონობა.

2.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი კი ამბობს: 'ყოველ ადამიანს აქვს უფლება შეხედულებათა თავისუფლებისა და მათი თავისუფლად გამოხატვისა; ეს უფლება შეიცავს თავისუფლებას დაბრკოლების გარეშე დაეფუძნო საკუთარ შეხედულებებს, აგრეთვე თავისუფლებას ეძიო, მიიღო და გაავრცელო ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით სახელმწიფოებრივი საზღვრებისაგან დამოუკიდებლად'.

3.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს, რომლის თითქმის ერთი-მესამედი საუკუნის წინ, ე.ი. 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული და დამტკიცებულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომლის 32-ე მუხლში ნათქვამია: 'ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასე შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე.' და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეს კონსტიტუცია ძალაშია დღეს საქართველოს რესპუბლიკაში.

4.

და ასეთ პირობებში ნუთუ დღეს საქართველოს რესპუბლიკაში არ არსებობს პრესის და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა თავისუფლება!?.. ამგვარი ეჭვის გამოთქმის საფუძველი მოგვცა საქართველოში გამომავალი გაზეთის 'იბერია-სპექტრის' გამომცემლისა და მთავარი რედაქტორის - ირაკლი გოცირიძის - განცხადებამ, რომელიც გამოქვეყნებულია უცხოეთში გამოცემული ჟურნალის -'კუმაგის' - 1995 წლის ნომერში, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ:

5.

### ირაკლი გოცირიძის განცხადება

"...მივეკუთვნები ქართველ ჟურნალისტების უფროს თაობას; დავიბადე [illegible] წელს თბილისში, ტრადიციული ინტელიგენტთა ოჯახში. პრესაში ვმუშაობ [illegible] წლიდან. დავრწმუნდი რა, რომ საბჭოთა იმპერიაში ჟურნალისტიკა არის არა თავისუფალი დარგი, არამედ - მხოლოდ ხალხის მართვის იარაღი პოლიტბიუროს მხრიდან, მივატოვე პრესა პროტესტის ნიშნად. ვმუშაობდი კინოსტუდია "ქართულ ფილმში" რედაქტორად. [illegible] წლის აპრილიდან დავბრუნდი პრესაში, - შევქმენი საკუთარი დამოუკიდებელი გაზეთი "იბერია-სპექტრი". გაზეთმა დიდი პოპულარობა მოიპოვა საქართველოში, რადგანაც იგი მტკიცედ იცავდა დემოკრატიულ პრინციპებს; მან მიიპყრო ევრო-პარლამენტის საგამომცემლო სამსახურის ყურადღებაც, საიდანაც მივიღეთ წინადადება [illegible] წლიდან მისი ლონდონში გამოცემის თაობაზე,-ინგლისურ ენაზე მისი ევროპის ქვეყნებში გავრცელების მიზნით.

სწორედ გაზეთის დემოკრატიული პრინციპების გამო, საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ, რომელიც გადატრიალების გზით მოვიდა სახელმწიფოს სათავეში, არ მოისწონა "იბერია-სპექტრი". [illegible] წლის პირველივე დღეებიდან გაზეთი განიცდის უსასტიკეს რეპრესიებს: მას არბევენ, ხურავენ, ახრჩობენ ფინანსურად. [illegible] წლის ოთხ ოქტომბერს კი საქმე იქამდე მივიდა, რომ ყოველგ-

ვარი საბაბის გარეშე, დააპატიმრეს რედაქციის წამყვანი ჟურნალისტი რევაზ ურუშაძე. როდესაც მე, მეუღლესთან ერთად მივედი პოლიციის განყოფილებაში, ურუშაძის დაპატიმრების მიზეზის დასადგენად, მეც დამაკავეს.

...პატიმრობის მეოთხე დღეს, საკნიდან ამიყვანეს ქ. თბილისის კომენდანტის ზ.ჩაჩუას მოადგილის, ზაზა ვეფხვაძის კაბინეტში, სადაც 25-27 თანამშრომლის თანდასწრებით, სამმა შეიარაღებულმა პირმა უსასტიკესად მცემა ხელებით, ფეხებით და პისტოლეტებით. როდესაც სისხლმა სრულიად დამიფარა სახე კომენდანტის მოადგილემ, რომელიც უძრავად იჯდა თავის სამუშაო მაგიდასთან, შემჩნევა მისცა მოძალადეებს,-სახეში ნუ სცემთ, ურტყით სხეულზე. ეს იმიტომ, ძალადობის კვალი რომ არ დამჩნეოდა. თუმცა, დამეტყო: დამიზიანდა პლევრა, (რის გამოც ახლაც ვმკურნალობ), გამიფუჭდა მარცხენა ხელის ორი თითი...

ჩემი დაპატიმრება მოხდა იმ დღეებში, როდესაც საქართველოს და სახელდობრ - თბილისის რეპრესიების ტალღამ გადაუარა. იჭერდნენ ყველას, ვისაც კი "ზვიადისტობა" ბრალდებოდა. აპატიმრებდნენ იმათაც, ვისაც ბინაში ან ხელში ჩვენს "იბერია-სპექტრს" უპოვნიდნენ.

ჩვენს საკანში პატიმრები იყვნენ: ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი ნაპო კვარაცხელია, ფიზიკა-მათემატიკის დოქტორი თამაზ კალაძე, პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი, ენათმეცნიერი თემურ გვანცელაძე, ჟურნალისტი "საქართველოს სამრეკლოდან" გია არგანაშვილი, ინჟინერი როსტომ კუტალია, ფიზიკა-მათემატიკური გიმნაზიის პედაგოგი მერაბ როყაშაძე მეუღლითურთ, პედაგოგი ქეთევან ხახულიანი, სხვანი და სხვანი.

ჩვენდამი ასეთი მოპყრობის გამო, მოვითხოვეთ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, ალ.კავსაძის მოსვლა. კავსაძე მართლაც მოვიდა. ჩვენ მას მოვთხოვეთ არა განთავისუფლება, არამედ იურიდიული ნორმების ელემენტარული დაცვის უზრუნველყოფა. სახელდობრ,-ცოდნა იმისა, თუ ვინ და რა დოკუმენტის საფუძველზე დაგვაპატიმრა, რა გვედებოდა ბრალად. კავსაძე დაგვპირდა, რომ ამ კანონიერ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა ორი დღის ვადაში. დაპირება, რაღა თქმა უნდა, არ შეასრულა. სხვაგვარ მის მოქცევას, ჩვენ არც ველოდით, რამეთუ იგი ისეთივე ცრუა, როგორც მისი "კომიტეტის" შინაარსი და "მოღვაწეობა"...

ოცი დღის შემდეგ გადამიყვანეს ქალაქის პოლიციის იზოლატორში. ჩემი პატიმრობის პერიოდში, ადგილობრივ პრესასა და ტელევიზიით კომენდანტ ჩაჩუასა და "მხედრიონის" უფროსს ჯაბა იოსელიანს გამოუცხადებიათ,-გოცირიძე დაპატიმრებულია საკომენდანტო საათის დარღვევისთვის; ცემით კი - არ გვიცემია, კიბეზე დაეცა და თავი თვითონ გაიტეხაო... გამანთავისუფლეს 30 დღის პატიმრობის შემდეგ. ოფიციალურად კომენდანტმა განაცხადა, რომ მე მისჯილი მქონდა ოცდაათდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა.

მიუხედავად ჩემი განთავისუფლებისა, ჩვენი გაზეთის გამოცემის იმედი ფრიად საეჭვოა, რადგანაც ამას ბევრი "წყალქვეშა" წინააღმდეგობა, კერძოდ - პროკურატურის ქმედებები და სხვა ელობება.

ჩემი და ჩემი კოლეგების განთავისუფლებას უდაოდ შეუწყო ხელი დასავლეთის პრესისა და სამართალდამცავი სტრუქტურების მხარდაჭერამ, რისთვისაც დიდი მადლობა მათ. მაგრამ, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს არ არის საკმარისი. შევარდნაძე აცხადებს, რომ მისი ხელმძღვანელობით საქართველო დაადგა დემოკრატიზაციის გზას. გვინდა ვირწმუნოთ ეს და სწორედ ამიტომ გვინდა შევქმნათ ისეთი გაზეთი, რომელიც დემოკრატიული პრინციპების მატარებელი და დამცველი იქნება. საჭიროა დასავლეთმა მხარი დაგვიჭიროს ამ მოღვაწეობაში.

ირაკლი გოცირიძე, გაზეთ "იბერია-სპექტრის" გამომცემელი და მთავარი რედაქტორი.

6.

პიროვნების თავისუფლების ამგვარი ხელყოფის საშუალებას, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის არც ერთი დებულება არ იძლევა, რადგან ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის პიროვნება მაშინ ისჯება თუ იგი დანაშაულს ჩაიდენს; ამის დადგენა და მასზე სასჯელის გამოტანის უფლება კი აქვს მხოლოდ სასამართლოს; და ნუთუ ახე ღიად არღვევს საქართველოს სახელმწიფოს ორგანოები ადამიანის ისეთ ძირითად უფლებას, როგორიცაა ადამიანის პიროვნების თავისუფლების ხელყოფა და ინფორმაციის თავისუფალი მიღება-გავრცელება?..

7.

და თუ ეს ასეა, საქართველოს რესპუბლიკაში დღეს ადგილი აქვს პრესისა და ინფორმაციის სხვა საშუალებათა თავისუფლების დარღვევებს?..

აი, საკითხი, რომელიც დაუყოვნებლივ პასუხს მოითხოვს.

კარლო ინასარიძე

ლეიპცი, 1995 წლის 19 მაისი

---

## ზვიად გამსახურდიას ბედი თუ უბედობა?..

1.

1991 წლის 26 მაისს საქართველოს ხალხისაგან უმრავლესობით არჩეული პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას - ბედი თუ უბედობა იმდენად ბურუსითაა მოცული, რომ საქართველოში ბევრს, როგორც გადმოგვცემენ ხოლმე, ის დღესაც ცოცხალი ჰგონიათ და თითქოს ისევ გამოჩნდება პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე. აქ, სხვათაშორის, გასაკვირი არაფერია, რადგან ხალხი თვითონ ქმნის საჭირო და არასაჭირო მითს, მითებს, როცა ქვეყანა, ერი გასაჭირშია და ამ გზით მოელის 'ხსნას', მისი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას; და რა გასაკვირია, რომ საქართველოს, ქართველ ერს ამგვარი სულიერი 'ხსნა' ესაჭიროება, როცა ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საფუძვლები შერყეულია, რომელთა გამოჯანსაღების გზებს თვით ხალხი ეძებს.

2.

ამ დროს, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს ესაჭიროება საქმის ნამდვილი ვითარების გარკვევა, რომ მითებს კი არა რეალური ცხოვრების მონაცემებს დავეყრდნოთ; და ამ გზაზე ერთერთი მნიშვნელოვანი მომენტია საქართველოში დაწრიალე-

ბულ უბედურებათა ნამდვილი მიზეზების გარკვევა, რამაც განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო 1989 წლის 9 აპრილიდან, როცა ეროვნული ტრაგედია დაგვატყდა თავს, რომლის დროს ულმობელმა მტერმა, დიახ, მტერმა საწამლავი ნივთიერების გამოყენებაც კი ჩათვალა საჭიროთ მშვიდობიანი მოსახლეობის – ქალების, ბავშვების და მოხუცების წინააღმდეგ, – თბილისის ტრაგედიის დროს. მაგრამ ამ ტრაგედიას სხვა ტრაგედიებიც მოყვა, ამჯერად, ჩვენი ეროვნული დაქუცმაცების შედეგად, როცა იარაღი ავღმართეთ ერთმანეთის წინააღმდეგ, რამაც კიდევ უფრო გაუადვილა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მტრებს ჩვენს წინააღმდეგ მოქმედება, განსაკუთრებით შიდა ქართლსა და აფხაზეთში, რომლის დროს იარაღის ძალით განვდევნეთ საქართველოდან ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტი – ზვიად გამსახურდია –, და ამით კიდევ უფრო გავამწვავეთ არა მარტო ჩვენი საშინაო მდგომარეობა, არამედ ჩვენმა მტრებმა აქციეს სამასი-ათასზე მეტი ქართველობა ლტოლვილებად საქართველოშივე, როცა ჩვენი თანამემამულეები იარაღის ძალით გამორეკეს შიდა ქართლიდან და აფხაზეთიდან, რომლის მხვედრობისას – ეხლა გვაკლდა! – გაურკვეველ პირობებში დაიღუპა ზვიად გამსახურდია.

3.

მაგრამ ამითაც არ დამთავრდა ეს ტრაგედია: ზვიად გამსახურდია დაკრძალულ იქნა არა საქართველოში, არამედ ჩეჩნეთში, როგორც ამბობენ, მისი ჭირისუფლების სურვილის შესაბამისად, რამაც კიდევ უფრო ხელი შეუწყო ისეთი მითის შექმნას, რომ თითქოს ზვიად გამსახურდია ცოცხალია; და ეს ათასგვარი ჭორების გავრცელების საშუალებას იძლევა საქართველოში განსაკუთრებით იმ დროს, როცა საქართველოს პარლამენტშიც კი იგრძნობა, როგორც დასავლეთის პრესა წერს, მაფიოზური გავლენა, რაც კიდევ უფრო სახელს უტეხს საქართველოს აწ უკვე დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს.

4.

რა თქმა უნდა, ყველა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება ხელის ერთი მოსმით შეუძლებელია, მაგრამ საქმის წინ წაწევას ხელს შეუწყობდა, რომ გარკვეულ იქნას ზვიად გამსახურდიას დაღუპვისა და უცხოეთში დაკრძალვის ყველა დეტალი, რომ ბოლო მოეღოს ათასგვარი მითების შექმნის შესაძლებლობას. ეს კი შესაძლებელია დღეს, აქვე და ახლავე, რადგან ზვიად გამსახურდიას ბედის თუ უბედობის ყველა დეტალის გამოკვლევა სწორედ ახლაა შესაძლებელი, როცა ყველა მასში ჩარეული პირები ცოცხალია; და რატომ არ უნდა გავარკვიოთ ეს საკითხი ახლა, მით უმეტეს, რომ ეს ხელს შეუწყობდა საქართველოში არსებული მდგომარეობის განმუხტვას და ამით საქართველოს რთული პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურულ-სოციალურ მდგომარეობის დაწყნარებას და ამით წინსვლას?..

5.

აქვე ვაქვეყნებთ სამ დოკუმენტს ზვიად გამსახურდიას შესახებ, რომლებიც, თავის მხრივ, მეტყველებენ იმაზე, რომ მისი ბედისა თუ უბედობის გარკვევა საჭიროა, ვიმეორებ, აქვე და ახლავე. აი, ეს დოკუმენტები:

ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის
ჯოხარ დუდაევის სიტყვა,
თქმული ზვიად გამსახურდიას დაკრძალვისას

დღეს ვკრძალავთ საქართველოს რესპუბლიკის პირველ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს პიროვნებას.
ძნელია მის საფლავთან დგომა. და კიდევ უფრო ძნელი,–სიტყვის წარმოთქმა, რადგან ვერავის მიმართავ თანაგრძნობისთვის მთელს კავკასიაში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დღევანდელი ტკივილი მთელი კავკასიის უბედურებაც არის.
ჩემს თავსაც ვსტირი დღეს, ვინაიდან მე დავკარგე დიდი მასწავლებელი, ღირსეული თანამებრძოლი და ერთგული მეგობარი. საქართველოს ერთმა ტრაგედიამ მეორეც მოიტანა, მე გულწრფელად თანავუგრძნობ ქართველ ხალხს, რომელსაც იმისი უფლებაც კი არ აქვს დღეს, რომ უღირსეულესი თავის შვილთაგანი დაიტიროს თვისი წესისამებრ და მიიბაროს სამუდამო განსასვენებლად. და ეს არის ორმაგი ტრაგედია ქართველ ერისა.
ზვიად გამსახურდია ვალის გარეშე წავიდა ამ ქვეყნიდან. მთელი მისი ცხოვრება იყო უკომპრომისო ჭიდილი საქართველოს, კავკასიის ღირსების აღდგენისა და თავისუფლებისთვის. და მისი ბოლო ნაბიჯიც,–ნაბიჯი უკვდავებაში იყო ნაბიჯი უმაღლესი ზნეობისა და თავგანწირვის. დიახაც, მან გასწირა თავი, რათა შემწყდარიყო სისხლისღვრა უთანასწორო ბრძოლაში, შესწირა თავი მის ხალხს ამ სიტყვის უზენაესი მნიშვნელობით.

ის, რომ კავკასიის დიდი შვილი დღეს ჩეჩნეთის მიწას ბარდება, კიდევ ერთი ზეციური დასტურია იმისა რომ ჩვენი ტანჯული, წმინდა მიწა კურთხეულია ღმერთის მიერ და ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ამ გენიალურმა პიროვნებამ დროებითი ნავთსაყუდელი სწორედ ჩვენი დიდი წინაპრების ძვალთშესალაგში ჰპოვა...

დადგება დღე და საქართველოც, კავკასიაც და მთელი კაცობრიობაც გაიცნობიერებს დღევანდელი დანაკარგის მნიშვნელობას. და ის დღე შორს როდია.

სამარადისო დიდება ზვიად გამსახურდიას უკვდავ სახელს.

სამარადისო დიდება მის საქმეს.

იური ორლოვი ზვიად გამსახურდიას შესახებ

...მიმაჩნია, რომ როგორც ეროვნულ მოღვაწეს, ზვიად გამსახურდიას დიდი დამსახურება მიუძღვის თავისი ქვეყნის წინაშე. ის იყო მისი საქართველოს პირველი პრეზიდენტი და თავდაუზოგავად იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის. მე მასთან ხშირად მქონია კამათი, მაგრამ უდავოა, რომ ზვიად გამსახურდია იყო დიდი საზოგადო მოღვაწე...

ხოლო როგორც პოლიტიკოსი, იგი შევარდნაძეზე ნაკლები ნამდვილად არ არის. მისი პოლიტიკა გაცილებით უფრო ზნეობრივი იყო როგორც მცირე ერების, ისე ზოგადად,- ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ასე ვაფასებ მე ზვიად გამსახურდიას..

გამსახურდია ისტორიული პიროვნებაა და სამუდამოდ დარჩება ისტორიაში...

იური ორლოვი, ჰელსინკის
საერთაშორისო ფედერაციის
საპატიო თავმჯდომარე,აშშ

"რუსსკაია მისლ", პარიზი
1994 N 4010

სოფ.ჯიხაშკარი - ვალიკო ზარანდია

საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციამ პროტესტი განაცხადა ზუგდიდის რაიონის სოფ. ჯიხაშკარის მკვიდრის, ოთხმოცი წლის ვალიკო ზარანდიას დაპატიმრების გამო. ზარანდიას დაპატიმრების მიზეზი ისაა, რომ მის ეზოში იყო დასაფლავებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნეშტი. მოხუცი დაპატიმრებულ იქნა იმავე დღეს, როდესაც გაიხსნა საფლავი ნეშტის გადასასვენებლად. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მან უჩვენა საქართველოს სამთავრობო და საერთაშორისო კომისიას დაკრძალვის ადგილი. საფლავის გახსნის პროცედურის ამსახველ ფირზე აღბეჭდილია ისიც, რომ საქართველოს ვიცე-პრემიერმა ავთანდილ მარგიანმა (საქართველოს კომპარტიის ყოფილი პირველი მდივანი), ქვრივის წმინდა ხატზე დაუფიცა მოხუც ზარანდიას, რომ საქართველოს მთავრობა მას "მადლობის მეტს არაფერს ეტყვის".

ნ.

ვითომ ჩვენი ეს აზრი ბიძგს მისცემს საქართველოს შესაბამის პასუხისმგებელ პირებსა და ორგანოებს შეიქმნას სპეციალური ნეიტრალური კომისია, რომელიც გაარკვევდა ყველა აღნიშნულ (და არ-აღნიშნულ) საკითხს ზვიად გამსახურდიას ბედის თუ უბედობის შესახებ?..

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1995 წლის მაისი

"უფრო ძნელია იცხოვრო თავისუფლების პირობებში, ვიდრე მონურ მდგომარეობაში, რადგან თავისუფლება არის გამოწვევა, განუწყვეტელი ლტოლვა, თავისთავის სრული კონტროლი, შეიძლება, თავისთავის გაწირვაც კი...თავისუფლება არის დაპატიჟება იცხოვრო ვაჟკაცურად და, ზოგჯერ, გმირულად".

ჟორჟ ლეფევრი,ფრანგი ისტორიკოსი

"...plus difficile de vivre qu'esclave, que la liberté est application, effort perpétuel, contrôle rigoureux de soi, sacrifice éventuel... elle est invitation à vivre courageusement et, à l'ocasion, heroiquement".

Georges Lefebre(1874-1959)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## "მგელი და კრავი" ანუ რუსეთი და საქართველო

1.

ჟან დე და ფონტენის "მგელი და კრავი" მომაგონდა, როცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა - ანდრეი კოზირევმა - პირდაპირ დაემუქრა, სამხედრო მალითაც კი, "ახლო მეზობელ" სახელმწიფოებს თუ ისინი შეავიწროებენ რუსობას, რომლებიც - რუსეთის იმპერიული პოლიტიკის შედეგად - ამ სახელმწიფოებში ცხოვრობენ, რომელთა რაოდენობა, კოზირევის სიტყვით, ოცდა-ხუთ მილიონამდე აღწევს; და ამგვარი მუქარის ქვეშ ვიმყოფებით ჩვენც, საქართველოც, თუმცა საქართველოს, ქართველ ერს არასოდეს არ ახასიათებდა და დღესაც არ ახასიათებს მტრული განწყობილება საქართველოში მუდმივად მცხოვრებ სხვა ერების შვილების მიმართ. მაგრამ რა?..

2.

ჩვენ, საქართველოს გვემუქრება არა დიდი რუსეთი, თავისი სამხედრო მალითაც კი, არამედ საქართველოში მცხოვრები მცირე ერის შვილებიც კი, რის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ჩვენ, ქართველობასგვჩაგრავს მცირე ერის შვილების ექსტრემისტებიც კი, რომლის დროს "მგელმა", ე.ი.რუსეთმა ისე წარმართა თავისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, რომ ჩვენი ისტორიული ძმების, აფხაზების ექსტრემისტული ნაწილიც კი გამოიყენა ჩვენ წინააღმდეგ, რასაც მოყვა არა მარტო სოხუმის დაცემა 1993 წლის 27 სექტემბერს, არამედ ერთი მეოთხედი მილიონი ქართველობის გამორეკა აფხაზეთიდან, რის შედეგად ქართველობა უკვე ლტოლვილებია სამშობლო-საქართველოშივე; და "მგელი" მთელ ბრალს, რა თქმა უნდა, "კრავს"-საქართველოს აკისრებს, რადგან საქართველო დროულად არ შევიდა პოსტბოლშევიკურ·თავისებურ "საბჭოთა კავშირში", რომელსაც "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა" ეწოდება.

3.

და "მგელის" ამგვარ ბრალდებაში "კრავის" მიმართ შეუსაბამო, ულოგიკო სწორედ ის, არის, რომ საბჭოთა კავშირი თვით რუსეთმა - ბორის ელცინმა - დაშალა, უკრაინასა და ბელორუსიასთან ერთად, 1991 წლის დეკემბერში, მაგრამ - აღადგინა რა საქართველომ თავისი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" შესაბამისად, - "მგელმა" მაშინვე გამოიყენა შიდა ქართლში მცხოვრები ოსი ექსტრემისტები და ჩვენი ძმების, აფხაზების ექსტრემისტული ნაწილი საქართველოს წინააღმდეგ, ატეხა საერთაშორისო აღიაქოთი თითქოს ქართველი ერი ჩაგრავს მცირე ერების შვილებს საქართველოში,და დასავლეთის დემოკრატიულმა სახელმწიფოებმაც გაიზიარეს "მგლის" ამგვარი პოლიტიკა, და, როგორც ჩანს, რუსეთს ხელი გაუხსნეს გამოეყენებია მგლური პოლიტიკა საქართველოს მიმართაც, რასაც მოყვა, როგორც ავღნიშნეთ, სოხუმის დაცემა 1991 წლის 27 სექტემბერს და ქართველი მოსახლეობის გამოდევნა საკუთარ მიწა-წყლიდან. და ამ პროცესში ისტორიის ირონიათ უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, როდ-როცა "მგლის" და ექსტრემისტების შეიარაღებული ძალები "ნადირობდნენ" ქართველ მოსახლეობაზე თვით ქალების, ბავშვებისა და მოხუცების ჩათვლით, - მსოფლიო პრესა, განსაკუთრებით დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში, კმაყოფილებით წერდა, რომ "მგელი",ე.ი.რუსეთი ჰუმანიტარულ დახმარებას უწევს ქართველობას და რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემებითაც კი გაჰყავს ქართველობა სოხუმიდან, რომ გადაარჩინოს, და იმაზე არაფერს არ ამბობდა, რომ რუსეთი ასუფთავებდა საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ქართველობისაგან, რომ იქ სხვა ერის შვილები, განსაკუთრებით რუსები(კაზაკები) ჩაასახლონ, რაც გრძელდება დღესაც, როცა ეს სტრიქონები იწერება.

4.

ამგვარად, საქართველო იძულებული გახდა არა მარტო დაეჩოქებია აფხაზი და ოსი ექსტრემისტების წინაშე, არამედ გზა, თავისუფალი მიმოსვლა ჩაკეტილია დღეს ცხინვალისა და სოხუმისაკენ ისე, რომ ისიც კი არ ვიცით თუ რა ხდება საქართველოს ამ რაიონებში; ხოლო ქართველი ლტოლვილების დაბრუნება თავიანთ სახლკარში გაუთავებელი მოლაპარაკებების კორიანტელშია გახვეული ისე, რომ დრო გადის, ჩვენს მველთაძველ ტერიტორიაზე სახლდებიან გადამთიელები, და რუსეთის წყალობით ოსი და აფხაზი ექსტრემისტები ისე გათავხედებული არიან, რომ ცა ქუდათ არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად, რადგან კარგად იციან, რომ რუსეთის "სამშვიდობო სამხედრო ძალები" საქართველოში სხვა არაფერია თუ არა ოსი და აფხაზი ექსტრემისტების მფარველები საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



5.

აი, მართლაც "კრავის" ამგვარ მდგომარეობაშია დღეს საქართველო, რადგან, როგორც ჩანს, "მგელი" ჩვენი, ქართველობის შეჭმითაც არ კმაყოფილდება; მას სურს როგორც ჩანს, საქართველო ქართველი ერის გარეშე, ე.ი. მხოლოდ ტერიტორია, თითქოს რუსეთს ტერიტორია აკლდეს!.. და რუსეთის მის ამგვარ ვაი-პოლიტიკაში, ე.ი. იმპერიულ პოლიტიკაში იყენებს არა მარტო საქართველოში მცხოვრებ მცირე ერების ექსტრემისტულ ნაწილს, არამედ გვიყენებს ჩვენც, ქართველობასაც, რის კულმინაციური წერტილი გახდა 1991-1992 წლის მიჯნა, როცა დავარღვიეთ კანონის უზენაესობა და ხალხისაგან დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტი გავდევნეთ საქართველოდან; შემდეგ გავმართეთ სამოქალაქო ომი ქვეყნის შიგნით, რომლის დროს "მგელმა" სწორედ იმ მხარეს დაეხმარა შეიარაღებული ძალებითაც კი, რომლის გამარჯვება მას სურდა, რასაც მოყვა საქართველოს შესვლა "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში" თუ საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების შექმნა, რითაც საქართველო - მართალია არის დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო საერთაშორისო სამართლის საფუძველზე, ვართ გაეროს სრულუფლებიანი წევრი, რაც, უდავოა, დიდი საქმეა, - მაგრამ ფაქტიურად მაინც ვართ რუსეთის უშუალო სამხედრო კონტროლის ქვეშ, რის შედეგად ისიც ვერ შევძელით, რომ ქართველი ლტოლვილები დაბრუნდენ აფხაზეთსა და შიდა ქართლში.

6.

მაგრამ ისტორიას, როგორც ჩანს, თავისი კანონზომიერება გააჩნია "მგლების" სურვილის წინააღმდეგაც კი: რუსეთი - ერთი მხრივ - მხარს უჭერს შეიარაღებული ძალებითაც კი, საქართველოში აფხაზ და ოს ექსტრემისტებს საქართველოს, ქართველი ერის წინააღმდეგ, მაგრამ - მეორე მხრივ - თვით რუსეთში ცეცხლითა და მახვილით უსწორდება ყველას, განსაკუთრებით ჩეჩნეთში, რომლებიც თავისუფლებისათვის იბრძვიან. ვითომ ჩააფიქრა რუსი "მგლები" ამ ფაქტმა, რომელსაც დასასრული არ უჩანს?.. რა თქმა უნდა, ყოველი ადამიანი, მიუხედავად მისი ეროვნებისა, დაცული უნდა იქნას ყოველი უსამართლობისაგან. მაგრამ რატომ უნდა იქნეს გამოყოფილი ამ საერთო ბედიდან მხოლოდ რუსები? - იმიტომ, რომ რუსეთი უფრო მრავალრიცხოვანი და ძლიერია სამხედრო თვალსაზრისიდაც?..

7.

და რა გამოსავალია, ჩვენთვის, ქართველებისათვის, საქართველოსათვის ასეთ პირობებში, როცა ჩვენ ისტორიამ თუ ჩვენმა დაქსაქსულობამ "კრავის" მდგომარეობაში ჩაგვაყენა, როცა შეჭმით "მგლები" კი არა, ჩვენზე უფრო სუსტი "კრავები" - ოსი თუ აფხაზი ექსტრემისტები, რუსეთის მხარდაჭერით, - შეჭმით გვემუქრება? - გამოსავალი იყო, არის და დარჩება - როგორი ძნელი არ უნდა იყოს ეს ჩვენთვის - საერთო ენის გამონახვა რუსეთთან, რადგან მსოფლიოში ძალა არ არსებობს, რომელიც წინ აღუდგებოდა "მგლის" იმპერიულ ზრახვებს საქართველოს, ქართველი ერის გარდაუვალი ინტერესების გულისათვის. არ უნდა დავივიწყოთ, რომ პოლიტიკა არის შესაძლებლობის ხელოვნება, და დღეს, როცა საქართველო, როგორც სახელმწიფო, საერთაშორისო სამართლის სუბიექტია, ჩვენი უმთავრესი ამოცანა არის, უნდა იყოს 26 მაისის დიადი იდეების თანდათანობითი განხორციელება საქართველოს საშინაო საქმეებში, რაც სხვას რას უნდა ნიშნავდეს თუ არა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სოციალური ცხოვრების აღორძინებას, რისთვისაც საჭიროა ერთობა მარვალფეროვანებაში.

8.

ბოლოს-და-ბოლოს უნდა შევიგნოთ, რომ აზთა სხვადასხვაობა დემოკრატიის საფუძველია, რადგან აზრთა და პოლიტიკურ პლატფორმათა ჭიდილში უახლოვდება ადამიანი, ტომი, ერი ჭეშმარიტებას. ამიტომ "სხვა აზრის", "სხვა პლატფორმის" მქადაგებელი ადამიანი თუ პარტია "მოსისხლე მტრად" კი არა, ოპოზიციად უნდა იქნას გაგებული თუ ყველა ჩვენ 26 მაისის, "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" საზღვრებს არ ვშორდებით. და ამგვარი პოლიტიკური კულტურის დამყარება, დამკვიდრება აუცილებელია ჩვენს სამშობლოში თუ ჩვენ არ გვსურს გავხდეთ ყოველი ჯურის "მგლების" "ბატკნები". გასაკვირია, დაუჯერებელია, რომ დღეს ჩვენში ამგვარი შეგნება, ამგვარი პოლიტიკური შეგნება გაბატონებული არ არის, რამაც ისიც გამოიწვია, რომ მცირე ერთა თუ ტომთა ექსტრემისტული ნაწილი ქართველ ერს, საქართველოს აბუჩად იგდებს, რომლის უახლესი გამოხტომაა, მაგალითად, აფხაზი ექსტრემისტების მიერ თავხედური მოთხოვნა რუსეთისადმი როგორმე საქართველოს განუყოფელი ისტორიული ნაწილი შეიერთოს, თითქოს საქართველოს საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა კი არა თითო-ოროლა აფხაზი ექსტრემის-

ტი განაგებდენ. თუმცა რა გასაკვირია, რომ შიდა ქართლში მცხოვრები ოსი ექსტრემისტებიც არა მარტო უკვე დაეპატრონენ ცხინვალის რეგიონს, არამედ ამ ქართული ძირძველი მიწაწყლის მეერთებას ოსეთთან ცდილობენ ისეთი უგუნურებით, რომ - აფხაზ ექსტრემისტებივით - კავკასიის ქედსაც კი აქცევენ ყურადღებას, რაც ბუნებრივი საზღვარია საქართველოისა, და რომლის უგულებელყოფა ქართველი ერის მეობის უგულებელყოფას უდრის.

9.

როგორც ვხედავთ, აფხაზ თუ ოს ექსტრემისტებთან "მოლაპარაკებებს" - ხდება ეს საქართველოში თუ ჟენევაში - არავითარი აზრი არ აქვს. ჩვენ მოლაპარაკება, დიპლომატიური ურთიერთობა გვესაჭიროება მხოლოდ-და-მხოლოდ რუსეთთან, რადგან, როგორც ჩანს, მსოფლიოს დიდმა სახელმწიფოებმა ერისა და პიროვნების თავისუფლების "სამშვიდობო შეიარაღებულ ძალად" რუსეთი ცნო; და ჩვენ რუსეთი უნდა დავარწმუნოთ, რომ ერთიანი და განუყოფელი და დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფო რუსეთის - ანდერი კოზირევის გამოთქმა რომ ვისმაროთ - "სამხრეთი ფლანკის" უშიშროების უზრუნველყოფის ყველაზე ეფექტური და სტაბილური ფაქტორია, ე.ი. საქართველოს ერთიანი, განუყოფელი და დემოკრატიული სახელმწიფოს თანდათანობითი განმტკიცება რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებშიც შედის. საჭიროა მხოლოდ, რომ რუსეთმა ხელი უნდა აიღოს თავის იმპერიულ, "მგლურ" პოლიტიკაზე, რაც წინაპირობათ გვესახება იმისათვის, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის - რუსეთ-საქართველოს 1993 წლის 3 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე - მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს.

10.

"მგელისა და კრავის" იმპერიული პოლიტიკა თუ დღეს კიდევ ფეხმოკიდებულია მსოფლიოს ამა-თუ-იმ ადგილებში, - უნდა გვწამდეს, რომ ამგვარი ვაი-პოლიტიკა განწირულია ელექტრონიკისა და გენტექნიკის ეპოქაში; და ამგვარი რეალური ბაზა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ დღევანდელი რუსეთიც გაგვიგებს ჩვენ და ჩვენ გავუგებთ რუსეთს, თუ რუსეთი თავს გაინთავისუფლებს "მგლურ პოლიტიკისაგან" და ჩვენ, ქართველობა, საქართველო შევძლებთ ჩვენი ქვეყანა გამოვიყვანოთ უსუსური "კრავის" მდგომარეობიდან. ამისათვის კი საჭიროა მოქმედება, მოქმედება, გონივრული მოქმედება.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1995 წლის 26 მაისი,
საქართველოს ეროვნული დღესასწაული

## საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე:

თქვენ ბრძანდებით საქართველოს ქრისტეფალნი და საქართველოს პატრონნი. ეს უნდა გახსოვდეთ ყველას, არა მარტო მკვიდრთა საქართველოისა, არამედ საქართველოს საზღვრებს გარეთ მყოფთა. უნდა გახსოვდეთ, რომ აქ არის თქვენი ფესვები, საიდანაც უნდა საზრდოობდეს ყოველი ქართველი ადამიანი. აქ განისვენებენ თქვენი წინაპრები. თქვენ ბრძანდებით სისხლი და ხორცი ვახტანგ გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა, თამარ მეფისა, რუსთაველისა. მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ არ შეიძლება ცხოვრება მხოლოდ ჩვენი ისტორიით და ჩვენი წარსულით. არ შეიძლება ვიამაყოთ მხოლოდ ჩვენი წინაპრებით, რომელნიც გმირნი იყვნენ. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმის შესახებ, ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ ჩვენი თავისუფლებისათვის, საქართველოს გადარჩენისათვის, საქართველოს და ქართველი ხალხის მთლიანობისათვის.

ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის I ფორუმზე
წარმოთქმული სიტყვიდან.

# პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

პ უ ბ ლ ი ც ი ს ტ ი კ ა

## მეორე მსოფლიო ომი და საქართველო

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 50 წლისთავი

8(9).5.1945 - 8(9).5.1995

(ა ნ ა ლ ი ზ ი)

1.

1945 წლის 8 მაისს დადებულ იქნა "უპირობო კაპიტულაციის" ხელშეკრულება
მოკავშირეებსა, ე.ი. აშშ-ს, საბჭოთა კავშირს, ინგლის-საფრანგეთსა და მათ
მოკავშირეებს - ერთი მხრივ - და გერმანიასა და მის მოკავშირეებს
შორის - მეორე მხრივ -, რომელიც 9 მაისის ღამის პირველ საათზე შევიდა ძა-
ლაში, რასაც მოყვა ის, რომ დასავლეთის მოკავშირეები "უპირობო კაპიტულაციის"
დღეს აღნიშნავენ 8 მაისს, ხოლო საბჭოთა კავშირი და დღეს რუსეთი 9 მაისს,
რომლის ზეგავლენით ჩვენც, ქართველობა, საქართველო მეორე მსოფლიო ომის დამ-
თავრების 50 წლისთავს აღნიშნავს 9 მაისს, თუმცა საქართველო 1945 წლის
9 მაისს უფრო დამარცხებულების, ვიდრე გამარჯვებულების მხარეზე უნდა ჩაი-
თვალოს, რადგან საქართველოს მაშინდელი ხულ სამ-მილიონ-ნახევარი მოსახლეო-
ბიდან ომში გაწვეულ იქნა 700-ათასზე მეტი კაცი, რომელთაგან ნახევარზე მე-
ტი, როგორც საბჭოთა წყაროები იტყობინებოდა, უკან აღარ დაბრუნებულა.

2.

მაგრამ ჯერ შევეხოთ თვით მეორე მსოფლიო ომის მსვლელობას: არსებითად ოთხი
დიდი სახელმწიფო - ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია, საბჭოთა კავ-
შირი და იაპონია გახდა მეორე მსოფლიო ომის მწარმოებელი მთავარი ძალა, რო-
მლის დროს ზე-სახელმწიფო იყო და დარჩა მხოლოდ ამერიკა თავისი განსაკუთრე-
ბით ეკონომიკური სიძლიერით. ომის მწარმოებელი ამ ძალების ყველაზე უფრო
გამომხატველი პიროვნებები კი გახდენ რუზველტი, ჰიტლერი და სტალინი თავიან-
თი იდეოლოგიური მსოფლხედველობებებითაც: ფრანკლინ დელანო რუზველტი (1882 -
1945), აშშ-ს 32-ე პრეზიდენტი, პირველად პრეზიდენტი გახდა 1933 წელს, 1929
წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ, რასაც მილიონობით უმუშევრობა
და ეკონომიკური კრახი მოყვა განსაკუთრებით ამერიკასა და ევროპაში, რომლის
განკურნება რუზველტმა შეძლო ე.წ-ლი New Deal -ის მეშვეობით, რასაც "გა-
დასრას მარცხნივ", მისი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გამო, - უწო-
დებდენ. გაწმინდა რა მისი დემოკრატიული პარტია ოპოზიციური ძალებისაგან,
რუზველტი 1936-ს, 1940-ს და 1944 წელს, უკვე მეოთხეჯერ არჩეულ იქნა აშშ-ს
პრეზიდენტად, თუმცა ტრადიციით პრეზიდენტად არჩევა, თვით ჯორჯ ვაშინგტონის
ჩათვლით, ორჯერ შეიძლებოდა, რაც იმას მოწმობს, რომ ფრანკლინ დელანო რუზვე-
ლტი დიდი პოპულარობით სარგებლობდა საერთაშორისო მასშტაბითაც. როცა 1939
წლის სექტემბერში ადოლფ ჰიტლერმა დაიწყო მეორე მსოფლიო ომი თავდასხმით
პოლონეთზე, რასაც მოყვა გერმანიის ომი ინგლის-საფრანგეთის და მრავალი პა-
ტარა სახელმწიფოების წინააღმდეგ ევროპასა და თვით აფრიკაშიც კი, და გერმა-
ნიამ საბჭოთა კავშირის თავდასხმისაგანაც კი არ დაიხია უკან, როცა 1941
წლის 22 ივნისს დაესხა თავს საბჭოთა კავშს, ფრანკლინ დ. რუზველტი ჯერ და-
კმაყოფილდა ადოლფ ჰიტლერის მოწინააღმდეგეთა ეკონომიკური დახმარებით, ხოლო

როცა იაპონია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა ამერიკის სამხედრო ბაზას -
პირლ ჰარბორს, ომმა მიიღო მსოფლიო ომის მასშტაბი, რასაც ისიც დაემატა, რომ
ჰიტლერმაც ომი გამოუცხადა ამერიკის შეერთებულ შტატებს. საქმის ამგვარმა
განვითარებამ გამოიწვია - თავის მხრივ - ის, რომ მთელი ძალით ამუშავდა
ამერიკის უზარმაზარი ინდუსტრია, რამაც ისეთი შედეგები გამოიწვია, რომ უკვე
1943 წელს, ომის მსვლელობის უმაღლეს წერტილზე, ამერიკამ თითქმის შეწყვი-
ტა სამხედრო თვითმფრინავების დამზადება, რადგან უკვე იმდენი იყო დამზადე-
ბული, რომ სრულიად საკმარისი იყო გერმანია-იაპონიის დამარცხებისათვის.
და რომ ამერიკის მოკავშირეებს, განსაკუთრებით ინგლისსა და საბჭოთა კავშირს
ამერიკის უზარმაზარი არსენალის და სხვა საჭირო პროდუქტების შეძენა შეძლე-
ბოდა, ფრანკლინ დ.რუზველტმა შექმნა ე.წ-ლი "სესხირავებისა და იჯარის" ("Leand Lease") სის-
ტემა, რომელსაც ასე განმარტავდა: "თუ ჩემი მეზობლის სახლი იწვის, რა უნდა
გავაკეთო მე? მე მივცემ მას ჩვენს ბაღის რეზინის მილს, და როცა ცეცხლი ჩა-
ქრება, მე კი არ უანგარიშებ მას 15 დოლარს, არამედ დავიბრუნებ ჩემს მილს".

ამ გზით მიიღო საბჭოთა კავშირმაც განუსაზღვრელი სამხედრო დახმარება ამერი-
კიდან თვით ხურხათ-ხანოვაგის ჩათვლით.

აგრესიული, ტოტალიტარული რეჟიმების აღმოცენება მსოფლიოში აღელვებდა
ფრანკლინ დ. რუზველტს, როცა 1939 წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი;და
იაპონიის პირლ ჰარბორზე თავდასხმის შემდეგ, რუზველტმა მოკავშირეთა კონფე-
რენციებზე ქვებეკში, კაზაბლანკაში(1943 წ.), ჩერჩილეთან ერთად, მოითხოვა
ე.წ-ლი "უპირობო კაპიტულაცია"=Unconditional Surrender" გერმანია-იაპონიასა
და მათ მოკავშირეებისაგან. ამავე დროს, 1941 წლის 14 აგვისტოს, გამოაქვე-
ყნა "ატლანტიკის ქარტია, რაც შემდეგ გახდა გაერთიანებული ერების ორგანიზა-
ციის ბაზა, რასაც წინ უძღოდა რუზველდ-ჩერჩილ -სტალინის კონფერენციები იალ-
ტასა და თეირანში 1943 წელს. რუზველტის წარმატებების ბაზა გახდა ამერიკის
უზარმაზარი ეკონომიკური ძალა, რომლის დროს რუზველტმა "თავისუფალი ბაზრის"
"Laissez-faire" პრინციპი გადაიყვანა სოციალური სახელმწიფოს პრინციპზე,
რითაც მოახდინა ამერიკის ეკონომიკურ შესაძლებლობათა წარმოუდგენელი მობილი-
ზაცია. "მსოფლიო მოსახლეობის 90 პროცენტის მშვიდობიანობა, თავისუფლება და
უშიშროება, - ამბობდა რუზველტი -, დანარჩენი 10 პროცენტისაგან კითხვის
ქვეშაა დაყენებული, რომლებიც ცდილობენ ყველა საერთაშორისო წესრიგი დაან-
გრიონ..." ფიქრობდა რა მსოფლიოს მომავალ ბედზე, იგი, ოთხი შესაძლებლობიდან
- იმპერიალიზმი, ფაშიზმი, კომუნიზმი და სოციალური კაპიტალიზმი - "პირველ
სამს, - როგორც პუბლიცისტი რობერტ პერცხტაინი წერდა, - უარყოფდა; აირჩია
მეოთხე და ჯეროდა მესამე შესაძლებლობასთან - კომუნიზმთან - თანამშრომლო-
ბა"; ე.ი. ჰიტლერის რასიზმი უნდა გამქრალიყო.

3.

ადოლფ ჰიტლერის(1889-1945), შეიძლება,ყველაზე უფრო დიდი შეცდომა იყო ის,
რომ ამერიკას ის დასაწყისში ზიზღით უყურებდა როგორც "არეულ ხალხს" და ამე-
რიკის დემოკრატიაც ეზიზღებოდა, რადგან დემოკრატიას გადაწყვეტილების მიღე-
ბის უუნარობა მიიჩნევდა. ჰიტლერის მსოფლხედვა არსებითად ეყრდნობოდა მისეუ-
ლ, ფსევდორელიგიურ ანტისემიტიზმს და აქედან გამომდინარე საჭიროდ თვლიდა
ხალხის რასობრივ "გაწმენდას", რასაც მოყვა მილიონობით ე.წ-ლი "უნტერმენში-
ნშების გაჟლეტა. 1895-1900 წლებში ჰიტლერი სწავლობდა დაწყებით, ხოლო 1900
წლიდან 1905 წლამდე ჯერ ქალაქ ლინცისა და შემდეგ შტაიერის რეალურ სასწავ-
ლებელში; მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ შეწყვიტა სწავლა, ხოლო დედის
გარდაცვალების შემდეგ, 1907 წელს, ორჯერ უშედეგოდ დამთავრდა მისი ცდა შე-
სულიყო ვენის სამხატვრო აკადემიაში სასწავლებლად. 1913 წელს გადავიდა მიუ-
ნხენში, და როცა 1914 წელს პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, ჰიტლერი მოხალისედ
წავიდა დასავლეთის ფრონტზე, გახდა ეფრეიტორი, ორჯერ დაიჭრა მსუბუქად, და
დაჯილდოებული ბრძოლისათვის "რკინის ჯვარი" - მეორე და პირველი კლასის - მია-
ნიჭეს; ომის დამთავრებისას ის იყო სამხედრო საავადმყოფოში, და როცა საა-
ვადმყოფოდან გამოვიდა, იგი გახდა პროპაგანდისტი მიუნხენის რაიხსვერის კო-
მანდოში, რომლის დროს თავი გამოიჩინა როგორც ორატორმა. 1919 წელს დაუკავ-
შირდა ჰიტლერი ანტისემიტურ გერმანულ მუშათა პარტიას, რომელსაც 1920 წლიდან
"ნაციონალ-სოციალისტური გერმანული მუშათა პარტია" ეწოდა. 1923 წელს ჰიტლე-
რის ნაცისტური პარტია ბავარიის მთავრობამ დამალა პუტჩის გამო მთავრობის
წინააღმდეგ, რის შედეგად ჰიტლერს მიუსაჯეს ხუთი წლის პატიმრობა. ქალაქ ლან-
დსბერგის ციხეში ჰიტლერმა დაწერა ავტობიოგრაფიული წიგნი "ჩემი ბრძოლა", რო-
მელშიც ღიად, ყველასათვის გასაგონად ჩამოაყალიბა მისი რასობრივი თეორია და
მოითხოვა "ცხოვრების სივრცე"("ლებენსრაუმი") განსაკუთრებით გერმანიის აღმო-
სავლეთით განლაგებული სახელმწიფოების ხარჯზე. ძებლო რა გერმანეთი ხალხის
ნაწილის მიმხრობა, ჰიტლერის ნაცისტურმა პარტიამ 1932 წლის არჩევნებში მიიღ
ხმების 37 პროცენტი,გახდა კანცლერი და მოახერხა უმუშევრების დასაქმება
ავტოსტრადების მშენებლობით, და განსაკუთრებით, სამხედრო ინდუსტრიისა და ამით
არმიის სწრაფი ზრდით, რაც, გასაგებია, ომის გაჩაღებისაკენ მიუთითებდა. და
მართლაც 1939 წელში დაიწყო იმპერიული ომი ჯერ პოლონეთის, შემდეგ ინგლის-სა-
ფრანგეთის წინააღმდეგ; და როცა თითქმის მთელი დასავლეთი ევროპა, დიდი წინაა-
ღმდეგობის გარეშე, ე.წ-ლი"ბლიცკრიგით"="ელვისებური ომებით" დაიპყრო, დაეჯა-
სა მის მთავარ მტერს - რუსეთს, საბჭოთა კავშირს.. მაგრამ აქ "ბლიცკრიგი"
ჩაიხრო რუსეთის განსაკუთრებით ძლიერ ზამთარსა და წითელი არმიის თავგანწირულ
ბრძოლებში, როცა ხალხმა დაინახა თუ რას წარმოადგენდა ჰიტლერის ბრძო-
ლა "ცხოვრების სივრცისა" და რასობრივი განადგურებისათვის. და აძგვარი არა-
ნორმალური განდიდების მანიისათვის დაიღუპა არა მარტო მილიონხებით ადამიანე-

ბი ჰიტლერის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე, არამედ თვით გერმანელებიც: პლოეცის "მეორე მსოფლიო ომის ისტორიაში" მოცემულია სტატისტიკური ცნობები, რომ გერმანიაში "1939 წლიდან 1944 წლამდე 11,6 მილიონი ადამიანი გამოყვანილ იქნა ქვეყნის ეკონომიკური დასაქმებიდან", რომლებიც, რა თქმა უნდა, გაწვეულ იქნა ვერმახტში. სამაგიეროდ რვა მილიონი ადამიანი შემოყვანილ იქნა უმთავრესად აღმოსავლეთის დაპყრობილ ქვეყნებიდან, რომელთა შორის იყვნენ სამხედრო ტყვეებიც, რომ სამხედრო ინდუსტრია გაძლიერებულიყო, რასაც ნაცისტებმა მიაღწიეს კიდეც. ეს უცხოელი მუშახელი ეწეოდა მონურ შრომას, რომლის დროს განსაკუთრებით მძიმე იყო ე.წ-ლი "ოსტ-არბაიტერების", ე.ი. "აღმოსავლეთის მუშების" ბედი, დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან მოყვანილ მუშებთან შედარებით, რადგან ისინი "უნტერმენშებად", ე.ი. "დაბალი ხარისხის ადამიანებად" ითვლებოდნენ. გასაკვირია მხოლოდ: როგორ დაარწმუნა თავისთავი და მისი მომხრეები ჰიტლერმა, რომ იგი, იაპონია-იტალიასთან ერთად, დაიპყრობდა მთელ მსოფლიოს, რომლის დროს მხედველობაში არ მიიღო არა მარტო გერმანიის პოლიტიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობანი, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების უზარმაზარი ეკონომიკური დინამიზმი თუ რუსეთის ტერიტორიალური სიდიდე. ალბათ ჰიტლერმა თავის მოკვლით "გაინთავისუფლა" თავი ამ კითხვაზე პასუხის გაცემისაგან, მაგრამ - მეორე მხრივ - საკითხი უპასუხოთ, ღიათ რჩება: ადამიანიც ხომ არ არის რაღაც შეუცნობელი სტიქიური ძალების ხრახნი, შეუგნებელი ხრახნი?.. და თუ ეს ასე არ არის, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ჰიტლერის რასობრივი თეორია და მისგან გამომდინარე მილიონობით უდანაშაულო ადამიანების, განსაკუთრებით ებრაელობის გაჟლეტა და ამ გზით მსოფლიოზე გაბატონების ფანტასტიკური რწმენა, რომელიც, როგორც ჩანს, სულ ცოტა, ჰიტლერსა და მის მომხრეებს სჯეროდათ?..

4.

რუზველტისა და ჰიტლერის გვერდით, მესამე პიროვნება, რომელმაც მეორე მსოფლიო ომსა და მის შედეგებს განსაკუთრებული დაღი დაასვა, უდავოა, იყო სტალინი (1879-1953) და მისი მომხრეები, რომლებმაც ადამიანების, მილიონობით ადამიანების ძვლებზე ააგეს ეკონომიკური საფუძველი მათი "ინტერნაციონალური", სინამდვილეში კი რუსული იმპერიული სახელმწიფო, რითაც სტალინი გახდა "კაპიტალის გარეშე" ეკონომიკური განვითარების სიმბოლო, რომლის შედეგად რუსეთი, რომელიც არსებითად აგრარული ქვეყანა იყო, ორი-ათეული წლების განმავლობაში კოსმოსში გაიყვანა, მიუხედავად მეორე მსოფლიო ომის საშინელებისა, რომელსაც, როგორც ახლა იტყობინებიან, მხოლოდ საბჭოთა კავშირის მხრიდან 27 თუ 29 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა; და რამდენი ადამიანი შეეწირა საბჭოთა ინდუსტრიალიზაციას "კაპიტალის გარეშე?.." აქაც ლაპარაკია სამოც-მილიონამდე ადამიანზე, რადგან ზუსტი ცნობები ან არ არსებობს, ახლა არ სურთ გამოაქვეყნონ, რადგა რუსეთი მეორე მსოფლიო ომში, რომელსაც რუსეთი "სამამულო ომს" უწოდებს, გამარჯვებული გამოვიდა; და გამარჯვებულს ვის შეუძლია მოთხოვოს პასუხი?..

5.

რა თქმა უნდა, პოლ კლოდელის, საფრანგეთის ელჩის აშშ-ში, აზრი ჰიტლერის შესახებ -"ჰიტლერია გიჟი" -, რომელიც რუზველტთან საუბრისას განაცხადა, არ შეესაბამება, ვერ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან ერთ ადამიანს - არის ის ჰიტლერი თუ სტალინი - არ შეუძლია არც მსოფლიო ომის დაწყება და არც მისი წარმოება. აქაც, ალბათ, ძალაშია ძველი რომაული ხალხური სიბრძნე, რომ "ადამიანი ადამიანისათვის მგელია", რაც შეიძლება გავრცელებულ იქნეს ერებზე, სახელმწიფოებზე და თვით "ბლოკებზეც" კი, რაც მოქმედებაშია დღესაც, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 50 წლისთავზეც, თუკი "მსოფლიო ომით" კი არა, "პატარ-პატარა ომებით" ხორციელდება მგლური, მტაცებლური იმპერიული პოლიტიკა, რომლის ერთერთი მსხვერპლი გავხდით ჩვენც, ქართველობაც, საქართველო, როცა რუსეთის იმპერიამ [illegible] ერთი-მეოთხედი მილიონი ქართველობა აყარა აფხაზეთიდან და ლტოლვილებად აქცია ჩვენსავე სამშობლოში. ქართველთა სახლ-კარში კი უმთავრესად რუსი-კაზაკები ჩაასახლა და ამ გზით ცდილობს საქართველო თანდათანობით გააცალიეროს ქართველი მოსახლეობისაგან, ე.ი. რუსეთი მოქმედებს დღეს ისე, როგორც მოქმედებდა ჰიტლერი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას; და "გამარჯვებულს" ვის შეუძლია მოთხოვოს პასუხი დღეს?.. იმპერიული მგლური ვაი-პოლიტიკა გრძელდება, უნდა გაგრძელდეს დღესაც?.. და სად არიან მეორე მსოფლიო ომში რუსეთის მოკავშირეები, რომლებიც უფრო რუსეთის, ვიდრე მის მიერ დაჩაგრულთა მხარისდამჭერთა როლში გამოდიან?.. ეს ჰიტლერის რასობრივ პოლიტიკას ხომ არ წააგავს, თუმცა რასიზმს

ოფიციალურად თვით რუსეთის კი გმობს?.. ამ კითხვაზედაც "არსაიდან ხმა, არსად ძახილი" მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 50 წლისთავზედაც.

6.

ჰიტლერის ფსიქიკა ესადაგებოდა, - წერს მისი ცხოვრების მცოდნე ჰანს-იურგენ აიზენერი, - "არაადამიანისა და განგსტერის ფსიქიკას". პუბლიცისტი სებასტიან ჰაფნერი კი 1978 წელს წერდა:"ყველაფერი,რაც ნორმალურად სიცოცხლეს, სითბოსა და ღირსებას ანიჭებს: განათლება, პროფესია, სიყვარული და მეგობრობა, ცოლქმრობა და მამობა - მას აკლდა". ჰიტლერის ვინაობაც კი ბუნდოვანია: ჯერ კიდევ 1930 წელს, ჰიტლერის ნახევარი-ძმის ვაჟიშვილს სურდა დაემტკიცებინა მისთვის, რომ მათი წინაპარი ებრაელი იყო ქალაქ გრაციდან.

7.

ჰიტლერმა ოსტატურად გამოიყენა ე.წ.-ლი"ხალხის ხასიათი" და ტრადიცია მისი მიზნებისათვის, შეძლო რა გერმანელთა იდეალისტური და რომანტიკული სულისკვეთების შერწყმა, რომელიც ეყრდნობოდა ბრძანების უსიტყვო შესრულებას, ფრიდრიხ დიდის ორგანიზაციულ სტრუქტურებს და მეცნიერება-ტექნიკისაკენ მისწრაფებას, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჰუმბოლდტის რეფორმების შედეგად. და,დაეყრდნო რა გერმანელი ერის ამ ძალებს, ჰიტლერი შეუდგა ომისათვის მზადებას: თუ 1933 წელს სამხედრო ხარჯები 620 მილიონი მარკიდან უმნიშვნელოდ 720 მილიონ მარკამდე იქნა გადიდებული, უკვე 1934 წელს სამხედრო ხარჯები გახდა ოთხ-მილიარდ-ორასი მილიონი მარკა. 1939 წელს კი გერმანიის სამხედრო ხარჯები შეადგენდა მთელი სახელმწიფო ბიუჯეტის 61,4 პროცენტს.

8.

დაესხა რა ჰიტლერი საბჭოთა კავშირს 1941 წლის 22 ივნისს, იგი იმედოვნებდა იაპონიის თავდასხმა ამერიკაზე, შეუმსუბუქებდა მას მდგომარეობას, რადგან ამერიკა საჭირო სამხედრო საჭურველს ვერ მიაწოდებდა რუსეთს; და,მართლაც, 1941 წლის 7 დეკემბერს იაპონია თავს დაესხა ამერიკის სამხედრო ბაზას - პირლ ჰარბორს - ჰავაიზე, რასაც მოყვა 1841 წლის 11 დეკემბერს ჰიტლერის მიერ ომის გამოცხადება ამერიკის წინააღმდეგ. "რა სისულელეა",- იყო რუზველტის ერთი მრჩევლის შენიშვნა: ჰიტლერის მანიამ, რამდენადაც იგი გასაჭირში ომი კიდევ უფრო გააფართოვოს, - მიაღწია მის ლოგიკურ საზღვარს: ომი გახდა გლობალური, და ასე დაიწყო ჰიტლერის დიდი მზის დაბნელება, რომლის დროს ერთ მხარეზე იდგა გერმანია-იტალია-იაპონია, რომლის ინტეგრაციის ფიგურას წარმოადგენდა ჰიტლერი, და, მეორე მხარეზე იდგა ამერიკა,დიდი ბრიტანეთი და საბჭოთა კავშირი, რომლის ინტეგრაციის ფიგურა გახდა ამერიკა და ამით რუზველტი, რომლის უკან იდგა ამერიკის უზარმაზარი ეკონომიკური ძალა. გერმანიას ომი უკვე წაგებული ჰქონდა, რომლის ნიშანსვეტი შემდეგ გახდა სტალინგრადი თუ მოკავშირეთა დესანტი ნორმანდიაში.

9.

მაგრამ ჰიტლერი, როგორც ჩანს, არა მარტო "სასწაულმოქმედი იარაღებით", ე.წ.-ლი "V 1" და "V 2", ე.ი."შურისძიების იარაღებით", არამედ ამერიკა-რუსეთის წინააღმდეგობის გამოყენებით ლამობდა თავის გადარჩენას; და როცა 1945 წლის 12 აპრილს გარდაიცვალა ფრანკლინ დელანო რუზველტი, ჰიტლერის პროპაგანდის მინისტრმა - იოსებ გებელსმა - მაშინვე დაურეკა ჰიტლერს და უთხრა:"ჩემო ფიურერო, მე გილოცავთ თქვენ". ჰიტლერის ბუნკერში, როგორც ვერნერ მაიერ-ლარსენი წერს, - ადგილი ჰქონდა ისტერიულ მხიარულებას, რადგან მთელი ომის ბედი დამოკიდებული იყო რუზველტის პიროვნებაზე, რითაც გებელს-ჰიტლერი პარალელს ავლებდნენ რუსეთის იმპერატრიცას ელისაბეთის გარდაცვალებასთან 1762 წელს, რის შედეგად რუსეთმა დადო საზავო ხელშეკრულება პრუსიასთან სწორედ იმ დროს, როცა ფრიდრიხ დიდი სულს ლაფავდა და ასე გადარჩა ამ "სასწაულით". მაგრამ ანალოგიური "სასწაული" არ განმეორდა; და როცა სტალინის არმია მიადგა რაიხის დედაქალაქის - ბერლინის ცენტრს, 15 აპრილს მივიდა ევა ბრაუნი, ჰიტლერის საყვარელი, ფიურერის ბუნკერში; 29 აპრილს, ჰიტლერის 56-ე დაბადების წლისთავის 9 დღის შემდეგ, დაქორწინდნენ ადოლფ ჰიტლერი და ევა ბრაუნი, და 30 აპრილს, 1945 წელს, მოიკლეს თავი.

10.

ამგვარად, ფრანკლინ დელანო რუზველტი გარდაიცვალა, 63 წლის ასაკში, 1945 წლის 12 აპრილს, ადოლფ ჰიტლერმა თავი მოიკლა 1845 წლის 30 აპრილს, ხოლო იოსებ სტალინის გარდაიცვალა 1953 წლის 5 მარტს; და, არსებითად, ამ სამი პიროვნების მოქმედებაში გამოიხატა მეორე მსოფლიო ომის მთელი მსვლელობა, ომისა, რომელმაც იმსხვერპლა თითქმის 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე; და მათ შორის ქართველობაც, რადგან საქართველოს მოსახლეობიდან, როგორც არაერთხელ ითქვა, წითელ არმიაში გაწვეულ იქნა 700-ათასი კაცი, რომელთაგან ნახევარზე

მეტი უკან აღარ დაბრუნებულა; და თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას საქართველოში მთელი მოსახლეობა სამ-ნახევარ მილიონ სულს უდრიდა, გამოდის რომ საქართველოს, პროცენტულად, უფრო მეტი ადამიანი დაკარგა მეორე მსოფლიო ომში, ვიდრე სხვა ქვეყნებმა, თუმცა ომი საქართველოს ტერიტორიაზე არ მომხდარა. კიდევ მეტი: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ევროპისა და აზიის ფრონტებზე, მეორე მსოფლიო ომში დაკარგა სულ, როგორც ოფიციალურად იტყობინებიან, 295-ათასი ჯარისკაცი, ე.ი. საქართველოზე უფრო ნაკლები, თუმცა ამერიკის მოსახლეობა მაშინ ორას მილიონს აჭარბებდა.

11.

და რა მოუტანა საქართველოს მეორე მსოფლიო ომმა? - უდავოა, ჰიტლერის ნაციზმის დამარცხება ისტორიულ სამართლიანობასაც ესიტყვება და ძლენად მთელი კაცობრიობის და ამით ქართველი ერის, საქართველოს სასარგებლოდ უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ საქართველო, ჩვენის აზრით, 1945 წლის 8-9 მაისს არ ყოფილა არც გამარჯვებული და არც დამარცხებული. საქართველო მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგაც იყო და დარჩა "ახალი ტიპის" რუსეთის კოლონიური ქვეყანა, რომელსაც ცენტრი განაგებდა ისე, როგორც ეს რუსეთის იმპერიულ ამბიციებს ესაჭიროებოდა, რის ყველაზე უფრო მყვირალა ფაქტია, როგორც ავღნიშნეთ, სამ-ნახევარ მილიონ საქართველოს მოსახლეობიდან 700-ათასი კაცის გაწვევა ომში. მაგრამ ამითაც არ დამთავრებულა საქართველოს, ქართველთა უბედურება მეორე მსოფლიო ომში:

12.

უარყო რა ჟენევის კონვენცია სამხედრო ტყვეების შესახებ, რომლითაც, წითელი ჯვრის შემწეობით, ომში მონაწილე ყველა სახელმწიფო თავიანთი ტყვეების უზრუნველყოფას კისრულობდა, სტალინმა და მისმა მორჩილებმა საქვეყნოთ განაცხადეს, რომ ჩვენ ტყვეები კი არა მოღალატეები გვყავხო, და ასე ხელი აიღეს მილიონობით საბჭოთა ტყვეებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ გერმანიის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში, განსაკუთრებით ომის დაწყების პირველ წლებში. ამით საბჭოთა ხელმძღვანელობამ ხელი გაუხსნა ჰიტლერსა და მის მომხრეებს მართლაც "უნტერმენშებსავით" მოეპყრობოდნენ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს. და რადგან ამ საკითხზე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე არც ერთი მხარე არ ლაპარაკობს, მსურს ამ საკითხზე შევჩერდე, რადგან მასში გამოსჭვივის ქართველობის ბედიც მეორე მსოფლიო ომში.

13.

ამ სტრიქონების დამწერი წითელ არმიაში გაიწვიეს 1940 წელს და როგორც "კურსანტი" უკვე ფრონტზე იყო 1941 წლის 22 ივნისს, ლვოვის დასავლეთით. გაუთავებელი უკან დახევისა და ალყაში მოქცევის შედეგად, უკვე 5 აგვისტოს - გაკარლიკში, კიევის სამხრეთით, ჩავარდი ტყვედ, რომლის დროს ფეხების გულზე ტყავი ამძვრალი მქონდა ხშირი გაუთავებელი უკან დახევის შედეგად, და ასე მოვხვდი დაბა ხოლმთან შექმნილ სამხედრო ტყვეთა ბანაკში, რომელშიც თავმოყრილი იყო 92-ათასი ყოფილი წითელ-არმიელი, რომელთაგან დეკემბრის დასაწყისში, ალბათ, 10-ათასი დარჩა ცოცხალი; დანარჩენი დაიხოცა შიმშილით; და თუ მე ცოცხალი გადავრჩი, ამას უნდა ვუმადლოდე - ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით - ირაკლი ყვანიას, რომელსაც თბილისის უნივერსიტეტის გერმანული ენის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, კარგად ლაპარაკობდა გერმანულად, დანიშნეს ტყვეთა ბანაკის "პოლიციის" უფროსად, რომლის მოვალეობა იყო ე.წ-ლ "სამზარეულოთა" დაცვა დამშეული ტყვეებისაგან, თუმცა "სამზარეულოში" დამზადებული "ბალანდას" ჭამა მაინც არ შეიძლებოდა, რადგან ის გაურეცხავი კარტოფილისაგან მზადდებოდა, ალბათ, შეგნებულად, რომ ტყვეები მალე გამოსალმებოდათ ცხოვრებას. "პოლიციელების" უპირატესობა მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ მათ გარეცხილი, გაუთლელი კარტოფილის სუპს აძლევდნენ, რაც, როგორც ჩანს, ტყვეთა სიცოცხლეს ახანგრძლივებდა. და ამგვარ ჯოჯოხეთს მოეღო ბოლო 1942 წლის დასაწყისში, როცა მოულოდნელად ყველა ტყვეს, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ, გარეცხილი, მაგრამ გაუთლელი კარტოფილის სუპს აძლევდნენ და, წარმოიდგინეთ, დეზინფექციისა და აბანოს მატარებლის ვაგონებიც გამოჩნდა, რაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, იმის მომასწავებელი იყო, რომ ტყვეები, რომლებიც ამ უბედურებას გადაურჩა და მეტ-ნაკლებად ჯანმრთელები იყვნენ, უკვე ლეგიონებში იწვევდნენ, როგორც გერმანელ ჯარისკაცს; და მართლაც, 1941 წლის დეკემბერში, ხოლმის 92-ათასიან სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან, - რომელთა შორის დაახლოებით, 1500 ქართველი სამხედრო ტყვე იყო, რომელთაგან ორასამდე თუ გადაურჩა სიკვდილს, - ჯერ წაგვიყვანეს ჩენსტახოვის სამხედრო ტყვეთა ბანაკში, ხოლო იქიდან - ჩაგვაცვეს რა [illegible] სამხედრო მუნდირი (ალბათ, გერმანელი მკვდრების ან [illegible]) წაგვიყვანეს ვარშავის ახლომდებარე დაბა ვეზოლას სამხედრო ყაზარმებში, ჩაგვაცვეს უკვე გერმანული მუნდირი და ასე გავხდით "ქართველი ლეგიონერები", ე.ი. გერმანელი ჯარისკაცები. ეს იყო 1942 წლის აპრილში. ქართველ ლეგიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხერთა პირველი ნაკადი იყო სულ 350 კაცი, და ჩვენს შორის გლოვა სუფევდა, რადგან ვამბობდით: თუ 350 კაცმა მოვიყარეთ აქ თავი, რამდენი უნდა დახოცილიყო ჭყვეთა ბანაკში!?..

14.

და ამ ეპიზოდს, რომელიც მე გახვიგაღე, იმიტომ ავღნიშნავ მეორე მსოფლიო ომის 50 წლისთავთან დაკავშირებით, რომ ჰიტლერისა და მისი მომხრეების ამგვარ მოქმედებაში და, საერთოდ, ჰიტლერის რასისტულ პოლიტიკაში განსაკუთრებული "წვლილი" მიუძღვით ამერიკას, ინგლის-საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს, რომლებმაც არა ერთ დათმობაზე წავიდენ ჰიტლერის წინაშე, რასაც მოყვა საერთო საკაცობრიო ხანძარი.

15.

ერთი მაგალითი, სხვა მრავალთა შორის: 1933 წლის 7 აპრილს, როცა რუზველტი უკვე ამერიკის პრეზიდენტი, ხოლო ჰიტლერი გერმანიის კანცლერი იყო, რუზველტმა დაპატიჟა ჰიტლერი, ევროპის ათი სახელმწიფოს მეთაურებთან ერთად, მოსალაპარაკებლად. რუზველტს სურდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გარდალახვა განიარაღების და ეკონომიკური თანამშრომლობის გზით, მაგრამ ჰიტლერს არც ერთი და არც მეორე არ სურდა და მიისწრაფვოდა აუტარქიისა და გამაღლებული შეიარაღებისაკენ. და რადგან დასავლეთი ხლუმდა, ჰიტლერი კიდევ უფრო გათამამდა.

16.

მეორე მაგალითი: ჰიტლერმა, ე.წ-ლ "მიუნხენის კონფერენციაზე" ინგლის-საფრანგეთისაგან მოითხოვა ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიის მიტაცება, რაზედაც სრული თანხმობა მიიღო, რამაც ჰიტლერი კიდევ უფრო გაათამამა.

17.

კიდევ ერთი ფაქტი: 1939 წელს ჰიტლერმა შეძლო გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადება, რომლის ძალითაც რუსეთსა და გერმანიას შორის არსებული სახელმწიფოების ტერიტორიები გაინაწილეს ერთმანეთს შორის, რითაც გერმანია-საბჭოთა კავშირი გახდა მოსაზღვრე სახელმწიფოები, რამაც – თავის მხრივ – მოამზადა ნიადაგი გერმანიის რუსეთზე თავდასხმისათვის. და ჰიტლერისა და სტალინის ეს საზელისწერო ნაბიჯი უპასუხოთ დატოვა დასავლეთის ქვეყნებმა, რომლის ერთერთი საბაბი, ალბათ, ის იყო, რომ დასავლეთის დემოკრატიები ლამობდენ ნაცისტური გერმანია ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ გამოეყენებიათ, რაც მართლაც გამართლდა, როცა ჰიტლერი 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირს თავს დაესხა.

18.

და ქართველობის დიდი ნაწილი იბრძოდა წითელ არმიაში, ხოლო მცირე ნაწილი ჰიტლერის არმიაში, რომელთა შორის იყო არა მარტო სამხედრო ტყვეებისაგან შექმნილი ნაწილები, არამედ ქართველობა, რომლებიც უცხოეთს შეეხიზნა იმის შემდეგ, როცა წითელმა არმიამ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო 1921 წლის 25 თებერვალს, და საქართველოს კანონიერი მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით, საქართველოს დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით შეევარა საფრანგეთს, რომ ბრძოლა განეგრძო უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ. აშლენად, ქართული ლეგიონის გვერდით, ნაცისტებმა ქართველთა მოხალისეების ბატალიონებიც შექმნეს, რომელთაგან განსაკუთრებული სახელი მოიხვეჭა ე.წ-ლმა "ბერგმანის", "თამარ პირველის" თუ "თამარ მეორეს" ბატალიონებმა, რომლებიც უმთავრესად ემიგრანტ-მოხალისეებისაგან შესდგებოდა. ნაცისტებმა თვით რუსებისაგანაც შექმნეს ე.წ-ლი"რუსეთის განმათავისუფლებელი არმია", გენერალ ვლასოვის, ყოფილი საბჭოთა გენერლის მეთაურობით, რომელშიც თითქოს ერთი მილიონი ჯარისკაცი იყო გაერთიანებული და აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა წითელი არმიის წინააღმდეგ.

19.

აი, ახეთ ორჭოფულ მდგომარეობაში მოექცა არა მარტო ქართველობა, რომლებიც გერმანიის ვერმახტში იქნა გაწვეული – იყვნენ რა სამხედრო ტყვეები გერმანიის არმიისა: ერთი მხრივ, ქართველობა, ხუთ ვოტა მისი დიდი უმრავლესობა, უარყოფდა ჰიტლერის რასისტულ და ე.წ-ლი"ლებენსრაუმის" მტაცებრულ პოლიტიკას, მაგრამ – მეორე მხრივ – ამგვარი "ბოროტი ძალების" მეშვეობით ბოლშევიკური რეჟიმის დამხობასა და ამ გზით საქართველოს თავისუფლების მოპოვებას ფიქრობდენ. დღეს კი, – მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 50 წლისთავზე,უკვე ნათელი ხდება:– არც ერთი და არც მეორე გზა იყო ქართველობის, საქართველოსათვის მისაღები, რადგან ჰიტლერიც, არა მარტო რასისტულად, არამედ იმპერიულადაც საქართველოსავით პატარა ქვეყნებსა და ერებს გერმანიკული ერების "ლებენსრაუმის" თვალთხედვით იხილავდა, რის ერთ მაგალითად, მრავალთა შორის, გამოდგება ჰიტლერის ე.წ-ლი "ოსტმინისტერიუმის" გეგმა, რომლის თანახმად საქართველოზე, როგორც სახელმწიფოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი არ არის ლაპარაკი, არამედ კავკასიის ერთერთ რეგიონზე. ერთმა სოხუმელმა ქართველმა კი მოგვითხრო: 1942 წელს, როცა ჰიტლერის ჯარებმა შეტევაზე გადავიდენ კავკასიაში, ჰიტლერის საჰაერო ძალებმა დაბომბეს სოხუმის გარეუბნები, და შემდეგ გადმოყარეს პროკლამაციები, რომლებშიც გერმანული სარდლობა აცნობებდა სოხუმის მოსახლეობას, რომ გერმანია უკვე აღარ დაბომბავს სოხუმს, რადგან ეს საკურორტო ადგილები გერმანელი სამხედრო პირების "დასასვენებლად" გამოდგებაო! გერმანელებმა, ჩვენდა საბედნიეროდ, ვერ შესძლეს ამგვარი ვაი-პოლიტიკის განხორციელება, მაგრამ რუსეთის "პოსტ-ბოლშევიკებმა" არა მარტო რუსეთის საკურორტო ადგილად აქციეს სოხუმსა და მის რეგიონს, არამედ აფხაზი ექსტრემისტების ხელით, ერთი-მეოთხედი მილიონი ქართველობა გამორეკეს საქართველოს ამ ძირძველი მიწიდან და ჩვენს აფხაზეთში ასახლებენ მხოლოდ არაქართველობას, უმთავრესად რუს-კაზაკებს, და ქართველობა ლტოლვილებია თვით საქართველოშივე და ჩვენს აფხაზეთში დაბრუნებას წინ ეღობება "რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო სამხედრო ნაწილები" ენგურზე. და ტრაგიკული არ არის ქართველი ერის, საქართველოსათვის ამგვარი მსგავსება ჰიტლერის რასისტებსა და ბოლშევიკებს თუ "პოსტ-ბოლშევიკებს" შორის?..

20.

მაგრამ, აღინიშნა რა მეორე მსოფლიო ომის 50 წლისთავი საქართველოში, ამ ჩვენს ანალიზში მოყვანილ პრობლემებზე ოფიციალურად არაფერი არ თქვა საქართველოს დღევანდელმა ხელმძღვანელობამ, თუმცა საქართველო 1991 წლის 9 აპრილიდან ისევ დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა - 1918 წლის 26 მაისის "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის" საფუძველზე. პირიქით: საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ - მიიღო რა მონაწილეობა რუსეთის სამამულო ომის 50 წლის საიუბილეო ცერემონიაში ორმოცდა-ათი უცხოეთის სახელმწიფოების მეთაურებთან ერთად, საზღვარგარეთის პრესას, როგორც "ასოშიეიტედ პრესის" სააგენტო იტყობინება მოსკოვიდან, 9 მაისს, სხვათა შორის, განუცხადა:"მე ვესტუმრები ქალაქ გორს, რომ პატივი ვცე უმაღლეს მთავარსარდალს იოსებ სტალინს, რომლის ხელმძღვანელობით დამარცხებულ იქნა ფაშიზმი". მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 50 წლისთავზე, თქვა მან, ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ არა სტალინის შეცდომებზე, არამედ მის დიდ დამსახურებაზე, როგორიცაა ისტორიული გამარჯვება ნაციზმზე "მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ!" ვითომ ეს "მაღალი დონის" დიპლომატიაა?..

21.

აქ უკვე სრულიად მივიწყებულია ლენინ-სტალინური კოლონიური პოლიტიკა საქართველოს, ქართველი ერის მიმართ, რომელიც გაძლიერებულ იქნა იმის შემდეგ, როცა 1921 წლის 25 თებერვალს წითელმა არმიამ დაიპყრო დამოუკიდებელი საქართველო; მივიწყებულია ბოლშევიკური ტერორი საქართველოშიც კოლექტივიზაციის დროს, განსაკუთრებით კი 1936-37 წლებში, როცა ფიზიკურად იქნა განადგურებული საქართველოს ინტელიგენციისა და მშრომელების ნაღები; ხოლო ომის დროს საქართველოს მოსახლეობის ერთი-მეხუთედი გაწვეულ იქნა წითელ არმიაში, რომელთაგან ნახევარზე მეტი უკან აღარ დაბრუნებულა, რაც თავისებურ გენოციდად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს მოსახლეობის მიმართ, რომელსაც ემატება პოსტბოლშევიკური გენოციდი 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში თუ ქართველთა გენოციდი აფხაზეთში 1991 წლიდან დაწყებული, რასაც მოყვა სოხუმის დაცემა 1993 წლის 27 სექტემბერს, რომლის შედეგად ერთი-მეოთხედი მილიონი ქართველობა აყრილია თავის სახლ-კარიდან აფხაზეთში თუ შიდა ქართლში.

22.

ამდენად, უთუოდ, ზუსტი ასახვაა რეალური მდგომარეობისა თუ საქართველოს მეორე მსოფლიო ომის არც დამარცხებულებში და არც გამარჯვებულებში არ ჩავთვლით. ჰიტლერის გერმანია, მაგალითად, მეორე მსოფლიო ომში დამარცხდა, ე.ი. ხელი მოაწერა არა კაპიტულაციას, არამედ "უპირობო კაპიტულაციას", რაც "დამარცხებაზე" უფრო საშინელია, მაგრამ გერმანიისათვის სასარგებლო გამოდგა, და, აი რატომ: კაპიტულაცია, ესე-იგი, ომის ხელშეკრულება, საერთაშორისო შეთანხმებაა სამხედრო მთავარსარდლებს შორის ბრძოლის საბოლოო შეწყვეტის შესახებ, მათი ბრძანების არეში და აგრეთვე დამარცხებულის მიერ შეიარაღების გადაცემა გამარჯვებულზე. ამგვარი შეთანხმების თანახმად, დამარცხებულის ჯარისკაცები უკვე არიან სამხედრო ტყვეები. 1945 წლის 8 მაისს უპირობო კაპიტულაციას ხელი მოაწერა გერმანიამ, რომლის დროს "უპირობო" ნიშნავს იმას, რომ არავითარ გამონაკლისს არ შეიცავს კაპიტულაციის ხელშეკ-

რულება. ჰააგის სახმელეთო ომების შეთანხმება, რომელიც მიღებულ იქნა 1907 წლის 18 ოქტომბერს, მისი 35-ე სტატიით, კაპიტულაციის ზუსტ განხორციელებას მოითხოვს და დასძენს: "მხარეებს შორის დადებულ კაპიტულაციის შეთანხმებამ ანგარიში უნდა გაუწიოს სამხედრო ღირსების მოთხოვნებს". რა თქმა უნდა, საერთაშორისო სამართლით, უპირობო კაპიტულაციის ცნება არ ესადაგება ანტი-ჰიტლერული-კოალიციის Unconditional Surrender, რომლის მიზანი იყო აგრეთვე გერმანიის კონტროლი და გარდაქმნა გამარჯვებულთა მიერ ომის დამთავრების შემდეგ; და მოკავშირეთა "უპირობო კაპიტულაცია", გაშორდა რა ომის დამთავრების ხაზს, - გახდა აღმოსავლეთ გერმანიაში, ე.წ.-ლი "გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის" სახით, დიქტატორული რეჟიმის შექმნის წყარო, ხოლო - მეორე მხრივ - შეიქმნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რომელიც სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფო გახდა და დარჩა გერმანიის გაერთიანების შემდეგაც 1990 წლის 3 ნოემბერს.

23.

რა თქმა უნდა, აღნიშნულიდან ნათელი ხდება, რომ საქართველო მეორე მსოფლიო ომში არც გამარჯვებული და არც დამარცხებული გახდა, თუმცა საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რასიზმის დამარცხება, უია რასიზმის დამარცხება, რომლის განსახიერება იყო ჰიტლერი, ისტორიულ კანონზომიერებად და ამდენად სამართლიანად უნდა ჩაითვალოს.

24.

მაგრამ ფარული რასიზმი? - სანამ საბჭოთა კავშირი არსებობდა, რუსეთის ბოლშევიკები თეორიულად მაინც ლაპარაკობდნენ ხალხთა მეგობრობაზე, ერისა და ეროვნებათა თავისუფლებაზე თუ ერთა თვითგამორკვევაზე, და თეორიულად გმობდნენ ყოველი ჯურის იმპერიალიზმს. ამან გამოიწვია ის, რომ, - როგორც "აღმოსავლეთ" გერმანელი დრამატიკოსი ჰაინერ მიულერი ამბობს, - მსოფლიოს ყოველ კუთხეში თაყვანისმცემლები გამოუჩნდა რუს ბოლშევიკებს და შეიქნა ე.წ.-ლი "სოციალისტური ლიტერატურა"="სოციალისტური რეალიზმი", რომლის ბაზად იგივე ჰაინერ მიულერი მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა თეორია და პრაქტიკა არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რაც მწერლებს და, საერთოდ, ინტელიგენციას, რომლებიც საბჭოთა სინამდვილეს არ იცნობდნენ ან არ სურდათ დაენახათ, - გახვეული ჰყავდა ინტერნაციონალიზმის თვალწარმტაც ბურუსში, რაშიც იმანაც ვერ შეიტანა სინათლე, როცა, ვთქვათ, დღეს ასე გმირულად მებრძოლი ჩეჩნები, 1944 წელს, აყრილ იქნა თავიანთ მიწაწყალიდან და გადასახლებულ იქნა შორეულ ციმბირში ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ეროვნებებთან ერთად; ე.ი. ბოლშევიკების თეორია და პრაქტიკა არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რომლის დროს თეორია "ერების ძმობაზე", ხოლო პრაქტიკა "ერების განადგურებაზე" მეტყველებდა. და ბოლშევიკების ამგვარი ვაი-პოლიტიკა არსებითად კი არა ზედაპირულად განსხვავდებოდა რასისტულ პოლიტიკისაგან, რომლის დროს ჰიტლერი თეორიულად და პრაქტიკულად რასისტი იყო და დარჩა, რაც ნათლადაა გამოთქმული მის წიგნში "ჩემი ბრძოლა"; და სწორედ ამიტომაც - ბოლშევიკებისაგან განსხვავებით - მან ფეხი ვერ მოიკიდა ინტელიგენციის ფართო წრეებშიც.

25.

მაგრამ დამალა რა რუსეთმა, პირადათ ბორის ელცინმა საბჭოთა კავშირი 1991 წლის დეკემბერში და საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკები გახდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოები, მართალია, მაინც შეიქმნა ე.წ.-ლი "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა", მაგრამ როცა საქართველომ მასში შესვლაზე უარი თქვა, ახლა საბჭოთა რუსეთი კი არა რუსეთის ფედერაცია, თეორიულად და პრაქტიკულად, რისხვად მოევლინა აწ უკვე დამოუკიდებელ საქართველოს სახელმწიფოს აფხაზი ექსტრემისტების ნიღბით და მთელი ჩვენი აფხაზეთი გაწმინდა ქართველებისაგან და იქ ჩაასახლა და ასახლებს რუს-კაზაკებს; და ყველაფერ ამას სჩადის რუსეთის მსოფლიოს თვალწინ; და მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები მოსკოვს ეწვიენ, რომ საზეიმო ვითარებაში აღნიშნონ, "პოსტბოლშევიკებთან" ერთად, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 50 წლისთავი, და საქართველოს სახელმწიფოს მეთაურიც იძულებული გახდა ჩაერიოს ამ ფერხულში; და რომ ადამიანისა და ერის უფლებებიც არ იქნეს მთლიანად შეიწყნარებული, მოსკოვის სტუმრებმა ნიანგის ცრემლებიც დაღვარეს, თუმცა იმპერიული ბრძოლის სრულ შეწყვეტაზე მოსკოვი არც კი ფიქრობს. ამგვარად, - საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით -, დღეს მოსკოვის პოსტბოლშევიკები თეორიულ სარჩულსაც კი არ ეძებენ, და პირდაპირ მე-19 საუკუნის აწ უკვე დრომოჭმულ იმპერიულ პოლიტიკას განაგრძობენ "ვეფხვისა და მახვილით", რომელზედაც, როგორც ჩანს, დასავლეთის დიდი სახელმწიფოებიც კვერს უკრავენ, და, დროგამოშვებით, ნიანგის ცრემლებს ღვრიან ადამიანისა და ერის უფლებების დაცვისათვის, თუმცა ჩეჩნეთში სწორედ ამგვარ დარღვევებს აქვს ადგილი, და არა მარტო ჩეჩნეთში.

26.

და რა გამოსავალი არსებობს ამ თითქმის გამოუვალ მდგომარეობიდან, როცა დასავლეთის დიდი სახელმწიფოებიც რუსეთის იმპერიული პოლიტიკის მხარდამჭერის როლში გამოდიან და მოწმენი არიან, - როგორც ამას პარიზის ერთი ჟურნალი წერდა 1994 წელს, - "საქართველოს ნელი სიკვდილისა?.." გამოსავალი - გვსურს ჩვენ ეს თუ არ გვსურს - მხოლოდ ერთადერთია დღევანდელ საერთაშორისო პირობებში: საერთო ენის გამონახვა რუსეთთან, რომლის დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ რუსეთი უკვე "დაცრილი დათვია" და იგი უფრო საშიშია, თუ ჩვენ მასთან საერთო ენას არ ან ვერ მოვნახავთ. რუსეთის ინტერესებშიც შედის, - თუ გრძნობას არ ავყვებით არც ჩვენ და არც რუსები -, საქართველოს სახელმწიფოებრივი ტერიტორიული ერთობისა და სტაბილურობის შენარჩუნება; და ამ მიმართულებით უნდა ვიმოქმედოთ ჩვენ?..

27.

რაც შეეხება მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 50 წლის იუბილესა და ქართველთა მონაწილეობას მასში, ეს მეტად სათუთი და ჩასაფიქრებელი ისტორიული ფაქტია: ჩვენ ქედი უნდა მოვიხაროთ ყველა ქართველის ხსოვნის წინაშე, რომლებმაც თავი შესწირეს თავიანთ რწმენას, რადგან გვჯერა, გვწამს, რომ ქართველი,იბრძოდა მეორე მსოფლიო ომში ბოლშევიკების თუ ნაცისტების მხარეზე, - დარწმუნებული იყო იმაში, რომ საქართველოს ბედნიერებისათვის იღვწოდა. ქართველობას ყოველი ჯურის დამპყრობელიც კი აიძულებდა ებრძოლა საქართველოს დამპყრობის მხარეზეც, რომლის მაგალითად, თუ გნებავთ, გამოდგება საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ მე-13 საუკუნეში, რომლის შედეგად, როგორც ისტორია გვეუბნება, "...1246 წლიდან მოყოლებული ქართველებს მონღოლთა ლაშქრობაში მამაკაცთა ოცი პროცენტი უნდა გაეყვანათ"; და მამლუკები?!.. ჩვენის აზრით, ჩვენ დიდებით უნდა მოვიხსენოთ თვით მონღოლთა მხარეზე დაღუპული ქართველობა, რადგან ისინი მიდიოდნენ სიკვდილზე, რომ ქართველ ერს გაეგრძო ცხოვრება. ამდენად, პატივი უნდა ვცეთ ქართველობას, რომლებმაც - შეგნებულად თუ შეუგნებლად - სიცოცხლე შესწირეს საქართველოს ბედკრულ თუ ბედნიერ ცხოვრებისას, თუმცა ყოველ ქართველს საამისო პირობები არ გააჩნდა თავი შეეწირა საქართველოს დამოუკიდებელ და ხუვერენულ სახელმწიფოს მეობისათვის.

28.

ამიტომ, - ავღნიშნავთ რა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 50 წლისთავს, - დიდი პატივისცემით მოვიგონოთ და უკვდავვყოთ ის ქართველობა, რომლებიც ამ ომში და საერთოდ ომებში დაიღუპა, უკანასკნელად კი ჩვენს აფხაზეთში თუ შიდა ქართლში ოსი თუ აფხაზი ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლებში, რომელთა ზურგში დიდმპყრობელ შოვინისტები იდგნენ, და რომლის დროს 31-ათასი ქართველი განსაკუთრებით ახალგაზრდობა დაიღუპა. ამ ქართველების მიერ დაღვრილი სისხლი გვავალებს ჩვენ მტერი და მოყვარე გავარჩიოთ ერთმანეთისაგან, და ხელი ავიღოთ ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლაზე; ეს იქნებოდა ყველაზე უფრო დიდი პატივისცემა იმ ქართველებისა, რომლებიც საქართველოს, ქართველი ერის ერთობისა და თავისუფლებისათვის იბრძოდნენ და თავი განსწირეს.
დიდება და მარადიული ხსოვნა მათ!..

კარლო ინასარიძე
ლევილი, 1995 წლის 21 მაისი

---

"რუსეთი არ აღორძინებს ახალ იმპერიალიზმს"

1.

"რუსეთის არ აღორძინებს ახალ იმპერიალიზმს!", განაცხადა "ლე-პე-ას" სააგენტოს ცნობით რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი კოზირევმა, მოსკოვში, 1995 წლის 20 აპრილს, რითაც - არაპირდაპირ - აღიარა, რომ რუსეთი აქამდე, თვით საბჭოთა კავშირის ჩათვლით, - აღორძინებდა რუსულ იმპერიალიზმს რასაც მეფისა და შემდეგ საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობა ყოველთვის უარყოფდა და "ერების მტკიცე ერთობაზე" ლაპარაკობდა, რა თქმა უნდა, "უფროსი ძმის", ე.ი.რუსი ერის ბატონობის ქვეშ. და დღეს, პოსტბოლშევიკურ ხანაში, რუსეთი ვითომ მართლა არ აღორძინებს ახალ იმპერიალიზმს?..

2.

რუსეთი, კოზირევის თქმით, მხარს უჭერს კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას, მაგრამ - დასძინა იქვე სიტყვა-სიტყვით, - "...გამონაკლის შემთხვევებ-

ში, სხვათა შორის ჩვენი მოქალაქეების და მათი ინტერესების დასაცავად, ჩვენ მზად ვართ, გაეროს სტატუსისა და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, ყველა საჭირო ღონისძიება იქნას მიღებული თვით სამხედრო ძალის გამოყენებით". და დასვა კითხვა:"რატომ არსებობს საერთოდ შეიარაღებული ძალები და სამხედრო ფლოტი თუ არა ჩვენი მოქალაქეებისა და მათი ინტერესების დასაცავად?.." შეხო რა "ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებში" მცხოვრებს 25 მილიონი რუსების საკითხს, კოზირევმა დასძინა:"შეიძლება ადგილი ექნეს შემთხვევებს, როცა სამხედრო ძალის გამოყენება ჩვენი მოქალაქეების დასაცავად უცხოეთში საჭირო გახდება".

3.

რა თქმა უნდა, კოზირევი ამ შემთხვევაში "ბოლომდე არ ფიქრობს", თორემ თუ ყოველი სახელმწიფო თავისი მოქალაქეებისა და მათი ინტერესების დასაცავად სამხედრო ძალას გამოიყენებდა უცხო-სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაშინ ომის დაწყების საბაბი ყოველი ჯურის იმპერიალისტის ხელში არ იქნებოდა?.. და შემდეგ, რაც კიდევ უფრო არსებითია: რუსეთს შეუძლია,თავისი ძლიერი სამხედრო ძალებით, ყოველი მოსაზღვრე უცხო სახელმწიფო დააჩოქოს "რუსებისა და მათი ინტერესების" დაცვის მომიზეზებით, მაგრამ რატომ არ ფიქრობს კოზირევი თუ რა მდგომარეობაშია, სამხედრო თვალსაზრისით, ეს "განაპირა მოსაზღვრე სახელმწიფოები", თვით საქართველოს რესპუბლიკის ჩათვლით?.. შეგვიძლია ჩვენ, ქართველობას, საქართველოს, მაგალითად, საქართველოს მოქალაქეთა უფლებები დავიცვათ შეიარაღებული ძალებით თვით რუსეთში თუ ქართველთა და ქართველთა ინტერესების უგულებელყოფას ექნება ადგილი, ვთქვათ, მოსკოვში, სადაც ათი-ათასობით ქართველობა ცხოვრობს?.. რუსეთში კი არა, ჩვენ, ჩვენს სამშობლოში, საქართველოში ვერ ვიცავთ ქართველი ერის გარდაუვალ ინტერესებს, რის შედეგია ის, რომ რუსეთმა აფხაზეთში აფხაზი ექსტრემისტები გაააბატონა, რასაც მოყვა ერთი-მეოთხედი მილიონი ქართველობის გამოდევნა აფხაზეთიდან, რის შედეგად ქართველობა ლტოლვილებია თვით საქართველოში?.. და ანალოგიური მდგომარეობა არ არის შიდა ქართლში, სადაც ოსი ექსტრემისტები გააბატონა რუსეთმა და ქართველობისაგან გაწმინდა ცხინვალი და მისი რეგიონი?.. და ყველა აღნიშნული ფაქტი თვით 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ჩათვლით, - იძლევა იმის საბუთს, რომ "რუსეთი არ ახორციელებს ახალ იმპერიალიზმს?.."

4.

მართალია, რუსეთმა, ბორის ელცინის მეთაურობით, 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირი დაშალა და ახე აღმოცენდა ე.წ-ლი "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა", რომელშიც საქართველო არ შევიდა, რასაც მოყვა რუსეთის სამხედრო ჩარევა აფხაზეთსა და შიდა ქართლში, რის შედეგად ცხინვალში და სოხუმში, რომელიც 1993 წლის 27 სექტემბერს დაეცა" - გაბატონდა ოსი და აფხაზი ექსტრემისტები რუსეთის სამხედრო დახმარებით წყალობით. და დღეს?..

5.

რუსეთის სამხედრო ძალა დგას ე.წ-ლ "დნესტრის რესპუბლიკაში", აფხაზეთში გაეროს "სამშვიდობო ძალების"სტატუსით, თაჯიკეთში, რომელთაგან ყველაზე უფრო ტრაგიკული მდგომარეობაა აფხაზეთსა და შიდა ქართლში, საიდანაც - რუსეთის სამხედრო ძალებით "ლოცვა-კურთხევით" - გამორეკილია სამას-ათასზე მეტი ქართველი, რომლებიც დღესაც ვერ ბრუნდებიან თავთავიანთ სახლ-კარში. საქართველოს, ქართველი ერის ყველაზე უფრო საშინელი შეურაცყოფა, ქართველი ერის ღირსების ფეხით გათელვაა განსაკუთრებით ის, რომ ოთხმოცი-ათასი-აფხაზის ექსტრემისტულმა ნაწილმა, რომელიც აფხაზეთის მთელი მოსახლეობის 17 პროცენტს შეადგენდა, თავიანთი მიწა-წყლიდან გაკეკა 250-ათასი ქართველი, რომელიც საშინელ მდგომარეობაში არიან როგორც ლტოლვილები; და განა ამას შესძლებდნენ აფხაზი და ოსი ექსტრემისტები რუსეთის სამხედრო დახმარების გარეშე?.. ამ ფაქტების ფონზე, შეუძლია თქვას ანდრეი კოზირევმა, რომ "რუსეთი არ ახორციელებს ახალ იმპერიალიზმს?.."

6.

როგორც ვხედავთ, საქართველოს, ქართველ ერს - მიუხედავათ იმისა, რომ საქართველო ახლა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა - ჩაგრავს არა მარტო "დიდი რუსეთი", არამედ - რუსეთის სამხედრო ძალით დახმარებით - მცირერიცხოვანი აფხაზი და ოსი ექსტრემისტებიც კი; და ეს არ არის რუსული იმპერიალიზმის ყველაზე უფრო საშინელი ფორმა?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

7.

და თუ მხედველობში მივიღებთ მხოლოო "ნამყვანი სახელმწიფოების" რიცორიკულ განცხადებებს ანდრეი კოზირევის "ძველი აზროვნების", ე.ი. იმპერიული აზროვნების შესახებ, ჩვენი,-როგორც პაცარა სახელმწიფოსა და პაცარა ერის,- მისწრაფება სხვა რა უნდა იყოს, თუ არა "დავიჯეროთ" კოზირევის განცხადება,რომ "რუსეთი არ ახორციელებს ახალ იმპერიალიზმს" და ყოველი ხერხით, არსებითად დიპლომაციური გზით, შევეცადოთ "სიცყვებს მოყვეს საქმე" და, ამ-ჯერად, შევეცადოთ ქართველი ლცოლვილების დაბრუნებას თავთავიანთ სახლკარში აფხაზეთსა და შიდა ქართლში. ეს იქნებოდა ერთი ნაბიჯი იმისაკენ, რომ კოზირევმა საქმით დაადასცუროს, რომ "რუსეთი არ ახორციელებს ახალ იმპერიალიზმს" საქართველოს წინააღმდეგ.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1995 წლის 12 მაისი

## ედუარდ შევარდნაძის ინცერვიუ გაზეთ 'მონდში'

დიდმა ფრანგულმა გაზეთმა 'ლე მონდმა'(პარიზი, 11.4.1995 წ.) გამოაქვეყნა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბაცონ ედუარდ შევარდნაძის ინცერვიუ, რომელიც ამ გაზეთის კორესპონდენცმა როჟე კანსმა მიიღო და ჩაიწერა მოსკოვში, სადაც ედუარდ შევარდნაძე დაესწრო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების ცერემონიას. . აი, ამ ინცერვიუს შინაარსი:

შეკითხვა: რას განიცდით თქვენ 9 მაისის ცერემონიის დროს მოსკოვში?..

პასუხი: მოკავშირეების გამარჯვება ფაშიზმზე არის მსოფლიო მნიშვნელობის ერთი ეცაპი. პაცარა საქართველომ დიდი ხარკი გადაიხადა ამ გამარჯვებისათვის, დაკარგა რა 300-ათასი მებრძოლი სულ საქართველოდან გაწვეულ 700-ათას მეომრიდან. . მხოლოდ ბელორუსიამ დაკარგა - თუ პროპორციულად შევადარებთ - უფრო მეცი მებრძოლი მეორე მსოფლიო ომში. სცალინმა, ამ უდიდეს დიქცაცორმა ისცორიაში, მოახდინა საბჭოთა კავშირის მასების მობილიზაცია მეორე დიქცაცორის ჰიცლერის წინააღმდეგ და ითამაშა მნიშვნელოვანი როლი კოალიციაში.

შეკითხვა: მაგრამ რუსეთმა მაინც გათელა ჩეჩნეთი...

პასუხი: არ აგვენიშნა გამარჯვება მოსკოვში, ეს იქნებოდა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა შეურაცყოფა. რაც შეეხება ჩეჩნეთს, ესაა რუსეთის შინაგანი საქმე. მაგრამ ამან მოაღწია ჩვენამდეც: სამი-ათასი ჩეჩენი იბრძოდა ჩვენი აფხაზი სეპარაცისცების მხარეზე აფხაზეთში, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სამოქალაქო ომის გამოწვევას საქართველოში, რასაც მოყვა წარმოუდგენელი ნგრევა, რომლის შედეგად სამასი-ათასი ქართველი გახდა ლცოლვილი. ყოველთვის დიდ კრიციკას იწვევს, როცა ერთი სახელმწიფო ერევა მეორე სახელმწიფოს შინაგან საქმეებში, მაგრამ ეს საქმე სხვაგვარადაა ჩვენთან.

შეკითხვა: თქვენ მხარს უჭერთ რუსეთს ჩეჩნების წინააღმდეგ და ემუქრებით აფხაზებს, რომლებიც ცდილობენ საქართველოს დაქუცმაცებას. შეიცვალეთ თქვენ?

პასუხი: არა. მე ვარ ყოველთვის დემოკრაცი, მაგრამ აგრეთვე რეალისციც. არ შეიძლება რუსეთის დაქუცმაცებაზე დათანხმება. ეს გზას გაუხსნიდა ყოველგვარ ავანციურას. მეც კარგად ვიცნობ სეპარაციზმს. რა თქმა უნდა, სეპარაციზმი ყოველთვის პოპულარულია, რაც აღშფოთებს ჩეჩნებს. მაგრამ უნდა შეინარჩუნო ცივი აზროვნება. ყველაზე უფრო დემოკრაციული ქვეყნები, მათი კონსციცუციებით, თავს არიდებს გამოყოფის ყველა შესაძლებლობას.

შეკითხვა: საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, თქვენ შეუერთდით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას. რა მოიგეთ ამით?

პასუხი: ჩვენ მარცო არ ვართ, რომელმაც ასე მოიქცა. უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი და თვით მოლდავეთიც შეუერთა ეს-ენ-გეს. ჩვენ ყველაზე უფრო გვიან შევედით მასში. ეს იყო შეცდომა, როცა შევწყვიცეთ ყველა ურთიერთობა სხვებთან. ამან ჩვენ მოგვაქცია ეკონომიკურ ავცარქიაში, რაც ჩვენ ძვირად გვიჯდება. ჩვენ გვესაჭიროება ჩვენს ყოფილ პარცნიორებთან დაკავშირება, რადგან დასავლეთი მეცად ძვირია. თუ დასავლეთი ჩვენ მოგვცემს ერთ მილი-

არც დოლარს, ეს შეიძლება შეცვლის მდგომარეობას, მაგრამ ეს ალბათ ცოტაა. სულ ცოტა ათი წელი დაგვჭირდება, რომ ამ მდგომარეობიდან გამოვიდეთ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა უნდა გაყვეს ევროპის კავშირის გზას.

შეკითხვა: თქვენ მომხრე ხართ ნატოს გაფართოებისა რუსეთის საზღვრამდე?

პასუხი: ნატოს გაფართოება ნიშანია კონფრონტაციისა რუსეთთან; ეს მიუღებელია. პირიქით, საჭიროა ცივილიზებული თანამშრომლობა და ხელშეწყობა რუსეთისათვის, რომ ბიძგი მიეცეს რუსეთს დემოკრატიისაკენ.

შეკითხვა: ხელს ხომ არ უწყობთ ცივი ომის ისევ წარმოშობას?

პასუხი: საბედნიეროდ ჩვენ შევძელით იდეოლოგიური კონფრონტაციის აღკვეთა, რაც იყო გამოფიტული. მაგრამ დღეს ჩვენ ხელსვუწყობთ ახალი სახის კონფრონტაციის შექმნას; ეს მართალია.

შეკითხვა: როგორ უყურებთ თქვენ რუსეთის ევოლუციის პრობლემას?

პასუხი: რუსეთი მიდის დემოკრატიისაკენ თუ მას მეზობლები დაეხმარება. მას უნდა დავეხმაროთ. თუ რუსეთი დარჩება იზოლაციაში, ის მოექცევა მდგომარეობაში, რაც საშიშია მთელი მსოფლიოსათვის. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს რუსეთს კარგაღებული იყოს გარეთ.

'ლე მონდ', 11.5.1995 წ.

Edouard Chevardnadze, président de la République de Géorgie

# « La Tchétchénie est une affaire intérieure russe »

**« Que ressentez-vous par rapport aux cérémonies du 9 mai à Moscou ?**

– La victoire des forces alliées sur le fascisme est à célébrer à l'échelle mondiale. La petite Géorgie a payé un fort tribut pour cette victoire, puisqu'elle a perdu 300 000 des 700 000 hommes alors engagés dans la bataille. Seule la Biélorussie a eu des pertes proportionnellement supérieures. Quant à Staline, le plus grand dictateur de l'Histoire, il avait les moyens de mobiliser en masse l'Union soviétique et il a donc joué un rôle important dans la coalition contre Hitler, l'autre dictateur.

**– Et pourtant la Russie écrase les Tchétchènes...**

– Ne pas célébrer la victoire à Moscou aurait été une insulte aux morts de la seconde guerre mondiale. Quant à la Tchétchénie, c'est une affaire intérieure russe. Mais elle déborde chez nous : 3 000 Tchétchènes sont venus prêter main forte à nos séparatistes abkhazes, qui ont déclenché une guerre civile, provoqué d'innombrables destructions et jeté sur les routes 300 000 réfugiés géorgiens. On est toujours très critique lorsqu'il s'agit des affaires intérieures des autres, mais c'est une autre affaire lorsque c'est chez vous !

**– Vous soutenez les Russes contre les Tchétchènes et vous menacez les Abkhazes, qui ont fait sécession de la Géorgie. Avez-vous changé ?**

– Non. Je suis toujours démocrate, mais aussi réaliste. On ne peut pas accepter le démembrement de la Russie. Ce serait la porte ouverte à toutes les aventures. Moi aussi, j'ai connu le séparatisme. Bien sûr, c'est toujours populaire de s'indigner pour les Tchétchènes. Mais il faut garder la tête froide. Les pays les plus démocratiques, dans leur Constitution, écartent toute possibilité de sécession.

## « Il faut coopérer avec la Russie pour la pousser vers la démocratie »

**– Après avoir proclamé votre indépendance, vous avez adhéré à la CEI. Qu'y avez-vous gagné ?**

– Nous ne sommes pas les seuls à l'avoir fait. L'Ukraine, la Biélorussie, le Kazakhstan et même la Moldavie ont adhéré aussi. Nous avons été les derniers à le faire. C'était une erreur de rompre toute relation. Cela nous a plongés dans une autarcie économique qui nous a coûté très cher. Nous sommes obligés d'acheter à nos anciens partenaires, parce que l'Occident est trop cher. Si l'Occident nous donne des milliards de dollars, ça peut être différent, mais c'est peu probable. Il nous faudra au moins dix ans pour nous en sortir. Il faut que la CEI suive le même chemin que l'Union européenne.

**– Êtes-vous pour l'élargissement de l'OTAN jusqu'aux frontières de la Russie ?**

– Si l'élargissement de l'OTAN signifie la confrontation avec la Russie, c'est inacceptable. Il faut, au contraire, promouvoir une coopération civilisée avec la Russie, afin de la pousser vers la démocratie.

**– N'assiste-t-on pas à un regain de la guerre froide ?**

– Nous avons pu heureusement nous débarrasser de la confrontation idéologique, qui était stérile. Mais nous voici aujourd'hui amenés à une confrontation d'un genre nouveau, c'est vrai.

**– Comment voyez-vous l'évolution de la Russie ?**

La Russie ira vers la démocratie si ses voisins l'aident. Il faut l'aider. Si la Russie reste isolée, elle peut s'enfermer dans une situation dangereuse pour tout le monde. Il faut à tout prix la maintenir ouverte sur l'extérieur. »

*Propos recueillis par*
*Roger Cans*

---

## "ვიღაცასავით ისე მოვიდა, რომელსაც კბილი ტკივა"

ფილოსოფოსი ჟან გიტონი და ფრანსუა
მიტერანი

1.

საფრანგეთის პრეზიდენტი 1981-1995 წლებში - ფრანსუა მიტერანი, როგორც ფრანგი ფილოსოფოსი ჟან გიტონი ამბობს, მძიმე ავადმყოფი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი შეეცადა ჩემგან გაეგო რაიმე სანუგეშო "დროსა და მარადიულობის" შესახებ. თვით ჟან გიტონი კი, რომელიც 93 წლის ასაკშია, არის მორწმუნე კათოლიკე, და "მატერიალიზმს" უწოდებს თავის ფილოსოფიას, რადგან მატერიის სამყაროში "მატერიის გონს" ხედავს; მისი უამრავი ნაშრომებიდან განსაკუთრებული პოპულარობა მოიხვეჭა ასტროფიზიკოსებთან წარმოებულმა საუბარმა "ღმერთისა და მეცნიერების" შესახებ. ჟან გიტონი არის "აკადემი ფრანსეზის" წევრი და ამით ეკუთვნის "ორმოც უკვდავთა" წრეს, როგორც ეწოდება ხოლმე ამ ძველთაძველი აკადემიის წევრებს, რომელთა შორის, - ესეც გვსურს აღვნიშნოთ, - არის ერთი ქართველი მანდილოსანი ელენე ზურაბიშვილი-დ'ანკოსი.

2.

ფრანსუა მიტერანი ჩემთან "ვილაცასავით იხე მოვიდა, რომელსაც კბილი ტკივა", თქვა ჟან გიტონმა გერმანული ჟურნალის "შპიგელის"(7-1995,გვ.142-145) კორესპონდენტებთან საუბრისას, და განაგრძო:"მე ვიცნობ მიტერანს 50 წელიწადია და მასთან ბევრჯერ მილაპარაკია ფილოსოფიაზე...მე არ ვიცი როგორ მოეწონა მას რაც მე ვუთხარი, მაგრამ მე თაყვანს ვცემ მას იმისათვის, რომ ტანჯვაში, რომელსაც ის განიცდის, შეუდრეკელად ასრულებს მის სახელმწიფოებრივ ვალდებულებას. მე მის მდგომარეობაში ერთ ხოფელსაც კი ვერ ვმართავდი".

3.

"ცოტა მეცნიერება, - ამბობს ჟან გიტონი, - გვაშორებს ჩვენ ღმერთისაგან, მაგრამ ბევრ მეცნიერებას მივყევართ მასთან...ჩემი მასწავლებელი ანრი ბერგსონი განმარტავდა:'მე ვაჯამებ ფილოსოფიას შემდეგნაირ პრინციპად: მთელი არსებობს ნაწილებამდე; მიზანი არსებობს საშუალებებამდე'. თავისებური გაგებით,მარადიულობა ამგვარად არსებობს დროს წინ". "...სამყაროში ერთი მომაწესრიგებელი, მომგვარებელი აზრი არსებობს, და რომ სამყარო ერთი უზარმაზარი აზრია. მე მიყვარს ჩემი ერთი მასწავლებლის გამონათქვამი:'სამყარო არის აზრი, რომელიც არ აზროვნებს, ჩამოკიდებული ერთ აზრზე, რომელიც აზროვნებს'. ეს აზრი, რომელიც არ ფიქრობს, არის ორგანიული, ორგანიზებული მატერია. და აზრს, რომელიც თავისთავზე აზროვნებს და რომელზეც სამყარო ჰკიდია, ვუწოდებთ ჩვენ ღმერთს, შემქმნელს". "...მე მწამს პასკალის გამონათქვამი, რომ ერთ წვეთ წყალში მთელი კოსმოსია...უსასრულოპატარაში მოიპოვება უსასრულო სიდიდე". "ადამიანი არის დიდი და შეწყალების ღირსი. მაგრამ ის არის იმდენად დიდი, რამდენად მას მისი სისაწყლე ესმის."

4.

"მე ვარ მორწმუნე კათოლიკე. არმიაში კაპიტანი, იმ დროსაც კი,როცა ის გენერალს არ ეთანხმება, უნდა დაეთანხმოს", - აღიარა ჟან გიტონმა და ცრურწმენის შესახებ თქვა:
"მარტინ ჰაიდეგერი ყოველთვის თან ატარებდა გამხმარ ყვავილს, რომელიც მისთვის იყო დედის სახე. მე თან ვატარებ მარიამის პატარა ფიგურას, რომელსაც ვეღოლიავები, როცა მე ვიტანჯები და მეშინია." "იოჰანეს პავლე მეორე არის უთუოდ გენიალური კომედიანტი. ის რომ ოცი წლის იყო თეატრში თამაშობდა პოლონეთში, და დიდი წარმატებით, სხვათა შორის. როცა ის ოთხმილიონიანი მაყურებლების წინაშე წირვას ატარებს, როგორც ამას წინათ, ის ბედნიერია".

5.

"...რაც სიკვდილის შემდეგ მოხდება, მე მაღელვებს...როცა ჩემს მეუღლეს,რომელიც მისტიკოსი იყო, სიკვდილის პირას მარადიულ ცხოვრებაზე ველაპარაკებოდი, დამიტოვა ნაგლეჯ ქაღალდზე დაწერილი წინადადება ინგლისურად:"It's wonderfull to die" = "მშვენიერია სიკვდილი".

6.

ცრურწმენის შესახებ, ჟან გიტონმა მოიყვანა კიდევ ერთი მაგალითი: "ამას წინათ, ნადიმის დროს'აკადემი ფრანსეზში',,ჩვენმა 'მარადიულმა მდივანმა' მორის დრუონმა დაამუხტა, რომ მაგიდასთან ვისხედით ცამეტი კაცი. მე ეზოდან მოვიყვანე მეთოთხმეტე კაცი, რომელიც დაბნეული ამბობდა:'რას ნიშნავს ეს?' მეცნიერები, მათ შორის გენიოსები მათ საგნებში, დაამშინა რიცხვმა ცამეტმა, როგორც უბედურების რიცხვმა".

7.

ფრანსუა მიტერანი, როგორც ჩანს, "...მე მთვლის სიკვდილის პრობლემის მცოდნეთ და ჩემთან ვილაცასავით მოვიდა იხე, რომელსაც კბილი ტკივა ...მე არ ვიცი დაეხმარა მას ის, რაც ვუთხარი თუ არა..."

8.

როგორც ჩანს, სოციალისტი ფრანსუა მიტერანიც ცნობისმოყვარეობითაა შეპყრობილი თუ რა არის იქ, "საიდანაც არავინ უკან არ დაბრუნებულა".ვითომ,-ისევ შექსპირის სიტყვები რომ მოვიყვანოთ, - "...the rest is silence?" = "...დანარჩენი მდუმარებაა?" და რას ამბობს გოეთე:"Im Vorgefühl von solchem hohen Glück Genieß ich jetzt den höchsten Augenblick?" - "ამგვარი უდიდესი ბედნიერების წინაგრძნობაში, ვტკბები ახლა უაღრესი სიამოვნებით?" ვითომ სიკვდილი მარადიული მდუმარება(შექსპირი), ან "უაღრესი სიამოვნებაა?" თუ ჩვენი შოთა ყველაზე უფრო ნათლად ასახავს სიცოცხლე-სიკვდილის მისტერიას, როცა ამბობს:

9.

''ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი." მაგრამ რა არის ნაძრახი სიცოცხლე და სახელოვანი სიკვდილი?..

10.

იურიდიულად სიკვდილით მთავრდება ადამიანის უფლებამოსილება. ფილოსოფიურად კი ადამიანს უკიდურეს ცანჯვაში გარდალახავს სიკვდილი; მაგრამ სიკვდილი შეუძლია ადამიანმა მიიღოს შეგნებულად და ამ გზით, როგორც უმაღლესი გამოვლინება თავისი თავისუფლებისა, ყოფიერება დაასრულოს და მას საბოლოო სახე მისცეს. ამას ეხმიანება, უთუოთ, გოეთე-(ფაუსტი), როცა, როგორც ავღნიშნეთ, სიკვდილის პირას ამბობს:"ამგვარი უდიდესი ბედნიერების წინაგრძნობაში, ვტკბები ახლა უაღრესი სიამოვნებით". ამგვარად, თავისი გარდაუვალობით, სიკვდილი დგას სიცოცხლის უკან, და მასზე ფიქრს შეუძლია უფრო დიდი სიღრმე, არსებითობა და ზოგჯერ თავისუფალი სიმხიარულეც მიანიჭოს ცხოვრებას. მარტინ ჰაიდეგერის ექსისტენციალური ონთოლოგიის(ყოფიერების მეცნიერების) თანახმად, ადამიანი 'დინებითი გადაწყვეტილებით' იზარებს მის ყოფიერებას სიკვდილთან და ამით მის ყოფიერებას აქცევს ერთ მთლიანობაში. მატერიალისტური გაგებით კი სიკვდილი არის ერთხელადი, უკვე დასრულებული ბიოლოგიური პროცესი. ქრისტიანული რელიგიის თანახმად, სიკვდილი არის 'ცოდვების საფასური', რომელსაც შეიძლება მოყვეს აღდგომა. ანტიკური გნოსისტები('გნოსის'='ცოდნა'), ისევე როგორც ბუდიზმი და ინდუიზმი, სიკვდილს თვლიან გზად 'ისევ-გასხეულებისაკენ'.

11.

როგორც ჩანს, მხოლოდ მოთა ანიჭებს სიცოცხლე-სიკვდილს "ამ-ქვეყნიურ" სულისკვეთებას თუ ჩვენ "ნაძრახ სიცოცხლეში" პასიურ, ხოლო "სახელოვან სიკვდილში" აქტიურ ადამიანს გავიგებთ, რომლის დროს სიცოცხლე-სიკვდილი ერთი ერთობა, ერთი მთლიანობაა; და ამ ჩარჩოში ექცევა თვით ფრანსუა მიტერანის "საქმე", "ქმედება", "მოღვაწეობა", როცა იგი სამართლიანად ამაყობს მისი სოციალური სინდისით თუ "დიდი ლუვრის", "დიდი ჭიშკრის"("გრანდ არშ") თუ "დიდი ბიბლიოთეკის" ნაგებობებით...

12.

მაგრამ ვითომ ესაა "უკვდავება?.." თუ ადამიანი ცდილობს მისი სიცოცხლის გაგრძელებას, როგორც ხალხური სიბრძნე ამბობს, შვილებით, სახლის აგებით თუ წიგნის დაწერით?.. ვის შეუძლია ამ კითხვებზე პასუხის გაცემა?.. და თუ ეს ასეა, მაშინ სახელოვანი სიცოცხლე-სიკვდილი მხოლოდ იმ ადამიანის ჯილდო არ არის, რომელიც იღწვის საკუთარი ოჯახის, ტომის, ერის კეთილდღეობისათვის?. და ამ გაგებით, ფრანსუა მიტერანს ვითომ მაინც "ატკივდა კბილი" და მიადგა მკურნალს - ჟან გიტონს?.. მაგრამ თვით ფილოსოფოსიც ანალოგიურ მდგომარეობაშია?.. მაშინ,ჩვენ, სიკვდილ-სიცოცხლის პირისპირ, - ყველას "კბილი გვტკივა" და მკურნალი არსად არ ჩანს?.. თუ "მკურნალის" უსუსურობაა სწორედ "მკურნალობა", რაც სიცოცხლე-სიკვდილს უსასრულო, მარადიულ განზომილებას ანიჭებს, რაც - თავის მხრივ - ჩვენ გვესაჭიროება, რომ ღირსეულად ვიცხოვროთ და ღირსეულად წავიდეთ იმ ქვეყანაში, საიდანაც უკან არავინ არ დაბრუნებულა?.. როგორც ჩანს, ფრანსუა მიტერანი ვერ ურიგდება, ებრძვის გარდაუვალ სიკვდილს; და ყველა ჩვენ ამ მდგომარეობაში არ ვართ?..

კარლო ინასარიძე

ლევილი, 1995 წლის 15 მაისი

## 'რუსული პატრიოტიზმის მყრალი კარიკატურა?..'

ამონაწერები ნაციონალ-სოციალისტის ვლადიმერ ჟირინოვსკის ინტერვიუდან

ალექსანდრე სოლჟენიცინმა განაცხადა("შპიგელ", ნომერი 44,1994 წელი), რომ "ნაციონალ-სოციალისტი ვლადიმირ ჟირინოვსკი არის...უთუოთ, ყველაზე უფრო მყრალი კარიკატურა რუსული პატრიოტიზმისა". და ვითომ ადასტურებს თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟირინოვსკი ამას თავის ინტერვიუში, რომელიც გამოქვეყნებულია 1995 წლის 16 იანვრის იმავე ჟურნალის მე-3 ნომერში? - აი, ამონაწერები ამ ინტერვიუდან:

- "ჩვენ უნდა ვაიძულოთ ჩეჩნები დაყარონ იარაღი".
- "მე რომ ხარდალი ვიყო, გროზნოს ადგილას ახლა იქნებოდა ბომბის ძაბრი - არც ერთი ძაღლი, არც ერთი გვამი, მხოლოდ ერთი ძაბრი...ვერც ერთი კორესპონდენტი ვერ შევიდოდა რუსეთის არმიის საოპერაციო ზონაში."
- "თქვენ გაზარდეთ ბოლშევიკები და ისინი ჩვენ დაპლომბილი ვაგონით გამოგვიგზავნეთ 1917 წელს. ამგვარად მოიგეთ თქვენ ომი, თუ არა რუსული არმია ბერლინში იქნებოდა 1918 წელს. თქვენგან არაფერი დარჩებოდა. სტამბოლი და დარდანელი ჩვენი იქნებოდა. დიდი რუსეთი და პატარა ამერიკა. შეერთებულ შტატებს ექნებოდათ დღევანდელი კანადის მნიშვნელობა".
- "კავკასია ერთი საგუბერნატორო გახდება. დედაქალაქი როსტოვი დონზე."
- "რა გაღელვებთ თქვენ? გროზნო არის რუსული ქალაქი. როგორც მისი სახელწოდება ამბობს: მრისხანე. ჩვენ არ ვხუმრობთ. ეს ქალაქი ატარებს ივანე მრისხანეს სახელს. ამაში უნდა სდუმდეს ყველა."
- "ეს არის ისე, როგორც უნდა იყოს. რუსეთი არასოდეს არ ყოფილა სუსტი და მოდუნებული.რუსეთს არ ესაჭიროება ვინმეს უყვარდეს; მან შიშის ქვეშ უნდა ამყოფოს სხვები. მსოფლიოს უნდა ეშინოდეს რუსეთის. რუსეთი არის ევროპის ჟანდარმი".

ჟურნალი "შპიგელ", 16.1.1995 წელი,.
გვ.114-117.

---

"მხოლოდ მე ვლაპარაკობ სიმართლეს"

- ასე განაცხადა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ პრესკონფერენციაზე, რუსეთის დუმაში, 1995 წლის 10 მარტს და,სხვათა შორის, თქვა:
"...პერესტროიკა იყო ორგანიზებული დოლარის გადასარჩენად, რომელიც უნდა დაცემულიყო 1985 წელს. მის სამაგიეროდ დაეცა რუსეთი. აი, სად არის გორბაჩოვი დანაშაული, ამ ბოროტმოქმედისა და გარეწარისა, რომელიც კიდევ დადის და ატარებს ნობელის პრემიას. ნობელის პრემიის ყველა ლაურეატი რუსეთიდან - ბოროტმოქმედებია".

ვ.ჟირინოვსკი ამბობს:"...ამერიკა ემზადებოდა ომისათვის ჩვენს წინააღმდეგ და ახლაც მზად არის დაგვესხას თავს ჩვენ. და ჩეჩნეთის ომი საჭირო იმისათვის, რომ ჩაითრიოს მასში არმიაც და პოლიტიკოსებიც. რუსეთის სრული განადგურებისათვის საჭიროა ჩეჩნეთიც და განხეთქილება შიგნით..."

ეხება რა დღევანდელ მდგომარეობას რუსეთში, ჟირინოვსკი წერს:

"და ამას ხელს უწყობს ჟურნალისტები, განსაზღვრული პოლიტიკური პარტიები, დეპუტატების ნახევარი რუსეთის პარლამენტისა, ნახევარი მინისტრებისა და ნახევარი პრეზიდენტის ადმინისტრაციისა...ყველგან ზის მეხუთე კოლონა...ჟურნალისტი მოკლეს - და მთელი ქვეყანა ტირის. ხოლო რუსეთი იღუპება - დაატურთხე!"

ვლადიმერ ჟირინოვსკის პრესკონფერენციის მასალებიდან:
10 მარტი,1995 წ.

---

ვლადიმირ ჟირინოვსკის დაწინაურება

რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა, "განკარგულება ნომერ 107-ით", ვლადიმირ ჟირინოვსკის, რუსეთის ე.წ-ლი "ლიბერალდემოკრატიული" პარტიის ლიდერს მიანიჭა "რეზერვის პოდპოლკოვნიკის" ჩინი პირდაპირ უფროსი ლეიტენანტის ჩინიდან - გამოტოვა რა მაიორის ჩინი. გრაჩოვი ასაბუთებს მის ამ განკარგულებას იმით, რომ ჟირინოვსკიმ "...განსაკუთრებული წვლილი შეიტანა სამშობლოს თავდაცვის პოტენციალისა და რუსეთის სამხედრო ძალების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებაში". ამგვარი პატივისცემა გამოთქმულია გრაჩოვის აღნიშნულ ბრძანებაში ჟირინოვსკის დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით, თუმცა "კომსომოლსკაია პრავდა" წერს, რომ ჟირინოვსკი 50 წლი გახდება მომავალ წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ავღნიშნეთ, ალექსანდრე ხოლჟენიცინმა უწოდა ვლადიმერ ყირინოვსკის "ნაციონალიზმის კარიკატურა", დიდი შვეიცარიული გაზეთი "ნოე ციურხერ ცაიგუნგი" კი ყირინოვსკის უწოდებს "ფაშისტოიდურ ანგრეულ თავს".

"ნოიე ციურხერ ცაიტუნგი",უ.ხლ.მოსკოვი, 6.3.1995 წ.

"მ ხ ე დ რ ი ო ნ ი ს   ძ ა ლ ა"

"მხედრიონის ძალა", - ასეთ სათაურს აძლევს თავის კომენტარს ვიქტორ გომეზი, 1995 წლის 28 აპრილის მეცნიერულ ჟურნალში -"ტრანსიშენ"-"გადასვლა". ეს მეცნიერული ჟურნალი, რომელიც გამოდის პრაღაში ინგლისურ ენაზე და რომლის თანამშრომლებია არსებითად დასავლეთის მეცნიერები, - აშუქებს დღევანდელ მდგომარეობას ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში და ხნავლობის დიქტატურიდან დემოკრატიაზე "გადასვლის" შესაძლებლობებს. აი, რას წერს სიტყვა-სიტყვით ვიქტორ გომეზი "მხედრიონის ძალის"შესახებ საქართველოში:

"საქართველოში არის ორი მთავარი ცენტრი ძალაუფლებისა. პირველის მართველია ედუარდ შევარდნაძე კონსტიტუციისა და პარლამენტის მეშვეობით; მეორეა ავაზაკთა ბრბო, რომელიც ცნობილია მხედრიონის სახელწოდებით და ნიშნავს"ცხენოსანს"ან"რაინდს" ქართულად, რომელსაც მართავს ერთი ადამიანი, სახელად — ჯაბა იოსელიანი. ეს ორი ადამიანი ცხოვრობენ არა-ადვილ კავშირში მას შემდეგ, რაც ჯაბა იოსელიანმა და მისმა მიმდევრებმა დიდი როლი ითამაშეს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ჩამოგდებასა და სეპარატისტული ძალების დამარცხებაში აფხაზეთში."

"მიუხედავათ იმისა, რომ იოსელიანი - ბანკის ყოფილი მძარცველი - ოფიციალურად არის საქართველოს უშიშროების საბჭოს წევრი, იგი ბრძანებლობს დამოუკიდებელ სამინელ შეიარაღებულ ძალას და აღიარებულია როგორც ასეთი. დღემდე იოსელიანსმიხვა შევარდნაძემ განსაზღვრული მართვის უფლება სახელმწიფოში. ამასობაში ჯაბა იოსელიანმა მიითვისა საქართველოს დელეგაციის უფროსობა ჟენევაში მოლაპარაკებებისას აფხაზ სეპარატისტებთან. იოსელიანის მიმდევრები დიდისანია ეჭვის ქვეშაა დაყენებული, რომ ისინი აწარმოებენ ნარკოტიკებით ვაჭრობას. და გამოძაღვით ოპერაციებს ამ რეგიონში, მაგრამ კანონიერი მოქმედება მათ წინააღმდეგ შეუძლებელია, რადგან პოლიცია მეტად არაეფექტურია და თვით გახვეულია კორუფციაში. მხედრიონის გვერდით,სხვა შეიარაღებული ძალა არ არსებობს საქართველოში; მხედრიონის შეიარაღებულ ძალას კი განსაზღვრავენ 5.000-სი კაცით."

"მიუხედავათ ამისა, მხედრიონის უკანასკნელმა უკანონო აგრესიულ მოქმედებამ გამოიწვია ედუარდ შევარდნაძის მკაცრი რეაქცია. 1995 წლის 3 მარტს, "ინტერფაქსის" ცნობით, მხედრიონის 200 წევრმა დაიპყრეს ქალაქ რუსთავის მერის შენობა, რომლითაც პროტესტი განაცხადეს მთავრობის გეგმის წინააღმდეგ აღკვეთილ იქნას მოძალადეობა საავტომობილო მოძრაობის მძღოლების წინააღმდეგ, რომლებიც ტრანზიტით მიდიან სამხრეთ საქართველოდან აზერბაიჯანსა და სომხეთში. შევარდნაძემ მოითხოვა დამნაშავეზა "სასტიკი ტახჯა" და თქვა, რომ ასეთი დანაშაული ძირს უთხის საქართველოს სახელმწიფოს და ხელს უშლის საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას, რომელიც განზრახულია 1995 წლის შემოდგომისათვის. მაგრამ, შევარდნაძის ამგვარ მოთხოვნას, ალბათ, არავითარი კონკრეტული შედეგები არ მოყვება, რადგან შევარდნაძის უკან არ დგას არავითარი ძლიერი ძალა და შეიძლება გააღიზიანოს კიდევ იოსელიანის ბანდიტები. 1994 წლის ნოემბერში შევარდნაძე შეეცადა განეიარაღებია ყველა არაკანონიერი შეიარაღებული ძალები და მოითხოვა, რომ შეიარაღება გადაეცათ თავდაცვის, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისათვის. როგორც "აჟანს-ფრანს-პრესის" სააგენტო იტყობინებოდა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მადლობა გამოუცხადა ყველა შეიარაღებულ ძალას" წინდაწინ, მათი შეიარაღების გადაცემისათვის. მაგრამ მხედრიონმა არ შეასრულა ეს ბრძანება და არავითარი სერიოზული ღონისძიება არ ყოფილა მიღებული მის წინააღმდეგ."

"უახლესი ნიშნები მიუთითებენ იმისაკენ, - წერს კომენტატორი ვიქტორ გომეზი, - რომ ედუარდ შევარდნაძე ალბათ ცდილობს ეს პრობლემა მოაგვაროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა მხრიდან. შევარდნაძემ დაიწყო კავშირის გაბმა რუსეთის კონტრდაზვერვის სერვისთან შეებრძოლოს ნარკოტიკების კონტრაბანდას. თუ ამგვარი კავშირები გაგრძელდება, მას შეეძლებოდა საწინააღმდეგო წონასწორობისა და შეიძლება ძალის გამოყენებაც მხედრიონის წინააღმდეგ", - დასძენს ვიქტორ გომეზი.

ჟურნალი "ტრანსიშენ",1995 წლის 28 აპრილი

## პ ი რ ვ ე ლ ი   მ ა ი ს ი

## მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე

1.

1889 წელს, საფრანგეთის 1789 წლის დიდი რევოლუციის 100 წლისთავზე, რევოლუციისა, რომელმაც წარმოშვა კაცობრიობის უდიდესი ჰუმანიტარული - თავისუფლების, თანასწორობის, ძმობის - დიადი იდეა, საერთაშორისო სოციალისტური კონგრესის გადაწყვეტილებით, დაწესებულ იქნა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღედ პირველი მაისი.

2.

დღეს უკვე შრომის საერთაშორისო სოლიდარობის დღეს - პირველ მაისს - შესაფერისი მთაგონებითა და სიფაქიზით აღნიშნავს მსოფლიოს მრავალი კულტურული და ცივილიზებული ქვეყანა, რომლის დროს პირველი მაისი ოფიციალური დღესასწაულია და მშრომელები ცდილობენ ქალაქისა და სოფლის მუშების სოციალური პირობების გაუმჯობესებას, უმუშევრობის აღკვეთას, პოლიტიკურ თავისუფლებათა გაფართოებას, რომლის დროს ყურადღების ცენტრშია სამუშაო დროს შემცირება და ამ გზითაც სამუშაო ადგილების შექმნა, რაც - თავის მხრივ - ხელს უწყობს უმუშევრობის აღკვეთას. მართალია, დღეს უმუშევრები იმდენ დახმარებას,"ხელფასს"ღებულობს სახელმწიფოს სოციალური ფონდიდან, რომ, სულ ცოტა, მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში ადამიანს შეუძლია თავისი-თავისა და მისი ოჯახის სოციალური უზრუნველყოფა, მაგრამ უმუშევრობა ადამიანზე მოქმედებს არა მარტო სოციალურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც, რადგან შრომა აკეთილშობილებს ადამიანს და მას ნორმალური შრომა ისე ესაჭიროება, როგორც ჰაერი. ამიტომ უმუშევრობის აღკვეთა უპირველესი ამოცანაა თანამედროვე საზოგადოებაში, რომელიც დგას ყოველი სახელმწიფოს, მწარმოებლებისა და მშრომელების ყურადღების ცენტრში.

3.

პირველი მაისი - მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე - საქართველოში პირველად აღინიშნა 1901 წელს, როგორც ამას წერს თავის მოგონებაში დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანია თავის მოგონებაში "ჩემი წარსული", რომელიც დაიბეჭდა პარიზში 1953 წელს.

"1901 წლიდან ჟანდარმერია ატყობს, - წერს ნოე ჟორდანია, - გაზეთ 'კვალსა' და მუშათა მოძრაობას შორის რაღაც კავშირს. მაგრამ კარგად ვერ გამოურკვია, არის ეს პიროვნული სახის თუ გაზეთის აგიტაციური გავლენა....სამაისო დემონსტრაციის შემდეგ...დაიწყო მასიური დაპატიმრება მთელ თბილისში, ციხეები გაივსო".

4.

დღეს კი, როგორც ავღნიშნეთ, მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ და ცივილიზებულ ქვეყანაში პირველი მაისი ოფიციალური დასვენების დღეა, რომლის დროს მშრომელები, მშვიდობიანი დემონსტრაციების გზით, ცდილობენ მშრომელთა სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის იბრძოლონ, რომლის ცენტრში დგას უმუშევრობის აღკვეთა, რადგან ესაა თანამედროვე არა მარტო ინდუსტრიული ქვეყნების

საზოგადოების უდიდესი გამოწვევა. ამდენად, საქართველოს მშრომელებიც ჩაბმულია ამ საერთაშორისო სოლიდარულ მოძრაობაში, რადგან შრომა არის არა მარტო ყოველგვარ ფასეულობათა შექმნის ბაზა, არამედ შრომა აკეთილშობილებს ადამიანს;

ხდის მას თანამედროვე საზოგადოების სრულუფლებიან წევრად, რომელიც ქმნის ფასეულობას როგორც საკუთარი თავის, ისევე მთელი საზოგადოების ყველა წევრისათვის; და სწორედ შრომა, შრომა და კიდევ შრომა გვესაჭიროება ჩვენ, ქართველობას, საქართველოს ყოველ მოქალაქეს დღეს, რომ თავი დავაღწიოთ საქართველოს ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ სიდუხჭირეს, რაც - თავის მხრივ - ბაზაა საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების გამოჯანსაღებისა.

5.

მოვიგონოთ: "მესამე დასმა", საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც 1893 წლის 7 თებერვალს დაარსდა თბილისში, თავისი სამოქმედო პროგრამის ცენტრად აქცია -"ნივთიერი კეთილდღეობა როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული ადამიანისა"; და ამით ადამიანის სოციალური კეთილდღეობა დააკავშირა ერისა და პიროვნების თავისუფლებასთან, რაც სანიმუშო მაგალითია საერთაშორისო მასშტაბითაც.

6.

ამდენად, შრომის საერთაშორისო სოლიდარობის დღე - პირველი მაისი - შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის გაჰუმანიურების დღესასწაულად, რადგან შრომა აკეთილშობილებს ადამიანს.

კარლო ინასარიძე

პარიზი, 1995 წლის პირველი მაისი

## "კაიზერ ფრანც" და ქართული ფეხბურთი

1.

"კაიზერ ფრანც" და ქართული ფეხბურთი - ვუწოდე ამ შენიშვნას ..იმიტომ, რომ პირველად საქართველოს სპორტის ისტორიაში - გერმანიის ნაკრები ფეხბურთის გუნდი შეხვდა საქართველოს ნაკრებ ფეხბურთის გუნდს 1995 წლის 29 მარტს, თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე, რომლის დროს, როგორც მოსალოდნელი იყო(!) გერმანიამ გაიმარჯვა 2:0-ზე, რაშიც, ნაწილობრივ, ბრალს ვდებ სწორედ "კაიზერ ფრანცს". რატომ?..

2.

"კაიზერ ფრანცს" დიდი სიყვარულითა და პატივისცემით უწოდებს გერმანიის არა მარტო მასობრივი მედიუმები ფრანც ბეკენბაუერს იმიტომ, რომ ის იყო არა მარტო შესანიშნავი ფეხბურთელი, არამედ, თუ შეიძლება ითქვას, "ფეხბურთის ჯენტლემენი", რომელიც გახდა 1974 წელს მსოფლიოს ჩემპიონი, რომლის დროს ის იყო გერმანიის ნაკრების კაპიტანი; 1990 წელს კი გერმანიის გუნდი გახდა ისევ მსოფლიო ჩემპიონი, რომლის "შეფი" იყო ისევ ფრანც ბეკენბაუერი, ხოლო მისი "მშრომლიური" ფეხბურთის გუნდი "ბაიერნი" არის გერმანიის ფეხბურთელთა გუნდების ჩემპიონატების "პირველი გუნდი", რომელიც ყველაზე მეტჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, თავის მფლობელი თუ ევროპის ჩემპიონი საკლუბო გუნდებს შორის. "კაიზერ ფრანცს" კი სიყვარულით იმიტომ უწოდებენ ფრანც ბეკენბაუერს, რომ "კაიზერ ფრანცს" უწოდებდნენ ევროპაში ავსტრიის კაიზერს - ფრანც-იოზეფ-მეორეს(1848-1916), როგორც "წმინდა რომის იმპერიის კაიზერს", თუმცა მან ეს არ "იცნო"; და ახლა ფრანც ბეკენბაუერი გახადა მისმა თაყვანისმცემლებმა, რომელთა შორის მეც ვარ, "კაიზერ ფრანცად" და ასეა აღიარებული დღესაც ფრანც ბეკენბაუერი - არის რა ფეხბურთის კლუბის "ბაიერნის" პრეზიდენტი. მაგრამ...

3.

ხელის ერთი მოსმით დაეცა ჩემში "კაიზერ ფრანცის" ავტორიტეტი, როცა წავიკითხე მისი ინტერვიუ, რომელიც გამოქვეყნებულია 1995 წლის გერმანიის დიდ ჟურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალ "შპიგელის" მე-12 ნომერში, სადაც ის, სხვათა შორის, ამბობს ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატისა და კერძოთ საქართველოს ნაკრების გუნდის შესახებ:

4.

"გერმანიის ნაკრები მიაღწევდა ფინალამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში(ლაპარაკია 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. კ.ი.), რომ სხვა მოწინააღმდეგები ყოლოდა. ჩვენ რომ ბულგარეთის ნაკრების ხამაგიეროდ იტალიის ნაკრებთან გვეთამაშა, ჩვენ ახპროცენტულად გავიდოდით ფინალში. ჩვენ უნდა დავმარცხებულიყავით მხოლოდ ბულგარელების წინააღმდეგ."

"შპირელის" შეკითხვაზე -"რამდენად ადვილია მოწინააღმდეგის დამარცხება, იმდენად ნაკლებია მოგების შანსი - ამას თქვენ სერიოზულად არ ამბობთ?" - უპასუხა ბეკენბაუერმა: "გერმანელი ასეთია. რამდენად უფრო დიდია ამოცანა, იგი უფრო უკეთესად არის კონცენტრირებული. ჩვენ არ გვყავთ ნამდვილად სერიოზული მოწინააღმდეგები(ლაპარაკია ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატის მე-7 ჯგუფის ფეხბურთელთა ნაკრებებზე, ე.ი. გერმანიის, ბულგარეთის, საქართველოს, მოლდავეთის, უელსისა და ალბანეთის ეროვნულ ნაკრებ გუნდებზე. კ.ი.). ახლა, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეჯიბრებებში, იგივეა: ხუთით-ნოლზეც რომ დავამარცხოთ საქართველოს ნაკრები, რა ფასი აქვს ამას?"

5.

"მოდი ახლა შენ და ლექსები წერე!?.." ასეთი სიტყვები უნდა თქვას "ფეხბურთის ჯენტლემენმა", "კაიზერ ფრანცმა" არა მარტო საქართველოს ნაკრების, არამედ თვით ბულგარეთის ნაკრების შესახებ?.. და ამ საკითხზე იმიტომ შევჩერდი ასე დაწვრილებით, რომ ფრანც ბეკენბაუერს, ალბად, არ სურს გაიხსენოს, რომ 1954 წელს, როცა გერმანიის ნაკრები გახდა პირველად მსოფლიო ჩემპიონი უნგრეთის ნაკრების წინააღმდეგ და 3:2 მოიგო ეს თამაში, მსოფლიო პრესა სამართლიანად წერდა, რომ ფინალური მატჩი იყო ნახევარფინალური მატჩი ბრაზილიას და უნგრეთს შორის, რომელიც უნგრეთმა მოიგო, და არავინ არავითარ შანს არ აძლევდა გერმანიის ნაკრებს მაშინდელი უნგრეთის ნაკრების წინააღმდეგ ფინალში. ესე-იგი, თუ ვინ არის "სუსტი" და "ძლიერი" - ეს თამაშის შემდეგ გამოვლინდება ხოლმე და არა თამაშის წინ, თუმცა ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ საქართველოს ნაკრებს მართლაც მინიმალური შანსი გააჩნია დაამარცხოს გერმნიის ფეხბურთის ნაკრები; და ეს "მინიმალური შანსი" ქართველი ფეხბურთელებისა კიდევ შეასუსტა "კაიზერ ფრანცის" მედიდურმა ინტერვიუმ, რაც უთუოთ შეიგნო გერმანიის ნაკრების წრენერმა ~~ფოგცმა~~ ბერტი, რომელმაც ბეკენბაუერის სამაგიეროდ ბოდიში მოიხადა ქართული ფეხბურთის გულშემატკივრების წინაშე, რაც მისასალმებელია. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ გერმანია-საქართველოს ნაკრები ფეხბურთელების მატჩისას თბილისში, 1995 წლის 29 მარტს, სტადიონზე, გერმანელების მხრიდან მე-12 "მოთამაშე" იყო, უთუოთ, "კაიზერ ფრანცი", რომელმაც ჩასძახა ქართველ ფეხბურთელებს, რომ ისინი ღირსეული მოწინააღმდეგეები არ არის!..

6.

მართლაც, პირველ მატჩი გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ, წავაგეთ 2:0-ზე. მაგრამ გერმანიამ 1:1-ზე ითამაშა უელსთან, რომელც საქართველომ 5:0 დაამარცხა. ბეკენბაუერის განცხადებამ ჩვენშიაც უნდა გაგვიცხოს: "აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!" ევროპის ჩემპიონი ფეხბერთში ხომ დანიაა!..

7.

საყურადღებოა, სხვათა შორის, მრავალი მასალა, რომლებიც გერმანიის პრესაში გამოქვეყნდა ევროპის ფეხბურთის ჩემპიონატთან დაკავშირებით - ქართველ ფეხბურთზე, ფეხბურთელებზე და საქართველოში არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, სოციალურ მდგომარეობაზე. ჟურნალმა "სპორტ-ბილდმა" თავის 1995 წლის 22 მარტის ნომერში, მაგალითად, სხვა მრავალ ცნობათა შორის, გამოაქვეყნა მოკლე ცნობები საქართველოს შესახებ: "დედაქალაქი თბილისი, 1.279.000 მოსახლეობა. მთელი საქართველოს მოსახლეობაა 5.493.000 სული. რელიგია: ქართული მართლმადიდებლური. ფული: კუპონი; 506.722 კუპონი ეთანაბრება ერთ მარკას. საქართველოს სოციალური პროდუქცია ერთ სულ მოსახლეზე უდრის წელიწადში 850 დოლარს, გერმანიაში კი - 23.030 დოლარს. საქართველოს ფეხბურთის საზოგადოება საერთაშორისო ფეხბურთის საზოგადოებამ - ფიფამ - იცნო 1990 წელს. ეროვნული შეჯიბრების ზედა-ლიგაში მონაწილეობს 16 გუნდი; სულ საქართველოში არსებობს 4050 კლუბი."

8.

"კაიზერ ფრანცი ჩვენს შესახებ განცვიფრებაში მოექცევა!" - ამბობს საქართველოს ნაკრების მთავარი ტრენერი ალექსანდრე ჩივაძე, რაც გამოაქვეყნა გერმანიის "ხპორტ-ბილდის" ოგივე ჟურნალმა, თუმცა ჩვენ ჯერჯერობით განცვიფრებაში ვერც "კაიზერ ფრანცი" და ვერც ფეხბურთის გულშემატკივარნი ვერ მოვიყვანეთ. მაგრამ ქართველს საერთოდ არასოდეს არ ჰქონდა და არც დღესაც არ აქვს "არასრულფასოვანების კომპლექსი"; საჭიროა მხოლოდ შრომა, შრომა და ისევ შრომა - არა მარტო ფეხბურთში.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1995 წლის

---

ფაქტები, ფაქტები, მხოლოდ ფაქტები:

## კლინტონი და ელცინი

ბილ კლინტონმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ენ-ბი-სის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში, სხვათა შორის, რუსეთის პრეზიდენტის ელცინის შესახებ თქვა:
"მე ვფიქრობ, მის ხელშია სარდლობა"; ის არის არჩეული პრეზიდენტი. ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერს რუსეთის ერთიანობას და "მისი მეზობლების ერთიანობასაც".

აჟანს-ფრანს-პრესი:28.1.1995 წ.

## ჩეჩნების ოპტიმიზმი

"ჩვენ შეუძლია რუსეთის არმია, ყველაზე უფრო დიდი არმია მთელს მსოფლიოში, ექვსი კვირის განმავლობაში, შევაჩეროთ...
ჩვენ უკვე მოგებული ვართ," - განაცხადა ჩეჩენმა ოფიცერმა მუზამ, და დასძინა:"რუსებს არ შეუძლიათ წაგვართვან ჩვენ სამშობლო".

როიტერის სააგენტო:24.1.1995 წ.

## "აფხაზური ბატალიონის" კომანდირი

"ჩვენ ვიცით, რომ გროზნიდან, რომელიც ჩვენი მთავრობის სადგომია, უნდა დავიხიოთ უკან..., მაგრამ რუსები ჩვენ ვერ დაგვამარცხებენ; ჩვენ ვამზადებთ ჩვენს პოზიციებს მთებში", - თქვა "აფხაზური ბატალიონის" კომანდირმა შამილ ბასაევმა.

აფპ-24.1.1995 წ.

## ეს-ენ-გეს დაშლა?

რუსეთის პარლამენტს - სახელმწიფო დუმას, სურს თებერვალში განიხილოს "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის" დაშლის საკითხი. ამავე დროს უნდა მოეთხოვოს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შევიდნენ რუსეთის ფედერაციაში.

დე-პე-ა:21.1.1995 წ.

## გენერალ ჯოხარ დუდაევის ინტერვიუ

გერმანული ჟურნალის "შპიგელისათვის" მიცემულ ინტერვიუში, გენერალ დუდაევმა, სხვათა შორის, თქვა:"სანამ ჩვენი რესპუბლიკა საერთაშორისო მასშტაბით ცნობილი არ იქნება და რუსების შემოტევისაგან დაცული, ვუხელმძღვანელებ ამ სახელმწიფოს...მე არასოდეს ჩემს პოსტს არ დავთმობ ისე, როგორც საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გააკეთა - მოიკლა თავი." "გამსახურდიასავით თავს არ მოვიკლავ."

"შპიგელ",41-1994, გვ.178

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერი, ტომი და სახელმწიფო

"მსოფლიოში არსებობს დაახლოებით 1200 ერი, ეროვნება, ტომი და დაახლოებით 200 სახელმწიფო. თუ ყოველი ეთნიკური ერთობა ცალკე სახელმწიფო გახდებოდა, ამას ექნებოდა უფრო მეტი დამანგრეველი ძალა, ვიდრე ყველა მოდერნულ იარაღებს", - თქვა გერმანიის თავდაცვის მინისტრმა ფოლკერ რიულმა.

"შპიგელ", ნომ. 2, 1995 წ.

## ბალტიელები მხარს უჭერენ დუდაევს

ლატვიის პარლამენტის დეპუტატმა - იურის ხინკამ - ხაზგასმით განაცხადა: "ჩეჩნეთსაც აქვს თვითგამორკვევის უფლება".

ახოშიეიტედ-პრესს:17.1.95 წ.

## "ქართველი მოხალისეები..."

1995 წლის 13 იანვარს ქართველი მოხალისეები, 500-ი კაცის შემადგენლობით, 12-ი ავტობუსით, გაემგზავრენ აფხაზეთისაკენ საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის - თენგიზ კიტოვანის მეთაურობით. მან განაცხადა, რომ მას გზაში შეუერთდება კიდევ სამი ბატალიონი და დასძინა, რომ მისი ეს მოქმედება შეთავსებულია რუსეთის სამხედრო ძალებთან. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა კატეგორიულად უარყო, რომ მოსკოვი მხარს უჭერს ქართველი შეიარაღებული მოხალისეების გადაშქრებას აფხაზეთისაკენ.

იტარ-ტასს:13.1.1995 წ.

## ჯეიმს ბეიკერის - აშშ-ს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ჯეიმს ბეიკერმა, აშშ-ს ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვაშინგტონში, 13 იანვარს, განაცხადა, რომ რუსეთის ტერიტორიალური მთლიანობის შენარჩუნება შეესაბამება შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს. "სტრატეგიული თვალსაზრისით ჩვენ ვიყავით დაინტერესებული იმაში, რომ საბჭოთა კავშირი დაშლილიყო და ქვეყნები, რომლებიც მანამდე იყვნენ დამოუკიდებელნი, ისევ მოეპოვებიათ დამოუკიდებლობა. ჩეჩნეთი არის რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილი, და მე ვფიქრობ, რომ ჰელსინკის შეთანხმება მოითხოვს, რომ პატივცემულ იქნას რუსეთის ფედერაციის ტერიტორიალური მთლიანობა".

[illegible]-13.1.1995 წ.

## საერთაშორისო სამართალი...

"საერთაშორისო სამართალი შეგნებულად აყენებს სახელმწიფოს მთლიანობას რომელიმე ეთნიკური ჯგუფის სამშობლოდან ჩამოშორებაზე მაღლა, რომ სახელმწიფოების დაშლას თავი აარიდოს და ამობით ეთნიკური კონფლიქტები თავიდან აიშოროს", - ამბობს სტეფან კორნელიუსი.

ზც-5.-6.1.1995 წ.

## სერგეი კოვალიოვის განცხადება

"გარედან მასიური ჩარევის შედეგად - და არა ლაფპობა რუსეთის შინაგანი საქმის შესახებ - შეიძლება სისხლის ღვრის შეწყვეტა ჩეჩნეთში".

ზც-5.-6.1.1995 წ.

## ინგუში რუსლან ჩაზიევი

ინგუშების სათვისტომოს წარმომადგენელმა მოსკოვში - რუსლან ჩაზიევმა -

თქვა:"ჯოხარ დუდაევი ჩვენთვის ღმერთია,სათაყვანებელი, და თუ ის დაიღუპება ან თავს მოიკლავს, ის გახდება ჩვენთვის წმინდანი".

"ფიგარო",3.1.1995 წ.

## "შემწყნარებლობის წელი"

გაერომ გამოაცხადა 1995 წელი "შემწყნარებლობის წელიწადად". მთელი წლის განმავლობაში კაცობრიობის შეგნებაში უნდა იქნას ჩანერგილი, რომ შემწყნარებლობა არის ძირითადი საფუძველი მსოფლიო მშვიდობიანობისათვის.

დე-პე-ა:2.1.1995 წ.

## კავკასიის კონფედერაცია...

კავკასიის ხალხების კონფედერაციამ მოუწოდა მოსახლეობას მოხალისეები შეკრიბონ რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ კონფერედაციის თითქმის ყველა ხელმძღვანელი მაჰმადიანია. "მათი საერთო მტერია არა მხოლოდ რუსები, არამედ ქრისტიანი ქართველებიც".

ზც-22.12.1994 წ.

## აღმოსავლეთ ევროპის 6-ს ქვეყანაში ისევ კომუნისტები ბატონობენ

ბულგარეთში, 1994 წლის 18 დეკემბრის არჩევნებში, გაიმარჯვა სოციალისტურმა პარტია, რომელმაც მიიღო 90-ც პროცენტზე მეტი ხმა. ამ პარტიის თავჯდომარეა იან ვიდენოვი.

იუგოსლავიაში(სერბია და მონტენეგრო) პრეზიდენტი სლობოდან მილოსევიჩი არის სერბიის სოციალისტური პარტიის თავჯდომარე.
ლიტვაში 1993 წლის პარლამენტის არჩევნებში აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა ლიტვის დემოკრატიულ მუშათა პარტიამ, კომპარტიის მემკვიდრემ.
პოლონეთში 1993 წლის 19 სექტემბრის არჩევნებში გაიმარჯვა "დემოკრატიულ მემარცხენე ალიანსმა", რომელიც წარმოიშვა კომპარტიის ნანგრევებზე.
რუმინეთში 1992 წლის სექტემბრის არჩევნებში გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატების პარტიამ, რომელიც შეიქმნა კომპარტიის ბაზაზე. რუმინეთის პრეზიდენტი იონ ილიესკუ იყო კომპარტიის ფუნქციონერი.
უნგრეთში 1994 წლის მაისში დიდი გამარჯვება მოიპოვა სოციალისტურმა პარტიამ გიულა ჰორნის მეთაურობით, რომელიც არის კოალიციური მთავრობის თავჯდომარე.

ზც-20.-12.1994 წ.

## ნაციონალურ უმცირესობათა დაცვის კონვენცია

ევროპის საბჭოს 33 წევრ-სახელმწიფოდან, 21-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ნაციონალურ უმცირესობათა დაცვის ხელშეკრულებას, კონვენციას, ქალაქ სტრასბურგში,1994 წლის 29 დეკემბერს. ამ კონვენციით აკრძალულია ეროვნულ უმცირესობათა დისკრიმინაცია და ყოველ ეროვნებას გარანტირებული აქვთ რელიგიის, ენის, დედაენაზე სწავლის და კულტურული ავტონომიის უფლება. ეროვნულ უმცირესობას უნდა გააჩნდეს საკუთარი სკოლები დედაენაზე, კულტურის ცენტრები და მასობრივ მედიუმებში მონაწილეობის უფლება.

დე-პე-ა:2.1.1995 წ.

## ერი და ტერიტორია

ინგლისელი პუბლიცისტის - ჯოე დე კარეს - აზრით "ერთი ერი არის ხალხი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც გამძლეობა გააჩნია და ტერიტორიას ეპატრონება, რომელიც მას სურს და ინარჩუნებს".

"შპ." - 52-1994 წ.

## ქართველი მებრძოლები ჩეჩნეთში?

1995 წლის 1 იანვრით ჟურნალ "შპიგელის" ცნობით, აზერბაიჯანიდან ჩეჩნეთში ჩავიდა 300 ქართველი მოხალისე, ზვიად გამსახურდიას მომხრე, ჩეჩნების დასახმარებლად.

"შპ."-,1-1995 წ.,გვ.98

## "ომი პირველად ახლა იწყება..."

ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იუსიფმა ინტერვიუ მისცა გერმანიის დიდ ჟურნალს "შპიგელს", რომელიც გამოქვეყნებულია ამ ჟურნალის 1995 წლის 10 აპრილის ნომერში, რომელშიც ის, სხვათა შორის, ამბობს:

- "ომი პირველად ახლა იწყება. ჩვენი ჯარები კი არ გაქცეულან, არამედ უკან დაიხიეს მთებში, რომ სამოქალაქო მოსახლეობა დაიცვან..."
- დუდაევი მოკვდება და დაკრძალულ იქნება ჩეჩნეთში. რატომ უნდა დატოვოს მან თავისი სამშობლო? მაგრამ მხოლოდ მისი ბედის ამარა დატოვა ჩეჩნეთი. ასე თქვა დუდაევმა ტელეფონით ორი დღის წინათ..."
- "ერთი რამ ნათელია: ჩეჩნეთი გვეკუთვნის ჩვენ. ავტონომია ცოტაა; ჩვენ გვინდა კონფედერაცია რუსეთთან..."
- "ჩეჩნეთი, დუდაევის ხელმძღვანელობით, იბრძვის მარტო ზე-სახელმწიფოს წინააღმდეგ. დუდაევი არის ჩვენი თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო. ჩეჩნების დიდმა უმრავლესობამ არჩია იგი ამიტომ პრეზიდენტად."
- "მე ვარ აგრეთვე რელიგიის მინისტრიც და გარანტიას ვიძლევი, რომ ჩეჩნეთში იქნება რწმენის თავისუფლება. ჩვენ დემოკრატები ვართ და კონფრონტაცია ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის არ ექნება ადგილი..."
- "სასურიერო პირებმა აიძულეს დუდაევი. მაგრამ მე ვიცნობ მას; დუდაევს არ სურს "შარიას" შემოღება"("შარია" არის მაჰმადიანური კანონების სახელმწიფო მართველობაში გატარება. კ.ი.).
- ჟურნალ "შპიგელის" შეკითხვაზე - "მაშინ რატომ დაპირდა დუდაევი ისლამურ ფუნდამენტალისტებს სუდანში დახმარება რუსეთის, შეერთებული შტატებისა და მთელი დასავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაში? -, მინისტრმა იუსიფმა თქვა:
- "ზოგჯერ დუდაევი არის უფრო სალდათი, ვიდრე პოლიტიკოსი. მას ავიწყდება, რომ პრეზიდენტია და ფიქრობს ყოველთვის როგორც გენერალი. თუ მას ფუნდამენტალისტებთან მოკავშირეობა უნდოდა, რატომ არ მისცა უფლება ხუთი-ათას ავღანელ მებრძოლ-ძმებს მონაწილეობა მიეღოთ ჩეჩენეთის ომში?"
- "ჩვენ ვაჩვენეთ დასავლეთ ევროპასა და ნატოს, რომ რუსეთის არმია გაბერილი ბუშტია და შესდგება ქალაღის სალდათებისაგან. რამდენიმე დღეში სურდათ რუსებს ჩვენი ქვეყნის დაპყრობა, მაგრამ უკვე მეოთხე თვეა ვერ დაგვამარცხეს. ჩვენ დავადასტურებთ, რომ რუსეთის არმია საშიში არ არის. ახლა მოგვეხმარეთ ჩვენ დავამთავროთ ეს ომი", - დასძინა ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იუსიფმა.

"შპიგელ",1995 წლის 10 აპრილი,გვ.150-51.

## რუსეთის ჯარების დაყენების ხელშეკრულება

რუსეთი და საქართველო შეთანხმდნენ, განლაგებულ იქნას რუსეთის ჯარები საქართველოში ოთხ ბაზაზე. ამ ხელშეკრულების ვადაა 25 წერიწადი. რუსეთის მთავრობა ფიქრობს ამ ხელშეკრულებით უფრო უზრუნველყოს მისი სამხეთი საზღვრის უშიშროებას განსაკუთრებით ჩეჩნეთის კონფლიქტთან დაკავშირებით.

საქართველოს სახელმწიფოს თავჯდომარე ედუარდ შევარდნაძე ფიქრობს, რომ ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს კონფლიქტის მოგვარებას ოს და აფხაზ ექსტრემისტებთან. რუსეთს ანალოგიური ხელშეკრულება უკვე დადებული აქვს სომხეთთან; აზერბაიჯანი კი სასტიკი წინააღმდეგია დაუშვას თავის ტერიტორიაზე რუსეთის ჯარები.

რეიტერის სააგენტო:23.3.1995 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტერორი ქართველების წინააღმდეგ

გაეროს ლტოლვილების ორგანიზაცია გმობს აფხაზ-ექსტრემისტებს, - ასეთი ცნობა გამოაქვეყნა "ასოშიეიტედ პრესის" სააგენტომ(22.3.1995 წ.), რომლის თანახმად აფხაზ მილიციონერებმა, გალის რაიონში, სისხლის-ღვრა გააჩაღეს ქართველებში. გაეროს ლტოლვილების კომისიის სპიკერის - რონ რედმონდის - განცხადებით, რომელიც მან გააკეთა ჟენევაში, - მილიციონერები,ხუთი დღის განმავლობაში,კლავდენ, აწამებდენ და აქრობდენ ქართველებს. გაეროს ექიმებმა მოემსახურენ 35-ტ პაციენტს, რომლებსაც ჰქონდა მძიმე ჭრილობები წამების შედეგად. მოკლულთა შორის იყო   ათი ადამიანი, რომელთაც ფრჩხილები ხელებზე ამოგლეჯილი ჰქონდათ და გავარვარებული ხიშტებისაგან იყვნენ დასახიჩრებული. კიდევ ექვსი ცხედარი იპოვნეს იქ მცხვრებლებმა და აღნიშნეს, რომ ბევრი ადამიანი უგზო-უკვლოდ გააქრეს მილიციონერებმა.

ამგვარი ტერორისტული ექსპედიცია ჩაატარა, როგორც ჩანს, 400-600-ს მილიციონერმა; ისინი ძარცვავდენ მოსახლეობას და ყველაფერი თან წაიღეს, რის წაღებაც შეძლეს. უკანასკნელ ორ დღეში 700-მა კაცმა თავი შეაფარა საქართველოს მთავრობის ხელისუფლების-ქვეშ მყოფ რეგიონს; ზოგიერთებმა კი თავი შეაფარეს გაეროს სადგომს ქალაქ გალში.

ჟენევა, აპ-22.3.1995 წ.

## აზერბაიჯანში აკრძალეს "რუხი მგლების" პარტია

როგორც აზერბაიჯანის პრეზიდენტის პრესის მდივანი - ახუნდოვი - იტყობინება, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ აკრძალა ოპოზიციური პარტიის "რუხი მგლების" პარტია. ახუნდოვის სიტყვით, ეს პარტია არის პროთურქული პარტია და წააგავს ვლადიმირ ჟირინოვსკის პარტიას რუსეთში.

ემ-ექო-31.3.1995 წ.

## "ქურთების პრობლემა არის დემოკრატიის პრობლემა"

"ქურთების პრობლემა არის დემოკრატიის პრობლემა" - ეს სიტყვები ეკუთვნის თურქ მწერალს ორჰან პამუკს, რომლის რომანები "თეთრი ციხესიმაგრე" და "შავი წიგნი" თარგმნილია 14-ტ სხვადასხვა ენაზე. ეხება რა თურქეთის არმიის დაუნდობელ ბრძოლას ქურთების წინააღმდეგ, ორჰან პამუკი, მის წერილში, რომელიც გამოქვეყნებულია გერმანიის დიდ ჟურნალ "შპიგელის" 1995 წლის 3 აპრილის ნომერში, - სხვათა შორის, წერს:

"ანატოლიის მისტიკოსებმა დაგვიტოვეს ერთი უძველესი მოთხრობა: ერთი ცნობისმოყვარე ახალგაზრდა გაიგებს ერთი პროფეტის მიერ ნაწინასწარმეტყველები უბედურების ამბავს, რომ სოფლის ჭაში საწამლავია და ვინც მას დალევს, დაკარგავს გონიერებას და ლაპარაკობს სისულელეს. ეს ახალგაზრდა აფრთხილებს მის ძმებსა და მეგობრებს, მაგრამ ვერც ერთხელ არწმუნებს. თავის გადარჩენის მიზნით, სხვა გამოსავალი არ აქვს და მიდის სოფლიდან. როცა იგი რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნდება უკან ცნობის მოყვარეობის გამო, ხედავს, რომ ყველამ წყალი ჭიდან დალიეს და გასულელებული არიან...მაგრამ სოფლის ყველა მოსახლე დარწმუნებული  არიან, რომ ეს ახალგაზრდა გასულელდა და ეპყრობიან მას როგორც სულელს. ასეთი მდგომარეობა ისე აუტანელია მისთვის, რომ ეს ახალგაზრდაც დალევს წყალს ამ ჭიდან და თვითონაც გახდება სულელი.

რაც მე, - წერს ორჰან პამუკი - მესმის თურქეთის საზოგადოებაში ქურთების პრობლემებისა და თურქეთი ჯარის ჩრდილოთ ერაყში შეჭრაზე, მაგონებს მე აღნიშნულ საშინელ მოთხრობას. არა იმიტომ, რომ მე მარტოდ ვგრძნობ თავს; მიუხედავად მასობრივი ინფორმაციის მედიუმების ძალისა, მაინც არსებობს გონიერი ოპოზიცია, თუმცა მეტად მცირერიცხოვანი, რომელიც იმ პოზიციაზე დგას, რომ ქურთების პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია ტანკებით, ბომბებითა და სისხლით. მაგრამ - რადგან თურქეთის მთავრობა სხვა გზას არ იცნობს, გარდა ძალადობისა და გაჟლეტისა, - მთელ თურქეთს თანდათანობით წამლავს და თურქეთის მოქალაქეები კარგავს გონიერებას. სახელმწიფო წყაროებიდან გამომდინარე ეს საწამლავი საშიში მასშტაბით ვრცელდება ჩვენს სალაპარაკო და დამწერლობით ენა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, თუმცა ყველა იცის, რომ ჯარის შეყვანა ჩრდილოეთ ერაყში ვერ ქურთების პრობლემას და ვერ ქურთების მუშათა პარტიის განადგურებას შესძლებს. და მაინც ეს ცყული ვერ ალიგვა პირისაგან მიწისა, მთავრობის, სამხედროებისა და მასობრივი ინფორმაციის მედიუმების წყალობით."

"იმ დროს, როცა თურქები და ქურთები, რომლებიც ათასი წელიწადი ერთად მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, ერთმანეთის სისხლს სვამენ და ძმათა ბრძოლაშია გახვეული, ქვეყნის ეკონომიკა ხალორეს ემსგავსება...თუ თურქეთს სურს ევროპის შემადგენელი ნაწილი გახდეს, პირველყოვლისა უნდა მოიქცეს ის როგორც ევროპიელი", - დასძენს თურქი მწერალი ორჰან პამუკი.

"შპიგელ", 1995 წელი,ნომერი 14.

---

### გაეროს შუამავალი:"აფხაზები უარს ამბობენ საკუთარ სახელმწიფოზე"

"დე-პე-ას" სააგენტოს ცნობით ჟენევიდან, აფხაზმა ექსტრემისტებმა, რომლებმაც 1994 წელს აფხაზეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, - უკვე აღარ მოითხოვენ საკუთარი სახელმწიფოს შექმნას,, - განაცხადა გაეროს შუამავალმა ედუარდ ბრუნერმა ჟენევაში, და დასძინა:" ეს არის პროგრესი". აფხაზეთის მომავალი სტატუსის შესახებ განაცხადა ედუარდ ბრუნერმა: გაერომ ჩეჩნეთის შემთხვევაში ნათელი გახადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მხარს არ უჭერს სეპარატიზმს.

"დე-პე-ა",11.2.1995 წ.

---

### თბილისი მოითხოვს ლტოლვილების დაბრუნებას აფხაზეთში

თბილისი მოითხოვს დაყინებით უპირობო დაბრუნებას ლტოლვილებისა აფხაზეთში 1995 წლის 16 მაისამდე. ამის შესახებ იტყობინება "ინტერფაქსი" 1995 წლის 4 თებერვლის ცნობაში. საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელმა ჟენევის მოლაპარაკებაში, ჯაბა იოსელიანმა განაცხადა, რომ ეს საკითხი უნდა მოგვარდეს 8 თებერვლის ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებებისას ჟენევაში. მისი სიტყვით, თუ ეს საკითხი არ მოგვარდება, მაშინ რუსეთის სამშვიდობო ჯარებმა უნდა დატოვოს აფხაზეთის ტერიტორია და მაშინ საქართველო და აფხაზეთი თვითონ გადაწყვეტენ ამ პრობლემას.

"ინტერფაქს",4.2.1995 წ.

---

### სოკრატ ჯინჯოლია ეწინააღმდეგება ლტოლვილების დაბრუნებას აფხაზეთში

"აჟანს-ფრანს-პრესის" სააგენტოს ცნობით(13.2.1995 წ.), აფხაზეთის პარლამენტის თავჯდომარე სოკრატ ჯინჯოლია წინააღმდეგია დაბრუნდნენ ქართველი ლტოლვილები თავიანთ სახლკარში აფხაზეთში. მან თქვა, რომ ლტოლვილებს თუ აფხაზეთში დაბრუნება სურთ, უნდა განაცხადონ ნათლად, რომ მათ სურთ დამოუკიდებელ აფხაზეთის სახელმწიფოში ცხოვრება.

"ა-ფ-პ",13.2.1995 წ.

---

### "დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა" და ჩეჩნეთი

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა უმაღლესი დონის შეხვედრის შესახებ, ქალაქ ალმა-ატაში, 13 თებერვალს, - ფრანგული დიდი გაზეთი "ლე ფიგარო",სხვათა შორის, წერს:

"ეს-ენ-გეს არც ერთ წევრ-სახელმწიფოს არ მოუთხოვია აზგარიში რუსეთისაგან ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების შესახებ. უმაღლესი დონის მოლაპარაკებები ჩატარდა ისე, თითქოს ქალაქი გროზნი არ არსებობდეს..."

"ფიგარო",13.2.1995 წ.

ლტოლვილთა უშიშროება უზრუნველყოფილი არ არის, - განაცხადა გაეროს ლტოლვილთა პასუხისმგებელ პირმა - თორ ბორესენმა. ამასობაში შეხვდენ ერთმანეთს საქართველოსა და აფხაზი სეპარატისტების წარმომადგენლები ჟენევაში გაეროს შუამავლებთან - ისევ მოსალაპარაკებლად, რომ ქართველი ლტოლვილები, რომელთა რაოდენობა 250-ათასზე მეტია, თავიანთ სახლკარში დაბრუნდენ.

"ასოშიეტედ პრეს", 7.2.1995 წ.

"ეს-ენ-გე" რჩევა "მკვდრად დაბადებული"

ეხება რა "ეს-ენ-გეს" უმაღლესი დონის შეხვედრას ქალაქ ალმა-ატაში, 1995 წლის 13 თებერვალს, ავსტრიის გაზეთი "დერ შტანდარტ-ი", სხვათა შორის, წერს: "ბორის ელცინის ყველა მისწრაფება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა გამოაცოცხლოს, მარცხით დამთავრდა. ზანტად ხდება ერთი უმაღლესი დონის შეხვედრა მეორეზე, აწერენ ხელს უამრავ რეზოლუციებს, რომლებსაც იმ ქაღალდის ფასიც კი არ აქვს, რომელზედაც იწერება. მკვდარად დაბადებული რჩევა - მკვდრად დაბადებული", დასძენს გაზეთი.

"დერ შტანდარტ", 13.2.1995 წ.

შევარდნაძე იბრძვის ბოროტმოქმედების წინააღმდეგ

ტერორისტული აქტების მთელი სერია, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში ამ უკანასკნელ ხანში, სრულიად კანონზომიერია, თუ მხედველობაში მივიღებთ სხვადასხვა ძალებს, რომლებიც იბრძვიან დღეს საქართველოში ხელისუფლებისათვის. მაგრამ ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ექსპერიმენტების დრო დამთავრდა და უნდა დადგეს "კანონის დიქტატურის" დრო.

"შემთხვევით არ ვხმარობ ამ გამოთქმას, - განაცხადა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა: "კანონის დიქტატურის" პირობებში, ე.ი. დემოკრატიულ საზოგადოებაში, ადგილი არ აქვს მაფიოზურ დაჯგუფებებს თუ სხვადასხვა კლანებს. ამის შედეგია ის, რომ - ერთი მხრივ - არ მიმდინარეობს მშენებლობის პროცესი, ხოლო - მეორე მხრივ - სასტიკი წინააღმდეგობა მათ მხრივ, რომლებსაც ხელს არ უწყობს ისეთი ორგანიზებული ორგანიზმის განმტკიცება, როგორიც არის სახელმწიფო.

შევარდნაძის აზრით, პატიმრობიდან განთავისუფლება თენგიზ კიტოვანისა სრულიად უპერსპექტივოა, რადგან მისი შეიარაღებული შესვლა აფხაზეთში, დღევანდელ სიტუაციაში, სრულიადაც არ შეიძლება ჩაითვალოს ნაბიჯად სტაბილიზაციისაკენ, - უფრო, პირიქით. გაურკვეველი რჩება ჯერჯერობით ბედი ყოფილი პრემიერ მინისტრ თენგიზ სიგუასი, რომელიც გარეული უნდა იყოს კიტოვანის საქმეში.

ოს-"მრემია", 4.2.1995 წ.

გენერალ გრაჩოვის მონათვლა

საქართველოში

რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი მოინათლა საქართველოში, როგორც ამას "იტარ-პრესი" იტყობინება. მონათვლის ცერემონია ჩატარდა ანანურის ეკლესიაში. გრაჩოვის ნათლია გახდა მისი დიდი ხნის მეგობარი, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე. მანამდე კი გენერალ გრაჩოვმა მოლაპარაკება აწარმოა თბილისში რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ საქართველოში.

"იტარ-ტასს", 24.3.1995 წ.

თენგიზ სიგუა: "შევარდნაძეს უბრალოდ შეეშინდა.... ესაა პოლიტიკური შანტაჟი".

ასეთი სათაურით გამოაქვეყნა ვრცელი სტატია გაზეთ "საქართველოში" (24-27 იანვარი, 1995 წ.), რომელშიც, სხვათა შორის, თენგიზ სიგუა წერს: "...რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა, რომელიც იმჟამად იმყოფებოდა აფხაზეთში, იძლეოდა იმის გარანტიას, რომ არაფერში არ ჩაერეოდენ. უფრო მეტიც,

ისინი თავად გვარწმუნებდნენ, რომ ხუთ დღეში შევძლებდით ფსოუმდე გასვლას. მაგრამ მესამე დღეს მოვიდა სახელმწიფოს მეთაურის ბრძანება: არცერთი ნაბიჯი გუმისტას იქით! ფაქტიურად მაშინ იყო წაგებული აფხაზეთი. მე მეტს გეტყვით. აფხაზეთის ეპოპეა დაიწყო ცხინვალიდან. ალბათ გახსოვთ, რომ ცხინვალი იყო სრულ ალყაში. ტატიშვილი შუა ქალაქში იყო შესული. ამ დროს თბილისიდან მოდის ბრძანება - მოიხსნას ალყა! მე მატყობინებენ ამის შესახებ დაზვერვიდან. დაზვერვის ხალხი აღშფოთებული იყო. ყარყარაშვილი გაგიჟებულია, რა დროს ალყის მოხსნაა, ბიჭები აგვიჯანყდებიან, ცხინვალი თითქმის აღებულია...
ყარყარაშვილმა ბრძანება შეასრულა, ალყა მოიხსნა, ბრძანება შესრულდა, მაგრამ დაირღვა მეორე გეგმა: როგორც კი ყარყარაშვილი ცხინვალს აიღებდა, ათას ორასი კაციდან, რომელიც ჩაბმული იყო ცხინვალის კონფლიქტში, ორასი რჩებოდა იქვე. ცხინვალში შედიოდა ქართული პოლიცია და აღადგენდა საქართველოს იურისდიქციას. დანარჩენი ათასი კაცის ბაზაზე აფხაზეთში ამ დროს უნდა შექმნილიყო გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, ტყვარჩელის, და ასე შემდეგ, გალიდან გაგრამდე ქართული ბატალიონები. შექმნილი იყო მხოლოდ სოხუმის ბატალიონი 250 კაცის შემადგენლობით. მას დაემატებოდა 1000 კაცი და არძინბა საერთოდვერაფერს მოახერხებდა. მაგრამ მოხდა პირიქით. შემდეგ უკვე საჭიროების გამო 250 კაციც ჩამოყვანილ იქნა ცხინვალის რეგიონში. აი, აქედან დაიწყო აფხაზეთის ტრაგედია. პარლამენტში მე ეს შეკითხვა დავუსვი სახელმწიფოს მეთაურს - რატომ მოხსნა ცხინვალის ალყა? მან მიპასუხა, შემეშინდა იქ მყოფ ვერტმფრენების პოლკთან რამე არ მომხდარიყოო.

"საქართველო, 24-27.1.1995 წ.

## თავდასხმები აფხაზეთში

სოხუმი, "ა-პეს" სააგენტო, 3.4.1995 წელი. თავდასხმების დროს ქალაქ გალში მოკლულ იქნა ექვსი ადამიანი, მათ შორის ხუთი პოლიციელი. საქართველოს მთავრობის ჯარები და აფხაზი სეპარატისტები 1992-1993 წლებში იბრძოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. დღემდე გაეროსა და რუსეთის ყველა ცდა კონფლიქტის მოსაგვარებლად შეუძლებელი გახდა.

"ა-პე", 3.4.1995 წ.

## ნიკოლაევ-პასტუხოვ-შევარდნაძის შეხვედრა თბილისში

9 მარტს, 1995 წელს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე - ბორის პასტუხოვი და რუსეთის სასაზღვრო ნაწილების მთავარსარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი - ადრეი ნიკოლაევი თბილისში შეხვდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს - ედუარდ შევარდნაძეს და ჰქონდათ მოლაპარაკება დახურულ კარებში, რომლის შემდეგ შედგა გაფართოებული მოლაპარაკება და ხელმოწერილ იქნა რიგი ოქმებისა, რომლებიც ეხება შემდგომ სტრატეგიულ თანამშრომლობას ეს-ენ-გეს სახელმწიფოების საზღვრების დაცვის საქმეში. კარგად ინფორმირებული წრეების ცნობით, საქმე ეხებოდა აგრეთვე კონკრეტულ ღონისძიებებს საქართველო-რუსეთის საზღვრების დაცვას ჩეჩნეთის რესპუბლიკასთან საზღვარზე, მდინარე ფსოუს გასწვრივ. ედუარდ შევარდნაძემ მიაქცია ჟურნალისტების ყურადღება განსაკუთრებით იმაზე, რომ ამ შეხვედრისას გამოყენებულ იქნა არა ტერმინები "აფხაზეთ-საქართველოს" თუ "ოსეთ-საქართველოს" კონფლიქტების, არამედ ლაპარაკი იყო კონფლიქტების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის შიგნით. ეს კი მნიშვნელოვანია, დასძინა ედუარდ შევარდნაძემ.

ნტ-9.3.1995 წ.

## მოსკოვი არღვევს განიარაღების ხელშეკრულებებს

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულია დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოებს შორის, იმიტომ იდება ხოლმე, რომ ისინი ძალაშია მაშინაც, როცა მდგომარეობა იცვლება. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: რადგან მდგომარეობა ცვალებადია, სახელმწიფოები დებენ ერთმანეთს შორის ხელშეკრულებას, რომ დარწმუნებული იყვნენ მომავალში პარტნიორი ხელშეკრულებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიცავს და მის ვალდებულებას მაშინაც შეასრულებას, როცა მდგომარეობა იცვლება. ეს არის საერთაშორისო ხელშეკრულების დედა-აზრი.

მაგრამ, როგორც ჩანს, არა მოსკოვისათვის: კონვენციური, ე.ი. ჩვეულებრივ შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებით ევროპაში, რუსეთმა, მაშინ საბჭოთა კავშირმა, 1990 წლის 19 ნოემბერს, პარიზში, ხელი მოაწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომლის ძალით რუსეთს უფლებააქვს "ჩრდილოეთ-სამხრეთ-რეგიონში", ე.ი.სანტ პეტერბურგსა და კავკასია შორის ჰყავდეს მხოლოდ 600 ტანკი. ახლა კი რუსეთის სახმელეთო ჯარების მთავარსარდალმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ვლადიმირ სემიონოვმა განაცხადა, რომ, მიმდინარე წლის ივნისამდე, ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში შეიქმნება 58-ე არმია, რაც აღნიშნული ხელშეკრულების საზღვრებს ცილდება. "რუსეთის უშიშროებისა და ერთობის ინტერესები, - აღნიშნა სემიონოვმა, - უფრო მაღლა უნდა იდგეს, ვიდრე ამ დოკუმენტის დებულებანი". რუსეთი საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევის მიზეზათ თვლის "არასტაბილურ მდგომარეობას ჩეჩნეთში".

<u>მგ-27.4.1995 წ.</u>

## <u>ფრანგული გაზეთი 'ლე მონდი' საქართველოს შესახებ</u>

1995 წლის დიდი ფრანგული გაზეთი 'ლე მონდი' აქვეყნებს ორ საკმაოდ დიდ სტატიას საქართველოს შესახებ, რომლებშიც ასახულია საქართველოს როგორც დღევანდელი მდგომარეობა, ისევე წარსული.(25.5.1995 წ.).

როჟე კანსი, მაგალითად, რომელიც თბილისიდან აწვდის ამ გაზეთს თავის ცნობას, - მეტად ბნელ ფერებში აღწერს საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას, განსაკუთრებით ეკონომიკურ სფეროში, და თავის სტატიას აძლევს ასეთ სათაურს: 'საქართველო გახდა ავადმყოფი არსება კავკასიაში', რომელშიც,სხვათა შორის, წერს:

'საქართველო დღესასწაულობს პარასკევს, 26 მაისს, თავისი დამოუკიდებლობის მეოთხე წლისთავს. ეს დამოუკიდებულობა ყოველმხრივ არის რელატიური. მართლაც, საქართველოს პრეზიდენტმა - ედუარდ შევარდნაძემ - რამდენიმე საათით დააგვიანა დღესასწაულზე მოსვლა, რადგან იგი იმავე დღეს დაესწრო ქალაქ მინსკში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის უმაღლესი დონის შეხვედრას, რომელშიცაა გაერთიანებული ყოფილი საბჭოთა კავშირის მოკავშირე რესპუბლიკები, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გამოკლებით...დღეს საქართველოსათვის ყველაზე უფრო მძიმე მდგომარეობას ქმნის ის, რომ ქვეყანა დაქუცმაცებულია სეპარატისტული მოძრაობათაგან როგორც ქვეყნის მიჯნით, ისე საზღვრებზე, რაც მეტად საშიშია.'

'საქართველო, - განაგრძობს გაზეთი - ცხოვრობს დღეს საერთაშორისო თანამეგობრობის მოწყალებით: დასავლეთიდან 233 მილიონი დოლარი მიიღო 1992-1993 წლებში და 10 მილიარდი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან, როცა საქართველო შეუერთდა ამ ორგანიზაციას...ტოტალური დამოკიდებულება სხვაზე... ერთადაერთი ეკონომიკურად სარგებლიანია სოფლის მეურნეობა, რომელიც ნაკლებადაა დამოკიდებული ენერგიის წყაროებთან...ელექტროენერგიით მომარაგება კი დრამატულია, როგორც ენერგიით მომარაგება საერთოდ...'

აღწერს რა საქართველოს უმოწყალო მდგომარეობას, როჟე კანსი თვით სიტყვას 'დამოუკიდებლობას' ბრჭყალებში სვამს, თუმცა, როგორც ჩანს, ისიც არ აცნობეს ამ ფრანგ სპეციალურ კორესპონდენტს, რომ საქართველომ ოთხი წლის წინათ კი არა, 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადა მდამოუკიდებლობა, ე.ი.77 წლის წინათ. ეს კი ჩვენი დანაშაულია, რომ უცხოელებს არ ვაწვდით სწორ ცნობებს საქართველოს მდგომარეობის შესახებ.

ბენუა ოპკინი, იმავე გაზეთის მეორე სპეციალური კორესპონდენტი,თბილისიდან საკმაოდ ვართე სტატიას წერს საქართველოს შესახებ - სათაურით: 'საქართველო: მთების რწმენა' -'რელიგია ყოველთვის იყო ნაციონალიზმის ქვაკუთხედი კავკასიაში. არქიტექტორული საუნჯე, ძველი ეკლესიები ცოცხლდებიან!. ამ სტატიაში აღწერილია საქართველოს წარსული -"ოქროს საწმისი" "ოქროს ხანა" და"გეორგიევსკის ტრაქტატი!"..მაგრამ აქაც საერთოდ არ არის მოხსენებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს, რაც, ვიმეორებთ, ჩვენი ბრალია, რადგან უცხოელ კორესპონდენტებს საქართველოში, როგორც ჩანს, არ ვაწვდით უტყუარ ცნობებს საქართველოს შესახებ.

- . - . - . - . -

## ქართული სამართლის კოდიფიკაცია

1.

აღდგენილ იქნა რა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა 1991 წლის 9 აპრილს 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, გასაგებია, წამოიჭრა საკითხი საქართველოს კონსტიტუციის, ე.ი. ძირითადი კანონისა და, საერთოდ, ქართული სამართლის კოდიფიკაციისა, რომლის გზაზე პირველი ნაბიჯი გადაიდგა მაშინ, როცა ძალაში შეყვანილ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ და დამტკიცებულ იქნა, საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ, 1921 წლის 21 თებერვალს და რომელიც ძალაში იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დროს 1918-21 წლებში; უფრო ზუსტად: საქართველოს კონსტიტუცია იყო სარკე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი სისტემისა 1918-1921 წლებში, რომლის მოქმედება შეწყვიტა უცხო ძალამ, როცა 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში გაბატონდა ბოლშევიკური რეჟიმი, და ამით ძალით შეწყვეტილ იქნა არა მარტო საქართველოს კონსტიტუციის, არამედ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა, კონსტიტუციიდან გამომდინარე, კანონის მოქმედება; და საქართველოში ასე გაბატონდა ბოლშევიკური კანონმდებლობა და კანონები.

2.

და ნორმალურია, რომ 1991 წლის 9 აპრილიდან ჩვენი მეცნიერები, პოლიტიკოსები და იურისტები შეუდგენ ქართული სამართლის კოდიფიკაციას, კოდიფიცირებას, ე.ი. სამართლის ცალკეული დარგების კანონების სისტემაში მოყვანას; ერთ კოდექსში, ერთ კრებულში გაერთიანებას და ამით გარკვეულ სისტემაში მოყვანას; პირველ ყოვლისა, სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის კოდექსის კოდიფიცირებას, რაც მეტად რთული და მრავალფეროვანი პრობლემაა განსაკუთრებით იმიტომაც, რომ საქართველოში, 1921 წლიდან 1991 წლამდე, ე.ი. თითქმის სამი-მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა ე.წ-ლი 'კლასობრივი' კანონთა კრებულები-კოდექსები, რომელთა დემოკრატიულ საფუძვლებზე გადაყვანა თითქმის შეუძლებელია.

3.

ამდენად გასახარია, რომ ჩვენმა იურისტებმა და ხელმძღვანელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა საქართველოში მიიწვიეს დასავლეთ ევროპელი იურისტები, რომლებიც ქართველ იურისტებთან ერთად წარმატებით მუშაობენ ქართული სამართლის კოდიფიცირებაზე, რასაც უკვე, როგორც გერმანიის დიდი გაზეთი 'ზიუდდოიჩე-ცაიგუნგი'(23 მარტი, 1995 წ.) იტყობინება, დადებითი შედეგები მოყვა, არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებშიც თვით რუსეთის ფედერაციის ჩათვლით.

4.

,საქართველოში – წერს გაზეთი, – გერმანელი იურისტები მუშაობენ. უზბეკეთში, რუსეთში, ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაშიც მუშაობენ გერმანელი იურისტები. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების 'უოლ-სტრიტ-ჯორნალი' ეკითხება გერმანელ სამართლის მეცნიერს როლფ კნიპერს, რომელიც საქართველოში მუშაობს, ის ხომ არ არის ტროადული ცხენი გერმანული სამართლისა. აქ უკვე ფრიალობს სამართლის იმპერიალიზმის ბრალდების ალამი ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორისა და ამით გერმანელი იურისტების მიმართ.'

5.

მართლაც, ორი უწყება – 'ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება' და 'საერთაშორისო თანამშრომლობის უწყება სამართალში', რომლებსაც აფინანსებს გერმანიის მთავრობა, – უკვე წლების განმავლობაში აგზავნიან სპეციალისტებს იმისათვის, რომ დაეხმარონ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს კანონმდებლობის სფეროში. ამ უწყებებმა მოაწყვეს გაცვლა-გამოცვლა და სხვა შეხვედრები აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იურისტებთან, რაც წარმატებით მიმდინარეობს.

6.

რა მიზანს ემსახურება ყველა ეს ღონისძიება?.. ვითომ აქ ადგილი აქვს სამართლის იმპერიალიზმის ერთერთ ფორმას, როგორც ამა ამერიკელები ფიქრობენ?.. ან უპირატესობის მიღწევას დევიზით: ვინც კანონებს ქმნის, კანონებში ერკვევა, გააჩნია კონკურენციაში უპირატესობა?.. მართლაც ცდილობენ გერმანელები, ყოველი ძალღონით, მათი ზეგავლენის სფერო აღმოსავლეთში გააძლიერონ, როცა ისინი კანონების შექმნაში ეხმარებიან აღმოსავლეთის იურისტებს?.. – უნდა ითქვას,

რომ რიგი კანონებისა აღმოსავლეთის ქვეყნებში გერმანელების დახმარებით შეიქმნა. საქართველოში, მაგალითად, ვექსილისა და ჩეკების კანონები, აგრეთვე სამოქალაქო სამართლის ნაწილები შეიქმნა გერმანელი იურისტების დახმარებით. მაგრამ რატომ არ იყვნენ აქ, ამ პროცესში ინგლისელი თუ ამერიკელი იურისტები?.. ამაში მთავარ როლს თამაშობს, როგ კნიპერის აზრით, ევროპის კონტინენტალური ტრადიცია აღმოსავლეთ ევროპის კანონმდებლობაშიც. 1924 წელს, მაგალითად, მაშინდელმა საბჭოთა კავშირმა – ნებსით თუ უნებლიეთ – მიიღო და დაამტკიცა სამოქალაქო სამართლის კოდექსი, რომელშიც ჩაქსოვილი იყო 'კაპიტალისტური' გერმანიის 'სამოქალაქო სამართლის კოდექსის' არსებითი იდეები. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ აღმოსავლეთ ევროპის იურისტებმა მრჩევლებად გერმანელი იურისტები მიიწვიეს.

7.

თომას ბრენდელი, რომელიცაა მ ი უ ნ ხ ე ნ შ ი აღმოსავლეთის სამართლის ინსტიტუტის რეფერენტი, – მიუთითებს, რომ ამაში ბრალი მიუძღვის ამერიკელ იურისტებს იმიტომ, რომ ისინი მივიდნენ აღმოსავლეთ ევროპის იურისტებთან არა როგორც მრჩევლები, არამედ მიიტანეს უკვე გამზადებული კანონები, და შესთავაზეს აგრეთვე დოლარები, ფინანსიური დახმარება. ამან კი გააღიზიანა აღმოსავლეთ ევროპის ახლად-წრამოშობილი სუვერენული სახელმწიფოების იურისტები, რომლებიც სახელმწიფოს ყოველ სექტორში იბრძვიან დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. გერმანულმა უწყებებმა კი, დასაწყისიდან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იურისტების ამგვარ მგრძნობიარობას, და ყოველთვის ანგარიში გაუწია მას.

8.

მაგრამ ეს გაგებული არ უნდა იქნას ისე, თითქოს აღმოსავლეთ ევროპის სამართლის კოდიფიკაციის პროცესში მხოლოდ გერმანელი მრჩევლებია ჩაბმული. სამოქალაქო სამართლის კოდექსი, მაგალითად, რომელიც რუსეთმა ახლახან მიიღო, შეიქმნა ჰოლანდიელი იურისტების თანამშრომლობით. ევროპის კავშირმა და ევროპის ცალკეულმა ქვეყნებმა, მაგალითად, იტალიამ და საფრანგეთმა შეიტანეს თავიანთი წვილი ამ სამოქალაქო სამართლის კანონის შექმნაში. მაგრამ,აღნიშნული ტრადიციის შედეგად, გერმანელი მრჩევლები უფრო ბევრია, ალბათ, გერმანელების მისწრაფების გამო 'პერფექციონიზმის'='სიზუსტისაკენ'.

9.

გერმანიის საკონენმდებლო ორგანომ, მართალია, ვერ შესძლო,ათეული წლების განმავლობაში, გერმანული 'ვალის სამართლის' რეფორმა, მაგრამ,როცა კანონები იქმნება ამ სფეროში, იგი ზუსტადაა განსაზღვრული. რაც შეეხება ინგლის-ამერიკის იურისტების ზეგავლენას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამართლის კოდიფიკაციაში, იგი ძლიერი იყო ე.წ-ლი'პერესტროიკას'='გარდაქმნის' დროს. მაგრამ როცა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იურისტები ჩაუფიქრდენ 'სამართლის პოზიტივიზმის' ტრადიციებს, ინგლის-ამერიკის ზეგავლენა შესუსტდა.

10.

ეს პროცესი, როგ კნიპერის აზრით, სრულიად სამართლიანია. მართალია, ინგლის-ამერიკის სამართალი არსებით პუნქტებში ესადაგება კონტინენტალ-ევროპულ სამართალს, მაგრამ როგორც Case Low, ე.ი.'ფაქტის სამართალი' ეყრდნობა 'პრეცედენტის შემთხვევებს'='წინანდელ შემთხვევებს', ფაქტებს,რაც კოდექსებში თითქმის არ არის ფიქსირებული. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს იმას, რომ მოსამართლეები და ვექილები უნდა იყვნენ მეტად განსწავლული განსაკუთრებით 'წინანდელ შემთხვევებში', რომ გამოტანილ იქნას სამართლიანი განაჩენი. კონტინენტალური ევროპის ქვეყნები კი, აღნიშნული ტრადიციის შესაბამისად, ეყრდნობა არა 'ადრინდელი ფაქტების' არაფიქსირებულ სამართალს, არამედ ფიქსირებულ კოდექსებს, რაც განაპირობებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იურისტებისა და მათი მრჩევლების მოღვაწეობას სამართლის კოდიფიცირებისას ამჯერად.

11.

მაგრამ გერმანელი მრჩევლების ზეგავლენა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სამართლის კოდიფიკაციის პროცესში არ უნდა იქნა გაზვიადებულად შეფასებული. გერმანელი იურისტები სრულიადაც არ ცდილობენ აღმოსავლეთის ქვეყნების იურისტებს თავს მოახვიონ გერმანული კანონები. საქართველოში, მაგალითად, სრულიად განსხვავებით გერმანიისაგან, 'სავაჭრო სამართალი' ჩაქსოვილ იქნა 'სამოქალაქო სამართალში' და ამით გერმანული რთული 'აბსტრაქციის პრინციპი' უგულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პელყოფილ იქნა. ამასთან დაკავშირებით ერთი გერმანელი იურისტი-მრჩეველი შენიშნავს: '<u>ყველაზე უკეთესი, რაც ჩვენს კანონებს მოუვიდოდა იქნებოდა ის, რომ ჯერ მოვახდინოთ მათი ექსპორტი აღმოსავლეთში, გარდავქმნათ იქ, და შემდეგ ისევ შემოვიტანოთ გერმანიაში</u>'.

12.

ამგვარად, გერმანული სამართლის იმპერიალიზმზე ლაპარაკი სრულიად უადგილოა. გერმანელი იურისტები, მართალია, ფანატიკური მრჩევლებია, მაგრამ ისინი განსაზღვრული პატივისცემით სარგებლობენ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საქმის მცოდნეობით და სამართლის ტრადიციით, რომლებიც საერთო ევროპული საგანძურია და, უმთავრესად, რომლის სამართლის საფუძვლებიდან გამომდინარეობს. განსაზღვრულ როლს თამაშობს ყველა აღნიშნულ პროცესში, ალბათ, ისიც, რომ გერმანელმა იურისტებმა, გერმანიის გაერთიანების პროცესში, დიდი გამოცდილება შეიძინეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იურისტებთან თანამშრომლობისას, სამართლისა და, საერთოდ, მართლმსაჯულების ორგანოების გარდაქმნისას, და ეს გამოცდილება, უთუოდ, მეტად სასარგებლოა გერმანელი და აღმოსავლეთ ევროპიული იურისტების ერთობლივ მუშაობაში სამართლის კოდიფიცირების პროცესში.

13.

რაც შეეხება საქართველოს, აქ, ჩვენის აზრით, ქართველ იურისტებსა და კანონმდებლობის ორგანოებს განსაკუთრებული სიფრთხილე ესაჭიროება, რადგან ჩვენში უფრო '<u>ყველაფრის გარდაქმნის</u>' სულისკვეთება ბატონობს, ვიდრე ფრთხილი, სათუთი დამოკიდებულება საქართველოს უახლეს წარსულისადმი. 'ახალი' საქართველოს კონსტიტუციის გამომუშავება, 'ახალი გერბის' შექმნა, 'ახალი' სახელმწიფოს სხვა სიმბოლოების შექმნა, ჩვენის აზრით, უადგილოა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია უკვე ორასი წლისაა ძალაშია, რომლის შესაბამისი დებულების შეცვლა, შესაბამისი ცვალებადობის დროს ხდება, რასაც განსაზღვრავს თვით საზოგადოებრივი ცხოვრება. კონსტიტუცია კი, როგორც ძირითადი კანონი, ძალაში რჩება, რაც არა მარტო დიდი ტრადიციის შექმნას უწყობს ხელს, არამედ ყოველ მოქალაქეს უნერგავს თავში, რომ კანონის ცვალებადობა 'ნამიერ გრძნობებს' კი არა, სახელმწიფოს, ქვეყნის, ხალხის, ერის გარდაუვალ ინტერესებს ეყრდნობა.

14.

ამდენად, ყოველი სახისა და ფორმის ტრადიციის 'შეცვლა-შეცვლისათვის' უადგილოა, დაუშვებელია, და ასეთი მთაჩეჭდილება გვექმნება ჩვენ, თუ გნებავთ, საქართველოს სახელმწიფო გერბის შეცვლის გამო.
მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თანამშრომლობა დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების არა მარტო იურისტებთან, ხელს შეუწყობს ჩვენი სამშობლოს - საქართველოს - სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამოჯანსაღებას ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ სფეროებში, რის არსებითი საფუძველია, რომ საქართველოში, ხალხში, ყოველ ადამიანში ისევ გაბატონდეს <u>კანონის უზენაესობა</u>; მხოლოდ მაშინ აქვს არსებითი მნიშვნელობა სამართლის კოდიფიკაციასაც.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1995 წლის 21 აპრილი

## <u>3 მაისი - პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღე</u>

1.

'უნესკო' - 'გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია', რომლის მთავარი სადგომია პარიზში და რომლის სრულუფლებიანი წევრია საქართველოს რესპუბლიკაც, - ყოველი წლის 3 მაისს აღნიშნავს პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს. ამდენად, პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს ავღნიშნავთ ჩვენც, ქართველობა, საქართველო.

2.

და პრესის თავისუფლების ამ საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, უთუოდ, უნდა მოვიგონოთ, რომ საქართველოში პრესა, დაწყებული 1801 წლიდან, არა თუ თავისუფალი, არც კი არსებობდა ხოლმე ათეული წლების განმავლობაში საქართველოში მეფის რუსეთის ბატონობის შედეგად. ამ გასული თითქმის ორასი წლის განმავლობაში, პრესა ნამდვილად თავისუფალი იყო 1918-1921 წლებში, საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველის დამოუკიდებლობის 'პატარა ოქროს ხანაში', რაც განახლებულ იქნა მაშინ, როცა 1991 წლის 9 აპრილს ისევ აღდგენილ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა, თუმცა, ზოგიერთების ცნობით, დღესაც საქართველოში არ არსებობს პრესის ნამდვილი თავისუფლება.

3.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციისა და აზრის გამოთქმის თავისუფლება არა მარტო ტოტალიტარულ სახელმწიფოებშია უგულებელყოფილი, როგორც ამას გერმანიის ჟურნალისტების გაერთიანება აღნიშნავს პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. დემოკრატიულ ქვეყნებში, კრიმინალური ბანდები ტერორით ემუქრებიან ჟურნალისტებს მათთვის არასასურველი ინფორმაცია არ იქნეს გავრცელებული. გასულ წელში, როგორც გერმანიის განყოფილებამ ახალი ორგანიზაციისა -'რეპორტიორები საზღვრებს გარეშე' -, მისი სპიკერის - მიხეილ რედისკეს - სიტყვით, - მსოფლიოში,1994 წელს,მოკლულ იქნა სულ ცოტა 103 ჟურნალისტი. 130 ჟურნალისტი იმყოფებიან ციხეებში, მათგან 20 მხოლოდ თურქეთში. რუანდაში მოკლულ იქნა გასულ წელს 48 ჟურნალისტი, თითქმის ნახევარი რუანდის ჟურნალისტთა საერთო რიცხვიდან.

4.

გერმანიის მასობრივი ინფორმაციის მედიუმების ჟურნალიზმის განყოფილების სპიკერმა - კარსტენ ზაიბოლდმა - განაცხადა, რომ ვინც პრესის თავისუფლებას ავიწროებს, ანგრევს დემოკრატიის საფუძვლებს.

5.

ამიტომ განსაზღვრას ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლი:'ყოველ ადამიანს აქვს უფლება შეხედულებათა თავისუფლებისა და მათი თავისუფლად გამოხატვისა'; საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-32 მუხლი კი, თითქმის ერთი-მესამედი საუკუნის წინათ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის გაეროს მიერ მიღებამდე, განსაზღვრავდა:'ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოთქვას და გაავრცელოს მთავრობის წინასწარ ნებადაურთველად. ყოველი დანაშაულისათვის, რომელსაც იგი ასეთ შემთხვევაში ჩაიდენს, პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე'.

6.

და ავღნიშნავთ რა დღეს, 3 მაისს, პრესის თავისუფლების საერთაშორისო დღეს, გვჯერა, რომ აწ უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველოს რესპუბლიკა უზრუნველყოფს პრესის და,საერთოდ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების - რადიოს, ტელეხედვის თუ კინოფილმის თავისუფლებას, რაც ყოველი დემოკრატიული სახელმწიფოს ხელისუფლების 'მეოთხე სვეტად' და ამით დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს ბაზად ითვლება.

კარლო ინასარიძე
პარიზი, 1995 წლის მაისი

"საქართველოს ტურფა მხარე"

"მშობლიური აფხაზეთი,
მისი მიწა, მთები თეთრი,
მზიანია და ლამაზი,
და ნაზია ოქროს თასი.

პე, საჩქაროთ უნდა ნახო
აფხაზეთის სამოსახლო.
სულ პატარა კუთხე წყნარი,
საქართველოს ტურფა მხარის."

პოეტი დიმიტრი გულია

# ეკონომიკური ყოფა-ცხოვრება

## დედამიწის 'სათბურის ეფექტი'

## ეკოლოგიური სახალხო მეურნეობა

1995 წლის მარტში, ბერლინში ჩატარდა მსოფლიო კლიმატიური პირობების დაცვის კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს ხამი-ათასამდე პოლიტიკოსმა და მეცნიერმა.

მთავარი თემა, რომელიც განიხილა ამ კონფერენციამ, იყო "სათბურის ეფექტი" ჩვენს დედამიწაზე, რომლის შედეგად დედამიწის ოკეანეები თბება; ღზვის დონე მატულობს ყოველწლიურად სამიდან-ათ მილიმეტრამდე.

2.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მოსახლეობის 70 პროცენტი ცხოვრობს ზღვის სანაპიროებზე, და ამიტომ უშუალო საშიშროების ქვეშ იმყოფება ზღვების სანაპიროებთან განლაგებული სასოფლო-სამეურნეო ფართობები და ისეთი დიდი ქალაქები, როგორიცაა ალექსანდრია, შანხაი თუ ლონდონი, რომლებიც შეიძლება დაიფაროს წყლით. შესაძლებელია, რომ რამდენიმე ათეულ წლებში ზღვამ დაფაროს მრავალი კუნძული.

3.

კლიმატიური პირობების შეცვლას - მეორე მხრივ - შეიძლება მოყვეს თანდათანობით მზარდი გვალვები, რაც საშიშროების ქვეშ აყენებს ადამიანების მომარაგებას სურსათ-სანოვაგით. ხორბლეულის მოსავლიანობის დაცემის შედეგად, განსაკუთრებით შიმშილობა მოელის მოსახლეობას აფრიკაში, ტროპიკულ ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთი-აზიის მრავალ ადგილებში თუ ინდოეთში. უკვე დღეს შიმშილობს მთელს მსოფლიოში ყოველი მეხუთე ადამიანი.

4.

"სათბურის ეფექტი" იწვევს ამინდის ექსტრემისტულ ცვალებადობას: სრულიად შესაძლებელია, რომ მზით განებივრებული "კოტ-დ'აზური" თოვლში ჩაიფლოს, როგორც ეს მოხდა 1991 წელს. ზოგიერთი მეცნიერები შიშობენ, რომ გოლფშტრომმა შეიძლება მიმართულება შეიცვალოს თუ ზღვა გათბა, რის შედეგად სრულიად შეიცვლება ევროპის კლიმატიური პირობები, რაც გამოიწვევდა ჩრდილოეთ რეგიონებში უფრო მეტ სიცივეს, თუმცა გლობალურად ტემპერატურა აიწევდა.

5.

მსოფლიო კლიმატიურ პირობებს ემუქრება აგრეთვე უბედური შემთხვევებიც: 1986 წლის 26 აპრილს, მაგალითად, აფეთქდა ჩერნობილის ატომური ელსადგურის მე-4 ბლოკი, რამაც გამოიწვია საშინელი კატასტროფა: 130-ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, რაც ეფარდება საბერძნეთის მთელ სახელმწიფო ტერიტორიას, - მოწამლულ იქნა რადიოაქტიური სხივებით, რითაც მოიწამლა მთელი ფლორა და ფაუნა, რა თქმა უნდა, ათასობით ადამიანების ჩათვლით.

6.

მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა კი ყოველდღიურად იზრდება 250-ათასი ადამიანით. პესიმისტების აზრით, მომავალ საუკუნეში მსოფლიო მოსახლეობა გაიზრდება 17-მილიარდ-ადამიანებამდე, რის შედეგად ბინების, სურსათ-სანოვაგის, სასმელი წყლისა და ნედლი მასალების პრობლემები გამწვავდება. მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონებში მკაცრად გაიზრდება მოსახლეობის სიმჭიდროვე. ჰონკონგის ზოგიერთ უბანში,მაგალითად, დღესაც ცხოვრობს ერთ კვადრატულ კილომეტრზე 95.000-ხი ადამიანი. დღეს მსოფლიოში ცხოვრობს 5,7 მილიარდი ადამიანი.

7.

ჩვენი პლანეტა თბება, რაც გვალვის პერიოდებში ახმობს ტყეებს. შვეიცარიელი ეკოლოგისტ-მეცნიერების გამოკვლევით, მომავალში გაიზრდება ხანძრების საშიშროება განსაკუთრებით ტყეებში. გასული ათი წლის განმავლობაში ცეცხლმა ჩაყლაპა მილიონობით ჰექტარი ტყეები მთელს მსოფლიოში, მაგალითად, კალიფორნიაში 1992 და 1993 წლებში თუ ციმბირში 1992 წლის ზაფხულში, რომლის დროს დაიწვა 800.000-ს ჰექტარზე მეტი ტყე. 1992 წლის აგვისტოში "ჰურიკანმა"("ქარიშხალმა") აშშ-ი 250-ათასი ადამიანის სახლკარი დაანგრია, გახადა უსახლკარო, რომლის დროს 23 ადამიანი დაიღუპა. 1993 წლის მარტში და 1994 წლის თებერვალში, ისევ აშშ-ში ადგილი ჰქონდა ქარიშხალს, რაც, აქამდე, საუკუნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ერთხელ თუ ხდებოდა. არაჩვეულებრივმა "ციკლონებმა" კი კააპარტახა კარიბისა და წყნარი ოკეანეს რეგიონები. ყველა ამ უბედურებათა მიზეზათ ეკონოგი-მეცნიერები თვლიან დედამიწის ტემპერატურის აწევას.

8.

დიდი ქალაქები და ინდუსტრიული რეგიონები ჩაფლულია ფაბრიკა-ქარხნებისა და ავტომობილების მიერ მოწამლულ ჰაერში. საერთაშორისო ორგანიზაციის "გრინპისის" ცნობით, დღეს მსოფლიოშია დაახლოებით 700-მილიონი ავტომობილი; 2100 წელში კი იქნება თითქმის ხუთი მილიარდი ვატომობილი. ყველაზე უფრო მოწამლულია ჰაერი დღეს მექსიკო-სითში, სადაც ყოველწლიურად ასი-ათასი ადამიანი კვდება "სმოგის", ე.ი.ჰაერის მოწავლის შედეგად.

9.

ერთი მაგალითი: მსოფლიოში რომ ყოველმა ადამიანმა ისე იცხოვროს, როგორც ყოველი ადამიანი ცხოვრობს დღეს გერმანიაში(მთელი მოსახლეობა 81 მილიონი სული), მაშინ საჭირო იქნებოდა კიდევ ორი დედამიწა, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მსოფლიოს მოსახლეობის ყოველი ადამიანის მოთხოვნილება წელლი მასალით თუ მზა პროდუქტებით.

10.

აი, ამიტომაა უდიდესი მნიშვნელობის საერთაშორისო თანამშრომლობა "ეკოლოგიური საბაზრო მეურნეობის" დამკვიდრების სფეროში, რაზედაც მსჯელობდა საერთაშორისო ეკონოვიური კონფერენცია ბერლინში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 166 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა. მრავალ სტატისტიკური ცნობიდან, რომელიც ამ კონფერენციის მსვლელობისას გამოქვეყნდა, აი, რამდენიმე მონაცემები:
გერმანია,მაგალითად, ყოველ 1000-ს ადამიანზე ხარჯავს 158-ტ ერთეულ ენეგიას; განვითარებადი ქვეყნები კი მხოლოდ 22 ერთეულ ენერგიას. გერმანიაში ყოველ ათას სულზე მოდის 443 ავტომობილი; განვითარებად ქვეყნებში კი მხოლოდ 6-სი ავტომობილი. გერმანიამ, 1994 წელს, ყოველ ათას სულ მოსახლეზე ჰაერში გაუშვა 13.700 ტონა $CO_2$ "სათბურის გაზი"; განვითარებით ქვეყნებმა კი მხოლოდ 1300-სი ტონა $CO_2$ გაზი. გერმანიამ 1994 წელს, "ოზონის გარსის" გამანადგურებელი გაზი, ყოველ ათას მოსახლეზე, გაუშვა 450-ი კილოგრამი; განვითარებითმა ქვეყნებმა კი მხოლოდ 16 კილოგრამი. გერმანიამ ყოველ ათას მოსახლეზე, 1994 წელს, დახარჯა 655 ტონა ფოლადი; განვითარებით ქვეყნებმა კი მხოლოდ 5-ი ტონა; და ა.შ.. ესე-იგი, გლობალური"სათბურის ეფექტების" შემქმნელებია ინდუსტრიული ქვეყნები, ისევე როგორც "ოზონიის გარსის" დამანგრევლებიც, რაც - თავის მხრივ - ხელს უწყობს ტემპერატურის გლობალურ ზრდას და ამით გაუთვალისწინებელი კატასტროფების წარმოშობას.

11.

კიდევ ერთი მაგალითი, ხხვა მრავალთა შორის: ერთადერთი ვაშლის ტრანსპორტი ახალი ზელანდიიდან გერმანიაში, იწვევს ერთი ლიტრა ბენზინის ხარჯს და ჰაერში უშვებს 2,5 კილოგრამ "ნახშირ-დიოქსიდს" და წამლავს ატმოსფეროს. ერთადერთი პამიდორის პროდუქცია და ტრანსპორტი ხარჯავს ხუთ კილოვატ ელექტროენერგიას, რომლითაც შესაძლებელია ერთი ნათურას განათება 250 საათის განმავლობაში; და ვინ ჩამოთვლის ენერგიის ყველა გაფლანგვასა და გარემოს მოწამვლის ფაქტებს.

12.

ამდენად, როგორც პროფესორი ერნსტ-ულრის ფონ ვაიცზეკერი ამბობს, - კაცობრიობა დგას გზაჯვარედინთან: ან უნდა დავადგეთ "ეკოლოგიური საბაზრო მეურნეობის" გზას, ანდა განვაგრძოთ ეკონომიკის წარმართვალს ისე, როგორც დღემდე, რაც განრდაუვალ კატასტროფამდე მიგვიყვანს. გასაგებია, ბერლინის საერთაშორისო ეკოლოგიურ კონფერენციამაც გამოამჟღავნა, რომ დედამიწის ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მომხრეთა რიცხვი თანდათანობით იზრდება, რომლის გასაღები, ინდუსტრიული ქვეყნების ხელშია, რადგან სწორედ ეს ქვეყნებია მსოფლიო გარემოს გაჭუჭყიანების მთავარი ფაქტორები, თუმცა ყოველ ადამიანს, ყოველ განვითარებად ქვეყანასაც შეუძლია შეიტანოს თავისი წვლილი მსოფლიო ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება-გაუმჯობესების საქმეში.

კ.ი.,პარიზი, 1995 წლის აპრილი

"უკეთესია ადამიანს თევზაობა ასწავლო,
ვიდრე ყოველდღიურად ერთი თევზი აჩუქო".
ხალხური სიბრძნე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მ ს ო ფ ლ ი ო ს

### ოცი მოსახლეობით 'მდიდარი' ქვეყანა

მსოფლიოს მთელი მოსახლეობა 1994 წელს უდრიდა ხუთ-მილიარდ-შვიდას-მილიონ სულს, რომელთაგან მოსახლეობით ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ქვეყანაა ჩინეთი, რომლის მოსახლეობა 1994 წელს უდრიდა ერთ-მილიან-188 მილიონ სულს; მეორე ადგილზეა ინდოეთი, რომლის მოსახლეობა 1994 წელს უდრიდან 919-მილიონ სულს. ამ ორი აზიური უშველებელი სახელმწიფოს მოსახლეობა შეადგენს მსოფლიო მოსახლეობის 37 პროცენტს, ე.ი.ერთ-მესამედზე უფრო მეტს. მსოფლიოს ოცი ხელსმრავალი სახელმწიფოს სია ასე გამოიყურება:

1.ჩინეთი..................................1.188 მილიონი სული;
2.ინდოეთი....................................919 მილიონი სული;
3.ამერიკის შეერთებული შტატები...............261 მილიონი სული;
4.ინდონეზია..................................195 მილიონი სული;
5.ბრაზილია...................................159 მილიონი სული;
6.რუსეთი.....................................147 მილიონი სული;
7.პაკისტანი..................................137 მილიონი სული;
8.იაპონია....................................125 მილიონი სული;
9.ბანგლადეში.................................118 მილიონი სული;
10.ნიგერია...................................108 მილიონი სული;
11.მექსიკა.....................................92 მილიონი სული;
12.გერმანია....................................81 მილიონი სული;
13.ვიეტნამი....................................73 მილიონი სული;
14.ფილიპინები..................................66 მილიონი სული;
15.ირანი.......................................66 მილიონი სული;
16.ეგვიპტე.....................................62 მილიონი სული;
17.თურქეთი.....................................61 მილიონი სული;
18.დიდი ბრიტანეთი..............................58 მილიონი სული;
19.ტაილანდი....................................58 მილიონი სული;
20.საფრანგეთი..................................58 მილიონი სული.

ზღ-3.4.1995 წ.

### მსოფლიოს ოცი დიდი ექსპორტიორი სახელმწიფო

მსოფლიოს ყველაზე უფრო დიდი ექსპორტიორი ქვეყანა მსოფლიოში იყო 1994 წელშიც ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია და იაპონია. აი, მსოფლიოს ყველაზე უფრო დიდი ექსპორტიორთა ოცი სახელმწიფო სია:

1.ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტი 1994 წელს უდრიდა -
-513 მილიარდ.. დოლარს;
2.გერმანია..................................422 მილიარდი დოლარი;
3.იაპონია...................................397 მილიარდი დოლარი;
4.საფრანგეთი................................236 მილიარდი დოლარი;
5.დიდი ბრიტანეთი............................205 მილიარდი დოლარი;
6.იტალია....................................189 მილიარდი დოლარი;
7.კანადა....................................166 მილიარდი დოლარი;
8.ჰონკონგი..................................153 მილიარდი დოლარი;
9.ჰოლანდია..................................149 მილიარდი დოლარი;
10.ბელგია-ლუქსენბურგი.......................131 მილიარდი დოლარი;
11.ჩინეთი....................................121 მილიარდი დოლარი;
12.სინგაპური..................................96 მილიარდი დოლარი;
13.სამხრეთი კორეა.............................96 მილიარდი დოლარი;
14.ტაივანი....................................93 მილიარდი დოლარი;
15.ესპანეთი...................................73 მილიარდი დოლარი;
16.შვეიცარია..................................70 მილიარდი დოლარი;
17.მექსიკა....................................61 მილიარდი დოლარი;
18.შვეცია.....................................60 მილიარდი დოლარი;
19.მალაიზია...................................59 მილიარდი დოლარი;
20.რუსეთი.....................................48 მილიარდი დოლარი.

ზღ-27.4.1995 წ.

[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

1922 [illegible]

---

[illegible]
[illegible]
[illegible]
[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]
[illegible] 1988
[illegible] 18 [illegible]

P.S. [illegible]

[illegible]

## 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის 6 წლისთავი

### 1989 წლის 9 აპრილის დაღუპულ ქართველებს

ღამე ვათიე მე თქვენებთან მოძღვრიდ სამარეებთან,
ამოვიკვნესე გული მწუხარე, სული ვაწამე,
ოღონდაც მიაქვს სამარისი მე თქვენთვის სიტყვა,
თუმც ჩემის ვიცი მაშინ მქონდა, რაიც რომ ითქვა?

თქვენ გაზაფხულის დაგიმზადეს ქართველის შვილთა,
თუმცა არ იყო არც მიზეზი, არც შარ-ავარი,
საკუთარ მიწაზე, თქვენი ქვეყნის შიგნით გაგწირეს,
ეჰ, სირცხვილი! წყევლა, კრულვა იმათ ავანს!

გმირულად მოკვდით სამშობლოს, გმირთაგან ერი თქვენი მშობელი,
ძალით მოსულთ ქართველის დღეს, ყოფნის მწუხარე,
ყველაზე შეძლებია თქვენი ერი დღესდღეობით,
ითხოვს სიმართლეს, არა ეგოისტურ მძლავრი, მქონე.

სისხლიანი აქვთ ამ ჯალათებს სინდისიც, ხელიც,
საიმისოს შესწირეს თქვენი სული და მთელი ერიც,
მაგრამ სად უნდა დაიმალონ ეს ფიქრები?
კუთვნილს მიუზღავს ისტორიის მართალი ხელი.

ქართველო ერო! ახლა გვმართებს ფიქრის მოხმობა,
მხოლოდ სიბრძნით და გონიერ ჭკვით მტერთაგან,
შევინარჩუნოთ ჩვენი ერი, მისი არსება
დაღვრილი სისხლი ჩვენთა შვილთა ამას გვავალებს.

ნიკო იგნატოვი

12. IV. 1989 წ.

---

## მხატვარ ნიკოლოზ იგნატოვის გამოფენების წარმატება გერმანია-საფრანგეთში

ჩვენმა თანამემამულემ ნიკოლოზ იგნატოვმა, ნაწილი მისი შემოქმედებისა, გამოფინა ვერნისაჟზე გერმანიასა და საფრანგეთში, რასაც დიდი წარმატება ხვდა წილად. გერმანიაში, ქალაქ ფატერშტეტენში, გამოფენა ჩატარდა 1995 წლის 15 მარტს, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო და დადებითად გამოეხმაურა ისეთი დიდი გერმანული გაზეთი, როგორიცაა 'ზიუდდოიჩე-ცაიტუნგი'; საფრანგეთში კი ნიკოლოზ იგნატოვის გამოფენა ჩატარდა 5 მაისიდან - 20 მაისამდე, პარიზში, რომელსაც აგრეთვე დიდი წარმატება ჰქონდა. აქვე ვაქვეყნებთ ქალბატონ თამარ ჩოფიკაშვილი-ვესტის სიტყვის სრულ ტექსტს, რომელიც მან წარმოთქვა გამოფენის გახსნაზე ქალაქ ფატერშტეტენში. აი, ამ სიტყვის სრული ტექსტი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Rede Tamriko WEST zur Eröffnung der Kunstausstellung Nikolai Ignatov's in Rathaus Vaterstetten, Mittwoch, d. 15. März 1995

Sehr geehrter Herr Bürgermeister,
Liebe Freunde und Gäste,

Es ist mir eine sehr grosse Ehre und eine besondere Freude Ihnen heute hier im Rathaus Vaterstetten einen von den international bekanntesten georgischen Künstlern, Nikolai Ignatov, Empfänger von vielen Staatspreisen, Verdienter Volkskünstler, Professor an der Kunst-Akademie in Georgien, vorzustellen.

Man könnte sehr viel über ihn sagen, und es wäre mir schwierig, Ihnen ein volles Bild von seiner schöpferischen Tätigkeit und der Rolle die er seinerzeits in seiner Heimat innehatte, darzustellen. Er gehört zur Pleiade der Künstler, die einen grossen Einfluss auf das künstlerische Leben des damaligen sowjetischen Georgien hatten.

Deswegen muss ich mich darauf beschränken, sein Leben und seine Tätigkeit in großen Zügen zu beschreiben.

Ignatov wurde in einer Familie geboren, die die besten Traditionen der georgischen Kultur bewahrt hat. Sein Grossvater war Militär und ist schon vor der Revolution 1917 nach Georgien übersiedelt - daher sein russicher Name.

Nikolai Ignatov absolvierte die Kunstakademie und seine drei Diplomarbeiten wurden in drei verschiedenen Richtungen ausgeführt. Es waren ein Bühnenbild für das gegenwärtige Theater, Skizzen als Illustration zu Arbeiten des Spanischen Dichters Garcia Lorca und nicht zuletzt Skizzen für grosse Fresken. Später har er bedeutende Arbeiten in allen drei Richtungen gemacht und ist dadurch berühmt geworden.

Schon vom Anfang an war es klar dass Iganatov ein multi-Talent mit grossen Möglichkeiten war. Und tatsächlich, die schöferische Spannweite des jungen Künstlers war beinahe unendlich.

Ignatov fängt an im Theater zu arbeiten - "ich liebe das Theater so sehr" sagt er. Er macht Bühnenbilder nicht nur für Aufführungen georgischer und russicher Verfasser, sondern auch zu Shakespeare, Moliere, u.s.w.

Alle Aufführungen waren sehr erfolgreich. In der heutigen Sprache würde man sie als "Kassen-füller" bezeichnen.

Er arbeitet auch erfolgreich mit Spielfilmen. Später fängt er an, Bücher für Kinder und Erwachsene, von georgischen und ausländischen Autoren, zu illustrieren. Auch hier ist er sehr erfolgreich.

Danach wendet er sich der Graphik zu. Seine Malereien werden von allen Seiten gelobt und seine Bilder verkaufen sich sehr gut.

Ignatov wird nach Leningrad und Moskau eingeladen, und bald geht er ins Ausland in Ländern wie Frankreich, Holland, die Czechoslovakei, Italien, Ungarn, Indien, Belgien und Amerika.

Und heute ist Ignatov hier bei uns in Vaterstetten!

Besondere Aufmerksamkeit geniessen die ganze Palette seiner monumentalen Fresken, die das Leben im wunderbaren Georgien darstellen.

Diese Fresken befinden ~~sind~~ sich auf grossen Wänden in den verschiedensten Ecken Georgiens.

Anschrift des Künstlers: 1 bis, rue Eugène Baudoin
F-92130 Issy les Moulineaux
Frankreich

Tel: 0033-1-46428156

Diese wunderschönen Arbeiten Ignatovs sind sehr beeindruckend. Die Schönheit der Farben und des Lichtes, die Darstellung der Schätze Georgiens vermittlen eine grosse Freude an allen die sie betrachten.

Diese Fresken haben verschiedene Schicksale - viele davon sind immer noch dort wo sie gemalt wurden, aber einige sind in den heutigen Durcheinander verlorengegangen. Zu diesen Fresken wird Ihnen Herr Ignatov später berichten.

Ich möchte nur auf ein Detail hinweisen. Auf einer dieser Fresken ist Georgien symbolisch als eine Kristallkugel dargestellt. Im Inneren der Kugel sind alle Schätze Georgiens vorhanden. Heutzutage ist ~~ist~~ diese Kugel leider heruntergefallen und alle Schätze der georgischen Natur sind als kleine Stücke in verschiedenen Richtungen in der ganzen Welt zerstreut. Einer von diesen Schätzen ist heute zu uns angelangt. Peter Dingler hat es verstanden seinen besonderen Wert zu schätzen und ihn für eine kurze Zeit ein schönes Zuhause in Vaterstetten zu geben. Dafür danke ich dir, Peter!

Ich hoffe dass eines Tages alle diese Schätze wieder zusammengebracht werden, und dass die Kristallkugel wieder entstehen wird!

Die heutige Ausstellung ist eine Bestätigung der Vielseitigkeit Nikolai Ignatovs. Hier sind Bilder ausgestellt, die sich von den früheren sehr unterscheiden. Ich habe Ignatov mal gefragt wie ich diese Arbeiten erklären könne. Er hat geantwortet: "Ich habe keine grosse Erklärungen zu diesen Bildern. Schau sie selber an und wenn du davon Freude hast, dann bin ich sehr zufrieden".

Und nicht desto weniger möchte ich sagen, daß diese Bilder mit viel Liebe gemalt sind.

Ich hoffe daß auch Sie von diesen Bildern, wie von einer schönen Melodie, viel Vergnügen haben werden.

Und Herrn Ignatov wünsche ich viel viel Erfolg.

Ich möchte an dieser Stelle noch ein Paar Worte über die Menschen sagen, die dafür gesorgt haben, daß diese Ausstellung verwirklicht werden konnte.

Zuerst möchte ich Peter Dingler, Bürgermeister von Vaterstetten, Freund unserer Familie und alter Freund Georgiens, erwähnen!

Ich verstehe, Peter, dass deine alte Liebe zu Georgien, hier eine Rolle gespielt hat!

Daß Peter siebenmal in Georgien war und das er dem Berg Kazbegi erklommen hat, spricht für sich selbst.

Ich fühle mich priviligiert von dir die Möglichkeit erhalten zu haben diese Ausstellung zu verwirklichen. Dafür danke ich dir sehr herzlich.

Ich möchte auch allen denen danken, die mit der Planung und Durchführung dieser Ausstellung verbunden waren. Insbesondere danke ich Herrn Stelzel, den Organisator, der so viel Zeit geopfert hat.

Und auch denen die die Einladungen und die Posters so schön gestaltet haben, sowie auch die, die viele Photokopien gemacht haben und beim Aufhängen geholfen haben. /Fischer/

Ich danke auch allen Anwesenden die so zahlreich erschienen sind.

Ich danke Ihnen für Ihre Aufmerksamkeit!

# ქართული ემიგრაციის ყოფა-ცხოვრება

## 26 მაისი პარიზში

1995 წლის 19 მაისს, პარიზში, მონკასანის დარბაზში, ჩატარდა ჩვენი ეროვნული დღესასწაულის 26 მაისის საზეიმო შეკრება, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო საქართველოს მეზობელი ერების წარმომადგენლების ჩათვლით. საზეიმო საღამო გახსნა ქართული სათვისტომოს თავჯდომარემ საფრანგეთში, ბატონმა ნოდარ ოდიშელიძემ, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საქართველო დღეს უკვე დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოა და უკვე გამოსულია საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი; არის გაეროს, უნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სრულუფლებიანი წევრი; გააჩნია საელჩოების მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოებში და მიმდინარეობს საქართველოში დემოკრატიული წესყობილების გასრულყოფილება და გამტკიცება, რაც დიდი მიღწევაა. საჭიროა მხოლოდ ეროვნული ერთობის მიღწევა, რაც ყველაზე უფრო საჭირბოროტო საკითხია და რომლის განხორციელებისათვის უნდა იღწვოდეს ყოველი ქართველი, საქართველოს ყოველი მოქალაქე, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს და მოღვაწეობდეს იგი. ბატონი ნოდარ ოდიშელიძე - მიესალმა რა 26 მაისის დღესასწაულზე მოწვეულ სტუმრებს, მთელი დარბაზი, ფეხზე ადგომით, მღეროდა ჩვენ ეროვნულ ჰიმნს 'დიდებას', რომელიც შეასრულა ქართულმა მომღერალთა გუნდმა საქართველოდან 'საქართველოს ხმებმა', რომელსაც შეუერთდა აგრეთვე ამ საზეიმო საღამოზე მოწვეული კორსიკული მომღერალთა გუნდი 'აფილეტა'.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ექიმი, ბატონი ოთარ ზურაბიშვილი, რომელმაც კრიტიკულად განიხილა საქართველოში დღეს არსებული მდგომარეობა, რომლის დროს აღნიშნა, რომ საქართველოში დღეს მრავალი ადამიანი დაპატიმრებულია იმის გამო, რომ ისინი არ ცნობენ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების კანონიერებას, და რომ საქართველოში დღეს ადამიანის უფლებები უგულებელყოფილია. მან მოუწოდა დამსწრეებს დაადგენ ჩვენი ემიგრაციის პირველი და მეორე თაობათა მამებისა და ბაბუების გზას და იბრძოლონ საქართველოს ნამდვილ დამოუკიდებლობისათვის. ამ ორი სიტყვით დამთავრდა 26 მაისის ზეიმის პირველი ნაწილი.

მეორე ნაწილში კი გაიმართა ქართული სუფრა, რომლის დროს ქართული მომღერალთა გუნდი 'საქართველოს ხმები', კორსიკური მომღერალთა გუნდი 'აფილეტა' და ამერიკელთა გუნდი, რომლებიც შესანიშნავად ასრულებენ ქართულ ხალხურ სიმღერებს, ერთად და ცალკცალკე ასრულებდნენ ქართულ თუ კორსიკულ ხალხურ სიმღერებს, რამაც დიდი სიამოვნება მოჰგვარა დამსწრეებს. ამგვარად, 26 მაისის, ჩვენი ეროვნული დღესასწაულის ზეიმი გაგრძელდა დილის სამ საათამდე, რამაც დიდი კმაყოფილება და აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრეებში.

პარიზი, 20.5.1995 წელი

## ერთობა მრავალფეროვანებაში - რაც არ უნდა დაჯდეს!..

საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს გამგეობა

გთხოვთ დაესწროთ,

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან
77 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო დღესასწაულს.

პროგრამა :

საზეიმო სიტყვით გამოსვლები
ქართული ("საქართველოს ხმები")
და კორსიკული (გუნდი "Afiletta") სიმღერები.

- სუფრა -

ეროვნული ბიბლიოთეკა

**Le Comité Directeur de l'Association Géorgienne en France vous prie de bien vouloir honorer de votre présence,**

**la COMMEMORATION du RETABLISSEMENT (en 1918) de l'INDEPENDANCE de la GEORGIE**

**le Vendredi 19 Mai 1995, à 19h30 précises,**

**à l'*Espace Moncassin***
**164, rue de Javel - 75015 Paris**
**Métro : Félix Faure - Parking**

***Allocutions***
***Soirée animée par des chants géorgiens ("Les Voix de Géorgie") et corses (choeur "Afiletta")***

**Participation aux frais**

**1918 - 1995**



დიდება ქართველ ერს

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს

26 მაისი 1995

პანაშვიდი პარიზის წმ.ნინოს ეკლესიაში

1995 წლის 26 მაისს, პარიზის წმ.ნინოს ეკლესიაში ჩატარდა 26 მაისის დიადი იდეების განხორციელებისათვის დაღუპულ მებრძოლთა პანაშვიდი.
წირვა ჩაატარა პარიზის წმ.ნინოს ეკლესიის მოძღვარმა, დეკანოზმა მამა არჩილმა, რომელსაც აცილებდა ეკლესიის მგალობელთა გუნდი.

პანაშვიდის მსვლელობისას, მამა არჩილმა ქადაგებაში აღნიშნა 26 მაისის დიადი იდეებისათვის მებრძოლთა დიდი დამსახურება საქართველოს, ქართველი ერის წინაშე და მოიყვანა აგრეთვე ამონაწერები დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციიდან, რომლებშიც გამოსჭვივის დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოებრივი კულტურა, რომელიც გააჩნდა საქართველოს 1918-21 წლებში, ჩვენი ამ ხანმოკლე 'პატარა ოქროს ხანის' დროს და რომლის განხორციელებისათვის ზრუნავს დღეს საქართველო, ქართველი ხალხი - ცდილობს რა სიძნელეებიდან გამოიყვანოს საქართველო პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად და სოციალურად.

პანაშვიდი დიდი ეროვნული შეგნებითა და შთაგონებით ჩატარდა პარიზის წმ.ნინოს ეკლესიაში, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო.

---

*A l'occasion de la Fête Nationale*
*l'Ambassadeur Extraordinaire et Plénipotentiaire*
*de la République de Géorgie*
*et Madame Gotcha Tchogovadzé*

*prient* ........ ...... ..... .... ...........

........... ..... ...... ...... ...........

*de leur faire l'honneur d'assister à la réception*
*qui aura lieu le Vendredi 26 Mai 1995 de 18 h 30 à 20 h 30*
*à la Mairie du XVI^e arrondissement*
*71, avenue Henri Martin, 75116 Paris*

*R. S. V. P.*
*Tél. 45-02-16-16*

*Cette invitation sera demandée à l'entrée.*

AMBASSADE DE LA RÉPUBLIQUE DE GÉORGIE
104, avenue Raymond Poincaré - 75116 PARIS

## 26 მაისის საზეიმო მიღება საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს მიერ პარიზში

1995 წლის 26 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის ელჩმა საფრანგეთში და მისმა მეუღლემ, პარიზის მე-16 უბნის მერის სადგომის შესანიშნავ დარბაზში დაპატიჟა საფრანგეთში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის შემადგენლობა და საფრანგეთში მცხოვრები ქართველობა 26 მაისის, ამ ჩვენი დიდი ეროვნული დღესასწაულის ოფიციალურ მიღებაზე, რომელსაც იმდენი სტუმრები დაესწრო, რომ მთავარი დარბაზი, რომელშიც ფრიალებდა ჩვენი ეროვნული სამფეროვანი დროშა, ხალხს ვერ იტევდა. ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ, საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩმა საფრანგეთსა და ესპანეთში, და მისმა მეუღლე ქალბატონმა მანანამ - მიესალმენ უცხოელ დიპლომატებსა და ქართველ სტუმრებს; შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ქართულ და ფრანგულ ენებზე, ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ, რომელმაც აღნიშნა, საქართველოს რესპუბლიკა დღეს საერთაშორისო აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფოა და მისი ხელმძღვანელობა იბრძვის იმისათვის, რომ გადალახოს საქართველოში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური სიძნელეები, რომ ხელი შეუწყოს დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების გაძლიერებასა და განმტკიცებას. ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, თავის წვლილს შეიტანს მსოფლიოს ერების საერთო ოჯახში, თუმცა საქართველო, შედარებით მსოფლიოს დიდ სახელმწიფოებთან, პატარა სახელმწიფო-ქვეყანაა.

ბატონ გოჩა ჩოგოვაძის ამ მოკლე და შინაარსიან სიტყვა-მისალმებას, ტაშის გრიალით შეხვდა დამსწრე დიპლომატები და საზოგადოება.
ქართული ემიგრაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე ბატონ ლევან ფალავამ, რომელმაც - აღნიშნა რა 26 მაისის დიდი ეროვნული მნიშვნელობა - ხაზგასმით შეეხო იმ თაობის დამსახურებას, რომელმაც თეორიულად და პრაქტიკულად შექმნა 26 მაისი, რომელშიც მთავარი როლი ითამაშა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველმა პრეზიდენტმა და მთავრობის თავჯდომარემ ნოე ჟორდანიამ. ბატონმა ლევან ფალავამ აღნიშნა აგრეთვე, რომ საქართველოს დღევანდელ სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარნაძეს უნდა დავუჭიროთ მხარი, რომ საქართველომ შესძლოს პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური სიძნელეების გადალახვაო, რასაც ტაშის ცემით შეხვდა დამსწრე საზოგადოება. ამის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომლის დროს კვარტეტმა შეასრულა ქართული კლასიკური მუსიკის ნიმუშები, ხოლო შემდეგ მომღერალთა გუნდმა შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები, რომლებიც დააგვირგვინა ქართული და ამერიკულ-ფრანგული მომღერალთა გუნდების ერთობლივად შესრულებულმა 'მრავალჟამიერმა', რასაც განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდა დამსწრე საზოგადოება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს რესპუბლიკის საელჩომ საფრანგეთში უკვე მეორეჯერ ჩაატარა ჩვენი ეროვნული დღესასწაულის - 26 მაისის - საზეიმო მიღება პარიზში, რაც დიდი ეროვნული მნიშვნელობის მოვლენაა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ანალოგიური მიღება ჩაატარეს საქართველოს რესპუბლიკის ელჩებმა გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნიუ-იორკში, რითაც საქართველოს რესპუბლიკა, ქართველი ხალხი თანდათანობით საერთაშორისო აღიარებას პოულობს მთელ მსოფლიოში.

## 26 მაისის შეხვედრა ქართულ ძმათა სასაფლაოზე ლევილში

1995 წლის 26 მაისს, პარიზის ახლოს-მდებარე დაბა ლევილის ქართული მამულის შატოზე, ქართველობამ ჯერ ქართული და ფრანგული ალმები ააფრიალა შატოს ბალკონზე, ხოლო შემდეგ სანთლები აანთო ქართველ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა აკლდამებზე ლევილის ქართულ-ფრანგულ სასაფლაოზე, სადაც განისვენებენ საქართველოს ისტორიის ისეთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორიცაა 26 მაისის თეორიულ-პრაქტიკული განმხორციელებელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და მთავრობის თავჯდომარე ნოე ჟორდანია, საქართველოს მაშინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი თუ გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები პროფესორი მიხაკო(მიხეილ) წერეთელი და ჩვენი დიდი მწერალი და მოაზროვნე გრიგოლ რობაქიძე.

# კომუნიკე - ცნობა

## ქართული სათვისტომოსა საფრანგეთში

ASSOCIATION GÉORGIENNE
EN FRANCE
(Fondée en 1922)

საფრანგეთში მყოფ ქართველ
ლტოლვილთა სათვისტომო

Siège Social :
6-8, Rue de la Rosière
75015 PARIS

Le 25 mai 1995

A tous les membres de la
Communauté Géorgienne en France

## Communiqué du Comité Directeur

La commémoration du 26 mai 1918, date du rétablissement de l'Indépendance de la Géorgie, s'est tenue dans le cadre de la soirée organisée par l'A.G.F. le 19 mai 1995. Réunissant plus de deux cent cinquante personnes dont un très grand nombre de membres de la communauté géorgienne ainsi que des personnalités françaises et arméniennes, la soirée s'est déroulée avec la participation chaleureuse des Voix de Géorgie et du chœur corse A Filetta.

Cela fut une grande satisfaction pour chacun de se retrouver aussi nombreux à montrer l'attachement de tous à la cause géorgienne.

Cependant, cette joie ne fait pas oublier les inquiétudes de chacun concernant la situation réelle de la Géorgie et les divisions qu'elle engendre au sein de la Communauté Géorgienne en France.

C'est pourquoi, le Comité Directeur fait appel au bon sens et au sang froid de tous, afin que soit préservée une fois encore l'unité de notre Association et vous propose les bases de réflexions qui devraient permettre de construire des références communes.

### But de l'A.G.F.

Le Comité Directeur réaffirme que le but de l'A.G.F. est la restauration en Géorgie des Principes du 26 mai 1918, c'est-à-dire :

- Indépendance de la Nation.
- Souveraineté de l'Etat.
- Institutions démocratiques.
- Garantie des libertés individuelles.
- Egalité de l'Homme et de la Femme.
- ...

Tant que l'ensemble de ces principes ne sera pas rétabli dans les réalités, le Comité Directeur de l'A.G.F., au nom de la Communauté Géorgienne en France, réaffirme sa volonté de continuer à agir pour contribuer à son complet rétablissement.

### Aujourd'hui, quels sont les faits ?

L'Indépendance de la Géorgie ne donne pas ipso facto au pays la puissance nécessaire pour sauvegarder sa liberté. La quasi désintégration de l'appareil économique géorgien sert de cadre aux interventions ouvertes ou dissimulées de la Russie qui réduisent d'autant la souveraineté de l'Etat, et les principes démocratiques.

Pourtant, cette situation dramatique ne peut pas diminuer l'importance d'un fait essentiel, à savoir : la Communauté Internationale reconnaît au peuple géorgien sa légitimité à exister comme une Nation Indépendante au milieu des autres nations.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Aujourd'hui, où l'accès à l'Indépendance Nationale est conditionné par la reconnaissance internationale, la Géorgie est maintenant membre à part entière des principales Organisations Internationales (ONU, UNESCO, etc...) et développe des relations diplomatiques avec les principales nations. Ceci constitue le point de départ indispensable et si longtemps attendu vers le rétablissement des Principes du 26 mai 1918.

Le Comité Directeur souligne :

- La reconnaissance internationale dont bénéficie la Géorgie, est un bien qui appartient au peuple géorgien. Le devoir de chacun de nous est de lui donner force et vigueur.
- La reconnaissance internationale de l'Indépendance de la Géorgie constitue une protection pour le peuple géorgien, certes très fragile, mais que nous devons contribuer à renforcer.
- La reconnaissance internationale à travers le déploiement des relations diplomatiques dont bénéficie la Géorgie, constitue un précédent historique essentiel qui fera partie de l'héritage que nous laisserons à nos enfants. Nous devons, par nos actions, contribuer à consolider la légitimité de notre pays à exister en tant que Nation Indépendante.

Dans cet esprit, le Comité Directeur affirme que l'A.G.F. doit poursuivre sa mission en toute indépendance et l'exercer sur les quatre plans suivants :

- Contribuer à renforcer les liens internationaux qui relient la Géorgie au reste du monde.
- Soutenir en Géorgie les forces démocratiques.
- Condamner les atteintes à la Liberté, à la Démocratie, aux Droits de l'Homme, à la Souveraineté de l'Etat.
- Contribuer à relever et à développer l'appareil économique et social géorgien.

Le Comité Directeur fera appel aux possibilités et aux suggestions de chacun des membres de la Communauté Géorgienne.

| | | |
|---|---|---|
| N. ODICHÉLIDZÉ | E. BENARD-TSÉRÉTHÉLI | R. NICOLADZÉ |
| I. HAVARD-GUÉDÉVANICHVILI | T. BOUKHNIKACHVILI | E. TARASSACHVILI |
| G. TSOULADZÉ | E. KARÉLIDZÉ | N. TCHAVTCHAVADZÉ |

## ნოე ჟორდანია ეროვნული ერთობის შესახებ

„ყველა ხალხი თავის ისტორიულ განვითარებაში ექვემდებარება რაიმე წესრიგს, რაიმე კანონს. ამ კანონის უმთავრეს მუხლს შეადგენს ის ხანა, როცა ხალხი გრძნობს თავის - თავს ერთ ერათ. ჭირში და ლხინში განუყრელათ. აქვს წარმოდგენა თავის ეროვნულ „მე"-ზე და ამას შეგნებულათ იცავს. მაგ., ფრანგები, არისტოკრატი იყოს თუ დემოკრატი, ლიბერალი თუ რადიკალი, ეროვნობის საქმეში ყოველთვის სრულს ერთობას იჩენენ აზრებისას, მიმართულებისას და გულისთქმისას. თუმცა შინაურ ცხოვრებაში მუდამ და დაულალავათ ებრძვიან ერთმანეთს, მაგრამ ერთათ დგებიან. ერთ დროშის ქვეშ იკრიბებიან. ერთი მეორისთვის თავსა სდებს, როცა მათ ეროვნულ თვით - არსებობას განსაცდელი მოელის, როცა გარეშე მტერი მიჯნას გადმოსცილებია და ქვეყანას ალყას უპირობს. ამ შემთხვევაში იღვიძებს დროებით მიძინებული ერთ-სულობა და ერთი მეორის დაუცხრომელნი მტერნი საომარ ველზე ხელი-ხელ გაყრილნი გამოდიან. ეს არის ეროვნობის არსებითი თვისება, ნაყოფი საერთო პოლიტიკო-ეკონომიური ცხოვრებისა, განმტკიცებული თანამედროვე წყობილებით და შეგნებული ადამიანურის ცხოვრებით."

ნოე ჟორდანია 1893 წ.

გვირგვინის ჩასვენება პარიზის
ტრიუმფის ჭიშკართან

ქართველ სამხედრო ვეტერანებთან ერთად, ქართველთა სათვისტომომ საფრანგეთში გვრიგვინი დაასვენა პარიზის ცენტრში განლაგებულ ტრიუმფალურ ჭიშკარში, უცნობი ჯარისკაცის აკლდამაზე, რომლის დროს, როგორც ცნობილია, გაიმართა შთამაგონებელი ცერემონია, რომელსაც მრავალ ქართველობა დაესწრო ფრანგებთან ერთად. ცერემონიის დროს, ფრანგულ ალმებთან ერთად, ფრიალებდა ჩვენი ქართული ეროვნული დროშა, რომელთა დახრის დროს აგიზგიზებულ·იქნა უცნობ ჯარისკაცის აკლდამაზე ანთებული მარადიული ალი, რასაც აცილებდა შესაბამისი მუსიკა. ქართველ ვეტერანებისა და სათვისტომოს მიერ გვირგვინის დასვენება პარიზის ტრიუმფის ჭიშკარში განლაგებულ უცნობი ჯარისკაცის აკლდამაზე, უკვე ტრადიცია, რომელიც ათეული წლებია ყოველწლიურად ტარდება.

- . - . - . - . -

## საუკუნო იყოს ხსენება მისი

საუკუნო იყოს ხსენება მისი

პანაშვიდი გიორგი წერეთლის ხულის მოსახსენებლად

პარიზის წმ. ნინოს ქართულ ეკლესიაში, კვირას, 14 მაისს, გიორგი წერეთლის გარდაცვალების ორი წლისთავზე, პანაშვიდი გადაიხადა წმ.ნინოს ეკლესიის მოძღვარმა დეკანოზ მამა ილიამ, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. პანაშვიდისას აღნიშნულ იქნა გიორგი წერეთლის დიდი დამსახურება ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მოღვაწეობაში, განსაკუთრებით ჟურნალ 'გუშაგის' პერიოდული გამოცემა და გავრცელება ქართველობაში, რომლის გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ის იყო. პანაშვიდის დამთავრების შემდეგ, გიორგი წერეთლის ქვრივმა, ქალბატონმა ეთერიმ გამართა ქელეხი მისი მეუღლის ხულის მოსახსენებლად, რომლის დროს არა ერთი გულთბილი სიტყვა ითქვა. ბატონმა ოთარ ზურაბიშვილმა თავის მოსახსენებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა გიორგი წერეთლის მოღვაწეობას ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პირველსა და მეორე თაობის წარმომადგენლებს შორის, რის შედეგია ის, რომ ქართული ემიგრაციის ახალი თაობა განაგრძობს მის მამა-პაპათა ანდერძის განხორციელებას, ხელი შეუწყონ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის გაფურჩქვნა-აყვავებას, რომ საქართველო ისევ გადაიქცეს დემოკრატიულ, სამართლებრივ სანიმუშო სახელმწიფოდ, როგორც ეს იყო 1918-21 წლებში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროს.

- - - - - -

## ნუ დავივიწყებთ ვაჟა-ფშაველას სიბრძნეს!..

"თავის სამშობლოს დამთმობი
სხვაგან რომ სცდილობს პოვნასა,
თან გადაჰყვება სანწყალი
პირველის მხვავსის შოვნასა".

ვაჟა-ფშაველა

"თუ ქვეყანა და საქვეყნო საქმე დაიღუპა,
მაშინ დიდი, პატარა, მდიდარი და ღარიბი
ერთ სიღზე გაივლის, ყველა დაღუპულია".

ვაჟა-ფშავება

ბ ა ლ ა ნ ს ი

გასავალი: ჟურნალ 'მებრძოლი საქართველოს'(მაისი, 1995 წ., ნომერი 16(34)-დაბეჭდვა, დაგზავნა და სხვა ხარჯები დაჯდა - 3.835 ფრანკი.

შემოსავალი: კარლო ინასარიძემ შემოწირა 3.835 ფრანკი.

- . - . - . - . -

# Conseil National Géorgien

## ქართული ეროვნული/ საბჭო

"ქართული ეროვნული საბჭო არის პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენისათვის ხელშეწყობა ყოველგვარი ლეგალური გზით. ქართული ეროვნული საბჭო თავის მოღვაწეობაში ეყრდნობა '25 მაისის აქტებს', განსაკუთრებით კი 'საქართველოს დამოუკიდებლობის აქტსა' და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) დებულებებს".

ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი მესამე

"ქართული ეროვნული საბჭო თავისთავს დაშლილად გამოაცხადებს, როცა საქართველოს დეოკუპაციის შემდეგ, ისევ აღდგება '26 მაისის აქტი', ე.ი. გამოცხადებული იქნება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენობა".

ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, მუხლი ოცდამეორე

Conseil National Géorgien
Chateau de Leuville
91310 - Leuville sur Orge
FRANCE

გთხოვთ

გამოსაქვეყნებელი მასალები, წერილები და შემოწირულებანი გამოგზავნეთ შემდეგ მისამართზე:

M. Mamia Berichvili
"La Géorgie Combattante"
CHATEAU DE LEUVILLE
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
France

სარედაქციო კოლეგია

# მებრძოლი საქართველო

ქართული ეროვნული საბჭოს ორგანო

LA GÉORGIE COMBATTANTE

მაისი, 1995 წ., ნომ. 16(34) - Mai I995

"ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს". ილია

"დემოკრატიის ორგანოა მოქალაქეთა უმრავლესობა. აქედან წარმომდგარი ხელისუფლება არის მიმჭმელი, მჭრელი, მეჩიჩქნელი". ნოე

დაარსდა: იანვარი. 1952, პარიზი - Fondation: Janvier 1952, Paris

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქ-750